საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№06 (382)
15 - 21 თებერვალი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**8 წელი**

«სოფელში რომ ჩავდივარ, პირველი, რასაც მეზობლები მეკითხებიან, «საქართველო და მსოფლიო» ხომ არ ჩამოგიტანიაო. უყვართ ძალიან. ხელიდან ხელში გადადის ამ გაზეთის ნომრები» 12

# ციანიდი პატრიარქისთვის 7



«სანამ ულტრა-ლიბერალებად წოდებულ მეხუთე კოლონას არ გავაძევებთ ქვეყნიდან, პატრიარქს, ადრე თუ გვიან, მოწამლავენ» 3

6 „ის ხომ არ არის მოწამვლის მცდელობის მოტივი, რომ პატრიარქმა საპატრიარქო ტახტისა და კვერთხის მემკვიდრედ უკვე დაასახელა კონსერვატორი იერარქი, რომლის წინააღმდეგი არიან არა მხოლოდ ეკლესიის წიაღში ჩაბუდებული ლიბერალი მღვდელმთავრები, არამედ ეკლესიის გარეთ მყოფი ლიბერალური პოლიტიკურ ძალები შინ და გარეთ?“

«სააკაშვილის პერიოდში პატრიარქის მოწამვლა ოთხჯერ სცადეს – საზოგადოებამ პასუხი უნდა გასცეს ამ ასტიონებს» 3

«უწმინდესის მოწამვლა და მეუფე დანიელის გაპატრიარქება სააკაშვილს ჯერ კიდევ 2004 წლის 22 ნოემბერს, სახელმწიფო გადატრიალების წლისთავზე ჰქონდა დაგეგმილი»

# 6 ბიძოკრატია

«გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულ დეკანოზს უპოვეს თბილისი-კიევის ავიაბილეთი – უკრაინა კი ვისთან ასოცირდება ბოლო პერიოდში, ყველამ კარგად ვიცით» 5

„ახლაც ვადევნებთ თვალყურს, როგორ ცდილობს ეს რევანშისტული ძალა, სხვადასხვა საბაბი გამოიყენოს საპროტესტო ტალღის ასაგორებლად, რათა მღვრიე წყალში ადვილად დაიჭიროს თევზი, მაღალი იერარქის, სავარაუდოდ, პატრიარქის მკვლელობა კი სწორედ ის შემზარავად ეფექტური საშუალება შეიძლება გამხდარიყო, რომელიც ამ ძალას „მეორედ მოსვლის“ რეალურ შესაძლებლობას გაუჩენდა“.

5 «პროკურატურის სირცხვილია, რომ ნანუაშვილი დაპატიმრებული არ არის»



მეუფე იაკობი:
საქართველოში 15 ცხოვრება ავუკრძალოთ და გავყაროთ საზღვარგარეთ

## 10 წელიწადი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო 8



რაზე აფრთხილებდა რუსეთის პრეზიდენტი მსოფლიოს მიუნხენში სიტყვით გამოსვლისას

## მთავრობაა თუ ტურისტული სააგენტო?! 16




## შიზოგადოებრივი მაუწყებელი 4



SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მათი მეგობრების ოცნებაა, საქართველო გახდეს უსაზღვრო, ეროვნებო, უენო, ურელიგიო, დაჩოქებული და ნამუსახდილი ქვეყანა. ამიტომაც გამოვთქვამ განსაკუთრებულ შეშფოთებას არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, „თავისუფლების ინსტიტუტის“, აღვირახსნილი მოქმედების გამო...“**

# «უწმინდესის მოწამვლა და მეუფე დანიელის გაპატრიარქება სააკაშვილს ჯერ კიდევ 2004 წლის 22 ნოემბერს, სახელმწიფო გადატრიალების წლისთავზე ჰქონდა დაგეგმილი»

## «რასაც ესენი კადრულობენ, ამ ისტერიულ კამპანიას ერთადერთი ახსნა აქვს — დაფინანსება: ნაწილი სააკაშვილისგან ფინანსდება, ნაწილი — სხვადასხვა საერთაშორისო ფონდიდან, რომლებიც იმავე სააკაშვილს მფარველობენ»



**„2004 წლის 22 ნოემბერს, სახელმწიფო გადატრიალების წლისთავზე, გურამ შარაძემ უწმინდესის მოწამვლისა და მეუფე დანიელის გაპატრიარქების იდეა პირველად ჩაუშალა სააკაშვილსა და მის ე.წ. მოძღვრებს. ბევრს ეს სასაცილოდ არ ეყო მაშინაც და მერეც... ახლაც იცინით? მამა ვის არ უყვარს, მაგრამ იმიტომ ვაღმერთებ მამაჩემს, რომ სულ ფეხებზე ეკიდა ე.წ. საზოგადოებრივი აზრი. შუბლით მიდიოდა თავისი სიმართლით, თავის კაცობით და სიკვდილიც შესაბამისი არგუნა ღმერთმა. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი პატრიარქი, ილია II“ — ეს სტატუსი გურამ შარაძის ქალიშვილმა „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა. „საქართველო და მსოფლიო“ ჟენევაში მყოფ რუსუდან შარაძეს დაუკავშირდა.**

**— მას შემდეგ, რაც პატრიარქის მოწამვლის მცდელობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, თქვენ „ფეისბუქზე“ დაწერეთ, რომ 2004 წელს მამათქვენმა, აკადემიკოსმა გურამ შარაძემ სააკაშვილის ხელისუფლებას უწმინდესის მოწამვლის გეგმა ჩაუშალა.... დეტალურად გვიამბეთ, რა იცით ამის თაობაზე.**

— პატრიარქის წინააღმდეგ მოფიქრებული არაერთი გეგმა ჩაუშალა **გურამ შარაძემ სააკაშვილს** პრეზიდენტობამდეც და მერეც. სააკაშვილის გეგმა ჯერ პატრიარქის მოწამვლას, შემდგომ ვითომ გადადგომას, სინამდვილეში კი გადაყენებას შეეხებოდა. ყველა შემთხვევაში, მამაჩემი საჯაროდ ამბობდა, რომ პატრიარქის სავარძელს უმზადებენ **მეუფე დანიელს**, რომელიც თავადაც არ აკლებს მცდელობასო. თქვენ იცით, რომ გურამ შარაძეს ჰაერზე ლაპარაკი არ სჩვეოდა.

**— თქვენი აზრით, რატომ სურდა სააკაშვილის ხელისუფლებას უწმინდესის მოშორება და მის ნაცვლად მეუფე დანიელის გაპატრიარქება?**

— იმისთვის, რომ საპატრიარქოც ისევე ყურმოჭრილ მონად ექცია, როგორი ხელისუფლებაც ჰყავდა. მღვდლები ყველგან იქადაგებდნენ იმას, რასაც სააკაშვილი მოისურვებდა. მან კარგად იცის, თუ რა გავლენა აქვს ხალხზე ეკლესიას. მივიღებდით სეთურის მრევლის უფრო ფართო და თანამდროვე მოდელს. **შორს რომ არ წავიდე, ყველას ემახსოვრება ქუთაისის ეპისკოპოსი კალისტრატე და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი; ერთი — ქუთაისში, მეორე — მილანში, ტაძრებში ქადაგებისას, წყევლიდნენ ყველას, ვინც სააკაშვილს ხმას არ მისცემდა. სამარცხვინოა და ამაზრზენი ეს ყველაფერი.**

**— თუ იცით, საიდან შეიტყო მოწამვლის მცდელობის შესახებ მამათქვენმა და ამაზე ინფორმაცია თუ ჰქონდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს?**

— ნამდვილად არ ვიცი, ვისგან ჰქონდა ხოლმე ასეთი ინფორმაცია. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ საკითხზე არ ჩავეძიებოდი ხოლმა. მეტყოდა, რადგან გამოცდილი ვყავდი სიტყვის შენახვაში. რადგან თვითონ არ მიამბო დეტალები, მეც მომერიდა. რატომღაც სულ მეგონა, რომ ბევრი დრო მქონდა და ბევრ რამეს „მერე“ შევიტყობდი მისგან... პატრიარქს ყოველთვის აფრთხილებდა, ეს დანამდვილებით ვიცი.

**— რადგან ამბობთ, რომ მამათქვენმა ჩაუშალა სააკაშვილის რეჟიმს უწმინდესის გზიდან ჩამოცილების გეგმა და ისიც არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ ბატონი გურამ შარაძე სააკაშვილის რეჟიმმა დახვრიტა, იქნებ ეს ვერ აპატიეს მას?**

— მამაჩემს ბევრი რამ ვერ აპატიეს. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამის შესახებ და კონკრეტული თემებიც დაგვისახელებია, იქნება ეს ე.წ. თურქი-მესხების, მუზეუმებში დაცული განძისა თუ სხვა საკითხები... ჩემი ღრმა რწმენით, მთავარი იყო მისი პიროვნება, რადგან ყველაფერი, რისთვისაც იბრძოდა, ეხებოდა ეროვნულ თვითმყოფადობას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, რაც მტკივნეულად აისახებოდა სააკაშვილზე. ის გემოს ვერ ატანდა თავის ავკაცობებს, გურამ შარაძე, ერთი კაცი, კალმით და სიტყვით არ აცლიდა მას ბოლომდე ტკბობას. ხალხი ენდობოდა მამაჩემს, მას ავტორიტეტი ჰქონდა. ის ქუჩიდან არ შესულა პარლამენტში, გურამ შარაძე შვიდი ათეული წიგნის ავტორი და გამომცემელია, რომ აღარაფერი ვთქვათ მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, კარგად მახსოვს, ინტერვიუ, რომელიც „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა სათაურით: „გურამ შარაძე: ყურადღება, ყურადღება! 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, საქართველოს პატრიარქი უნდა დაამხონ!“.

მამაჩემი ამბობდა, რომ იგეგმებოდა მორიგი დანაშაული პატრიარქის — ილია II ჩამოსაშორებლად და შიფრავდა სააკაშვილისა და მისი გარემოცვის გეგმას, რომელიც, რასაკვირველია, ამის შემდეგ ჩაიშალა. ეს ნამდვილად ასე იყო და კიდევ ბევრჯერ დადასტურდება. ამით **გავეშებულმა სააკაშვილმა 10 დღეში, 2004 წლის 25 ნოემბერს, მამაჩემი დაიჭირა და 2 კვირით ციხეში გამოამწყვდია ვიღაც ოლბინსკის იაფფასიანი პლაკატების (და არა ნახატების, როგორც გია ბუღაძეს და გოკა გაბაშვილს უნდოდათ შემოესაღებინათ და ატყუებდნენ ხალხს) ჩამოხევის გამო.** ამას თავად გურამ შარაძე ამბობდა ყველგან, არაერთი ინეტრვიუც არსებობს, სადაც ამბობს, რომ, პირველ რიგში, პატრიარქის წინააღმდეგ გეგმის ჩაშლის გამო იძია მასზე შური სააკაშვილმა.

**— რუსუდან, ამ ფაქტის გახსენებით საზოგადეობას იმას მიანიშნებთ, რომ უწმინდესის მოწამვლის მცდელობაში ახლაც სააკაშვილის ხელი ურევია?**

— გარდა იმისა, რომ მსგავსი გარეწარი სხვა არავინ მეგულება დედამიწის ზურგზე, რომელიც პატრიარქზე ხელს აღმართავდა, მთელი ინტერვიუს განმავლობაშიც ხომ ამაზე ვსაუბრობთ. 13-14 წლის წინათ თუ ჩაიდენდა, დღეს რა შეუშლის ხელს, უარესად გაბოროტებულს, გაავებულს, საკუთარი გუნდისგან მიგდებულს და ქვეყნიდან პანღურით გაგდებულს?! ის ვერ იტანს ავტორიტეტებს, სულერთია, ეკლესიაა, მეცნიერებაა, პოლიტიკაა თუ ქურდული სამყარო; ძირში სპობს. შურს ყველასი, სძულს ყველა, ვინც ოდნავ მასზე მეტია და, თუ არ ემორჩილებიან, უკვე, სიძულვილთან ერთად, შიშიც იპყრობს. სააკაშვილი ხომ ცნობილი კურდღელია — მილიონი კაციც რომ იცავდეს, სად წაუვა თავის ბუნებას?!

▶

## «მომავალ კათოლიკოს-პატრიარქად მეუფედ წოდებულ დანიელს ამზადებენ, რომელიც ზურაბ ჟვანიას, ნინო ბურჯანაძისა და გიგი წერეთლის პირადი მოძღვარია და, რა თქმა უნდა, მის მიმართ სიმპათია მიხეილ სააკაშვილსაც აქვს...»

### 2003 წელი

### გურამ შარაძე: შეთქმულები მეუფე დანიელს კათოლიკოს-პატრიარქობას ჰპირდებიან, სააკაშვილს კი — პრეზიდენტობას!

**გასულ კვირას პრეზიდენტმა შევარდნაძემ სამართალდამცავ ორგანოებს მეტი სიფხიზლისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ მათ უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ ქართულ ეკლესიაში მიმდინარე პროცესები, რადგან დაუშვებელია, უმძიმესი დანაშაულისთვის რამდენიმეჯერ ნასამართლევი პირი ადამიანების სულიერი მოძღვარი იყოს. პრეზიდენტის განცხადებას პოლიტიკოსებისა და სასულიერო პირების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ვესაუბრებით პარლამენტარ გურამ შარაძეს.**



**გურამ შარაძე:**

— პრეზიდენტის განცხადებაში მისი „მრჩევლების“ უზარმაზარი გავლენა იგრძნობა. ამერიკულ-ევროპულ გრანტიჭამიებს პრეზიდენტი შეგნებულად შეჰყავთ შეცდომაში. გრანტების სანაცვლოდ მათ ევალებათ, დააკნინონ საქართველოში მართლმადიდებლობა და ეროვნული თვითშეგნება. **სააკაშვილის, დავითაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის, თევდორაძისა** და მათი მეგობრების ოცნებაა, საქართველო გახდეს უსაზღვრო, უეროვნებო, უენო, ურელიგიო, დაჩოქებული და ნამუსახდილი ქვეყანა. ამიტომაც გამოვთქვამ განსაკუთრებულ შეშფოთებას არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ აღვირახსნილი მოქმედების გამო... მეუფე დანიელი, მეუფე ნიკოლოზი და საპარლამენტო მდივანი **გიორგი ანდრიაძე** კათოლიკებისა და იეღოველების მოძმე პოლიტიკურ პარტიებთან არიან შეკრულნი. ეს ძალები **მეუფე დანიელს** კათოლიკოს-პატრიარქობას ჰპირდებიან, სააკაშვილს კი — პრეზიდენტობას, ამიტომაც ეახლა საპატრიარქოს წარმომადგენელი სააკაშვილს მერიაში და „უკურთხა“ ჯვაროსნული დროშა. ასე რომ, საპატრიარქოში შეთქმულთა მოღვაწეობა ძალიან სახიფათოა და ამაზე თვალის დახუჭვა დანაშაულის ტოლფასია....

**„ასავალ-დასავალი“, 2003 წელი, 3-9 მარტი**

**„რის ბრალია, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ? ეს იმის ბრალია, რომ, როდესაც ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე თუ სხვა კონჩიტა-ლიბერასტები პატრიარქს, სულიერებას, ზნეობას, ტრადიციებს ჩირქს სცხებენ და პირდაპირ ეთერში უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, საზოგადოება ხმას არ იღებს. აი, ეს არის ყველაფრის მიზეზთა მიზეზი და ქართველი ხალხი უნდა გამოფხიზლდეს. საზოგადოებამ პასუხი უნდა გასცეს ამ ასტიონებს“**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დიტო ჩუბინიძე: სააკაშვილის პერიოდში პატრიარქის მოწამვლა ოთხჯერ სცადეს — საზოგადოებამ პასუხი უნდა გასცეს ამ ასტიონებს

**ვის და რა ძალებს უნდათ საპატრიარქოში დესტაბილიზაციის შეტანა, ვის ინტერესში შეიძლება იყოს პატრიარქის ლიკვიდაცია და რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ისტორიკოსი და პუბლიცისტი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე, რომელიც წლების განმავლობაში კათოლიკოს-პატრიარქ დავით მეხუთის საეჭო ვითარებაში გარდაცვალებას იკვლევდა.**



**დიტო ჩუბინიძე:**

— არაერთხელ გაკეთებულა განცხადებები ამის თაობაზე და საიდუმლო არავისთვის არის, რომ პატრიარქს ნაციონალების ხელისუფლების პერიოდში წამლავდნენ. მე, როგორც ერთ-ერთმა სასულიერო პირმა მითხრა, ვიცი, რომ სააკაშვილის პერიოდში პატრიარქის მოწამვლა ოთხჯერ სცადეს. საზოგადოდ, საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქებისა და დიდი ადამიანების მოწამვლა არახალია და ისტორიაც სავსეა ასეთი ფაქტებით.

**— ზოგიერთი სასულიერო პირი პირად საუბრებში არ მალავს, რომ პატრიარქის გარემოცვაში არიან გარკვეული დესტრუქციული ძალები, რომლებიც მუდმივად გარკვეულ დაძაბულობას ქმნიან საპატრიარქოში.**

— თავის დროზე **მეუფე სერაფიმემ (ჯოჯუამ)**, ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტმა, გიგი უგულავა ამხილა და დღის სინათლეზე გამოიტანა ყველაფერი, როგორ დაშლიგინებდნენ ნაციონალები საკურთხეველში და როგორ ერეოდნენ ეკლესიის საქმიანობაში.

ახლა, რატომ გახსენებთ ამ ამბებს — მე ვერ განვიკითხავ ვერავის, მაგრამ კაცმა არ იცის, დღეს სააკაშვილის კიდევ რამდენი აგენტია ეკლესიაში ან რამდენი ჩანერგილი ჰყავს იმავე წმინდა სინოდში **თოფურიძეს, ახალაიასა** და მათ პოლიტიკურ თანამოაზრეებს. სხვათა შორის, **როცა წმინდა სინოდის სხდომები იმართებოდა, ერთ-ერთი მეუფე ლეპტოპით სკაიპში იყო შესული და გვერდით ოთახში მჯდომ სოსო თოფურიძეს, ამ გათახსირებულ და აყროლებულ კაცს, სააკაშვილის ქვეწარმავალს, პირდაპირ რეჟიმში ასმენინებდა, რაზე ლაპარაკობდნენ სასულიერო პირები. აი, ასეთი ტოტალური კონტროლის ქვეშ იყო მაშინ სამღვდელოება და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა ხდება ან შეიძლება ხდებოდეს დღეს.** რატომ გიკვირთ, რომ ვიღაც მღვდელი, ციანიდის შხამით აღჭურვილი, გერმანიაში მიდიოდა პატრიარქის მოსაწამლად?! მე სრულიად არ მიკვირს ეს ამბავი.

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეკლესია გაიწმინდოს ასეთი ხალხისგან?**

— მოდი, ასე მივუდგეთ საკითხს — **რის ბრალია, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ? ეს იმის ბრალია, რომ, როდესაც ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე თუ სხვა კონჩიტა-ლიბერასტები პატრიარქს, სულიერებას, ზნეობას, ტრადიციებს ჩირქს სცხებენ და პირდაპირ ეთერში უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, საზოგადოება ხმას არ იღებს. აი, ეს არის ყველაფრის მიზეზთა მიზეზი და ქართველი ხალხი უნდა გამოფხიზლდეს. საზოგადოებამ პასუხი უნდა გასცეს ამ ასტიონებს.** ასტიონა, მოგეხსენებათ, „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი გმირია, რომელსაც დათას მოწამვლა აქვს დავალებული და შემთხვევით სხვას მოკლავს. **საპატრიარქოშიც და პოლიტიკურ სპექტრშიც დღეს მოკალათებულნი არიან სააკაშვილის გადმონაშთი, სოროსის გამოზრდილი ლიბერასტი დივერსანტები და ასტიონები, რომლებიც წამლავენ პატრიარქს. ეს ასტიონები ქართულმა სპეცსამსახურებმა უნდა გამოავლინონ და კანონის შესაბამისად დააკისრონ პასუხისმგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ასტიონების ხელში საქართველოს დიდი ხნის არსებობა არ უწერია...** კიდევ ვიმეორებ: სააკაშვილის პარტიის თითოეული წევრი და უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს არიან პოტენციური ასტიონები. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ ქართველ ხალხს, გამოავლინონ ისინი. ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომლიც ყველაფერზეა წამსვლელი.

**◀ — თუ ასეა, რისთვის ან რატომ შეიძლებოდა დასჭირვებოდა საქართველოდან წასულ ყოფილ პრეზიდენტს ეს და, საერთოდ, რით ახსნით ულტრალიბერალების გააფთრებულ ბრძოლას პატრიარქისა და, საზოგადოდ, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ?**

— სააკაშვილი ვერ ეგუება ძალაუფლების დაკარგვას. იცის, რომ, თუ ძალაუფლება არ ექნება, ივლის, როგორც ერთი ჩვეულებრივი კრიმინალი, „მსუყე“ წარსულით. არც ციხის საკნის მოლანდებები იქნება უცხო მისთვის, ამიტომ ყველა გზას მიმართავს. თუნდაც არეულობას ხომ შემოიტანს, ხომ გაამწარებს, ხომ აატირებს ხალხს, მისთვის საძულველ ადამიანს ხომ წაართმევს სიცოცხლეს და ხომ გაიხარებს 5 წუთით მაინც?!

**— პროკურატურის ოფიციალური განცხადებიდან რამდენიმე საათში „კურიერმა“ მამალაძის წერილი გამოაქვეყნა (ავთენტურობა ჯერ არ არის დადგენილი), იგი უწმინდესს სწერს: „თქვენო უწმინდესობავ, სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნული საკითხების მოკვლევისას გამოიკვეთა ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნისა და საპატრიარქოს წარმომადგენლის არაკეთილსინდისიერი ინტერესები საპატრიარქოს ქონებასთან დაკავშირებით. ასევე, იყო ჩემ მიმართ მუქარა, რაზეც პირადად მინდა გესაუბროთ. ხელთ მაქვს ძალიან ბევრი მასალა, რაც ეკლესიის მიმართ ჩადენილ დანაშაულებს გამოავლენს“...**

**რა მიზანს ემსახურება ამ შინაარსის წერილის გამოქვეყნება?**

— ის, რომ იქ დიდი ხანი განუკითხაობაა, გურამ შარაძე ლამის 20 წლის წინათ საჯაროდ ამბობდა, ბოლომდეც არ ამბობდა, მტერს რომ არ გაეხარა, მაგრამ, რაც თქვა, საკმარისზე მეტი იყო იმ დროში. არც ეკონომიკურ დანაშაულზე ხუჭავდა თვალს. **გიორგი ანდრიაძეს ხომ ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში ეკლესიაში სააკაშვილის დავალებით ინტრიგანობაში ამხელდა, მამამისს — საპატრიარქოს ბიუჯეტის შეჭმაში... ორი ათეული წლის წინათ თუ ასე იყო, ახლა რატომ იქნება უკეთესად საქმე? მით უმეტეს, რომ სად იყო იქამდე მსგავსი აგენტურა, რომელიც სააკაშვილმა ჩანერგა, გაწრთვნა და აღჭურვა?!**

რაც უნდა იყოს, პატრიარქი ამიტომ უნდა მოვწამლოთ და მოვკლათ? სააკაშვილი გავიგეთ, მაგრამ სხვებს რატომ ენანებათ მისთვის სიცოცხლე, რით ვერ ინელებენ ამ ერთ კაცს?! ვერავის მოთხოვ, რომ შენი ღმერთი იწამოს ან საერთოდ, რამე და ვინმე სწამდეს, მაგრამ ნუთუ სიკეთისა და ბოროტების არ სწამთ? ჩემი აზრით და გამოცდილებით, არც ერთი კონფესიის წარმომადგენელი, არც ერთი ნამდვილი ათეისტი იმას არ იკადრებს, რასაც ესენი კადრულობენ. **ამ ისტერიულ კამპანიას ერთადერთი ახსნა აქვს — დაფინანსება: ნაწილი სააკაშვილისგან ფინანსდება, ნაწილი — სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებიდან, რომლებიც იმავე სააკაშვილს მფარველობენ.** აღარაფერს ვიტყვი სხვის ხმას აყოლილ ადამიანებზე, რომლებისთვისაც, პრინციპში, კეთდება ეს ყველაფერი. „ნაცმოძრაობა“, თავის მეტასტაზებით, მოქმედებს, როგორც სექტა, რათა როგორმე გადაიბიროს, გამოაშტეროს ადამიანები. ახალს არაფერს ვამბობ, დიდი ხანია, ცნობილია ეს ყველაფერი.

**— ჯორჯ სოროსისა და სხვა ფონდების მიერ გულუხვად დაფინანსებული ლიბერალური სექტორი ყოველთვის გამოირჩეოდა პატრიარქის წინააღმდეგ შეუწყნარებლური განცხადებებით. სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ეს მიდგომა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი და, საიდუმლო არ არის, რომ სინოდის სხდომებს კუდის ხელმძღვანელობა ხან უშუალოდ ესწრებოდა, ხანაც სკაიპით ადევნებდა თვალს. ხომ არ არის მომხდარი ულტრალიბერალების მიერ პატრიარქის, სულიერების, ზნეობისა და ტრადიეციების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ლოგიკური გაგრძელება?**

— კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი კი შეიცვალა, მაგრამ ვის სხდომებსაც ის აკონტროლებდა, ხომ იგივე დარჩა?! მიჭირს ყველაფერზე პასუხის გაცემა, ღმერთმა ჯანმრთელი დაგვიბრუნოს პატრიარქი გერმანიიდან და ყველაფერი დალაგდება. ასე გაგრძელება რომ შეუძლებელია, ყველა ვხედავთ. გამოძიებაც დასრულდება და იმედია, დამნაშავეთა მთელი გუნდი (გიორგი მამალაძე რომ მარტო ვერ იმოქმედებდა, ბავშვიც ხვდება) გამოაშკარავდება. იქნებ ასე სჯობდა, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დაერქვას ყველაფერს თავის სახელი?!

**— თქვენი აზრით, რატომ იცავს გაშმაგებით სანდრა რულოვსის კარის მოძღვრად წოდებული ჭყონდიდელი მეუფე პეტრე პროკურატურის მიერ მაღალი იერარქის მოწამვლაში ბრალდებულებს და რატომ ცდილობს იგი გამოძიების არგუმენტების დაკნინებას?**

— პასუხი თქვენსავე კითხვაშია — „სანდრა რულოვსის მოძღვარი“. ამაზე უკეთ ვერაფერს გეტყვით.

---

**გურამ შარაძე:** **2004 წელი**

## ყურადღება, ყურადღება! 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, საქართველოს პატრიარქი უნდა დაამხონ

**„ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე საქართველოში მორიგი რევოლუცია მზადდება. ამჯერად „საიდუმლო სერობა“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კარზე იმართება და, შესაძლოა, ყველაფერი იმით დასრულდეს, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა, 2004 წლის ნოემბრის ერთ „მშვენიერ“ დღეს ამ უზენაეს ტიტულზე საკუთარი სურვილით განაცხადოს უარი. მეთოდები და ტაქტიკა ნაცნობია. პროფესორი გურამ შარაძე „ასავალ-დასავალს“ მოსალოდნელ საფრთხესა და შეთქმულების დეტალებზე ესაუბრება.**

**გურამ შარაძე:**

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II ყოფნა იმიტომ არ სურთ, რომ იგი ვერ ჩართეს, მეტიც, ვერ გამოიყენეს გლობალიზაციისა და სოროსიზაციის პროცესში. მოგახსენებთ, სწორედ საქართველოს პატრიარქმა გამოიყვანა ქართული ეკლესია მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან და ეკუმენიზმისგან გვიხსნა... მათ სურთ, მართლმადიდებლობა ათასი რჯულის სექტანტებს გაუთანაბრონ! სხვათა შორის, ამ საეკლესიო გადატრიალების ერთ-ერთი წინაპირობა იყო ინტელიგენციის ე.წ. წარმომადგენლების ღია წერილი, რომელიც ერთი წლის წინათ გაეგზავნა ილია მეორეს და კინაღამ გული გაუხეთქეს.

**— თქვენი ინფორმაციით, არის თუ არა წინასწარ ცნობილი მომავალი პატრიარქის კანდიდატურა?**

— მომავალ კათოლიკოს-პატრიარქად მეუფედ წოდებულ დანიელს ამზადებენ, რომელიც **ზურაბ ჟვანიას, ნინო ბურჯანაძისა** და **გიგი წერეთლის** პირადი მოძღვარია და, რა თქმა უნდა, მის მიმართ სიმპათია **მიხეილ სააკაშვილსაც** აქვს... მე იგი რამდენიმე წლის წინათ ვამხილე და შარშან, უწმინდესი სინოდის გამსვლელ სხდომაზე გორში სასწრაფოდ შეუთავსეს ჭიათურა-საჩხერის მეუფეობა. იმ ჭიათურა-საჩხერის, რომელიც იელოველებმა წალეკეს და მართლმადიდებელი ქრისტიანები დახმარებას მე მთხოვენ. ჟვანია, ბურჯანაძე და წერეთელი ამ ადამიანს უმზადებენ პატრიარქის სავარძელს?!

**„ასავალ-დასავალი“, 15-21 ნოემბერი, 2004**

---

## «სანამ ულტრალიბერალებად წოდებულ მეხუთე კოლონას არ გავაძევებთ ქვეყნიდან, პატრიარქს, ადრე თუ გვიან, მოწამლავენ»

**ვინ და რა ძალები შეიძლება იდგნენ პატრიარქის მოწამვლის მცდელობის უკან, რა მოტივი შეიძლება მათ ამოძრავებდეთ და რამდენად დაცულია დღეს კათოლიკოს-პატრიარქის უსაფრთხოება, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის პუბლიცისტსა და მეცნიერს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს დაუკავშირდა.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— ამჟამად პატრიარქის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც იქ მისი სურვილით არ მოხვედრილან, დაუნიშნეს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მისი უწმინდესობის ლიკვიდაციას ცდილობენ. ერთხელ, სააკაშვილის პერიოდშიც მოწამლეს და ძლივს გადარჩა, ახლა კიდევ ვილაც გამოჩნდა... ასეთი ადამიანები კი არ უნდა გაასამართლო, უნდა ჩაქოლო. ეს არის კიდევ ერთი დარტყმა ჩვენი სულიერების წინააღმდეგ და მე პირდაპირ ვამბობ: **ეს არის სოროსის გზა. სანამ ამას ბოლო არ მოეღება და სანამ ულტრალიბერალებად წოდებულ მეხუთე კოლონას არ გავაძევებთ ქვეყნიდან, პატრიარქს ადრე თუ გვიან მოწამლავენ.**

ვერანაირი გამოძიება და კონკრეტული დამნაშავეების დაკავება ამ საფრთხეს ვერ აღმოფხვრის. ისინი არ მოისვენებენ, სანამ თავისას არ გაიტანენ და საბოლოოდ არ ჩაიგდებენ ხელში ქვეყნის სადავეებს...

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გადაცემების დახურვა თუ „გაფილტვრა“ გაამარტივებს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესს, მაგრამ მაყურებელი წინასაარჩევნო პერიოდში შეიძლება მეტ-ნაკლებად დაბალასებული პოლიტიკური დებატების გარეშე დარჩეს, რაც ერთმნიშვნელოვნად ცუდია, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ — ასეთი მიდგომა ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს, გაცილებით იოლად, პრაქტიკულად „სუფთა ფურცლიდან“ შექმნას მორჩილი ტელევიზია, ასე ვთქვათ, „ჭორვილას მაცნე“.**

# საზოგადოებრივი მაუწყებელი

**როდესაც „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ვსაუბრობთ, ხშირად ბანალურ დასკვნამდე მივდივართ — მაუწყებელი ზუსტად ისეთია, როგორიც საზოგადოება. აშკარაა, რომ მას გარდაქმნა და განვითარება სჭირდება, მაგრამ შემოთავაზებული მეთოდების გონივრულობა ეჭვს იწვევს; ბევრს ჰგონია, რომ არაფერი შეიცვლება.**

## ბიძინა ივანიშვილი ჰიბრიდულ ოლიგარქულ რეჟიმს აყალიბებს, რომლის პირობებში საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი სიტყვის კუნძულად ვერ დარჩება

სიტუაცია „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ იყო უკონტროლო და პათოლოგიური, როგორც კიბო ტერმინალურ სტადიაში. დაარსებიდან დღემდე მასზე თითქმის ნახევარი მილიარდი საბიუჯეტო ლარი დაიხარჯა, მაგრამ მაყურებლებმა (გადამხდელებმა) ვერა და ვერ მიიღეს ის სატელევიზიო პროდუქტი, რომლის ხარისხი გაწეულ ხარჯს თუნდაც ნაწილობრივ გაამართლებდა. ამაზე მიუთითებს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი ხელმძღვანელობაც, მაგრამ აქ, ალბათ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რამდენად სწორია ამ კონტექსტში საუბარი დაბალ რეიტინგზე.

„პირველი არხის“ ნებისმიერი შედარება კერძო ტელეკომპანიებთან მიზანშეუწონელია, რადგან მას განსხვავებული მისია აკისრია. განვითარებადი (თუ განუვითარებელი) დემოკრატიის ქვეყნებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სატელევიზიო არხის არსებობას, რომელზეც პოლიტიკური დებატები გარანტირებულად დაბალანსებული იქნება (ან შედარებით დაბალანსებული, რადგან იდეალური ამქვეყნად არაფერია). ამასთანავე, აუცილებელია იმის გააზრება, რომ გადაცემები და ფილმები ისტორიაზე, კულტურაზე აპრიორი ვერ მიიზიდავს იმდენ მაყურებელს, რამდენსაც უცხოური სერიალები თუ გასართობი შოუები, მაგრამ მათი შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისთვის. განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, „საზმაუმ“ არ შეიძლება გამოიყენოს ხელოვნური სკანდალი, ძალადობა, სექსი, მიზანმიმართული მანიპულირება მაყურებლის ემოციებით რეიტინგის „ასაქაჩად“, როგორც ამას ბევრი კერძო ტელევიზია აკეთებს. მათი შედარება, უბრალოდ, არ შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა, რომ აპელირებას რეიტინგების მიმართ სწორედ აქეთ მივყავართ.

გამოჩენილმა ეკონომისტმა, „შავი გედის თეორიის“ ავტორმა **ნასიმ თალებმა** ახლახან გამოაქვეყნა საინტერესო სტატია **„ინტელიგენტები, მაგრამ იდიოტები“**. სტატია იმ ადამიანებზეა, რომლებიც ცდილობენ, საზოგადოებრივი აზრი (და სრულიად მსოფლიო) მართონ, მაგრამ ბევრ რამეზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. იქ არის ასეთი ფრაზაც: „ისინი იყენებენ სტატისტიკურ მონაცემებს, მაგრამ არ ესმით, როგორ ხდება მათი მიღება“. საინტერესოა, აქვთ თუ არა მათ, ვინც დღეს რეიტინგებზე საუბრობს, წარმოდგენა იმაზე, რა მეთოდებით და რა მიზნებისთვის ხდება მათი შედგენა? დისკუსიას რეიტინგზე სიფრთხილე სჭირდება; ის მნიშვნელოვანია, მაგრამ არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთადერთი (ან მთავარი, ხარისხობრივ კვლევასთან ერთად) ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც სატელევიზიო სივრცეში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემების მდგომარეობას აღწერს, ხოლო მისი შეფასება კერძო, მათ შორის „პარტიულ“ ტელევიზიებთან პარალელების გავლების საფუძველზე სასურველია საერთოდ გამოირიცხოს. სასაცილო კი ამ სიტუაციაში, ალბათ, ის არის, რომ ყველაზე ბევრს რეიტინგებზე ამ დღეებში საუბრობენ ისინი, ვისაც ცხოვრებაში არც ერთი რამდენადმე რეიტინგული სატელევიზიო გადაცემა არ შეუქმნია.

ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირებას შეუდგნენ, აქვთ გარკვეული წარმოდგენა იმაზე, როგორი უნდა იყოს იდეალური ტელევიზია, მაგრამ წარმატებული ტელევიზიის შექმნის გამოცდილება — არა.. ჩვენ დიდი სიფრთხილით ვეკიდებით გამოუცდელ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამბობენ, რომ იციან, როგორ შექმნან იდეალური სახელმწიფო და საზოგადოება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ხისტი მოქმედებისთვის კარტ-ბლანშს გვთხოვენ და, სავარაუდოდ, განხილულ შემთხვევაშიც ამ მიდგომით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

გადაცემების დახურვა თუ „გაფილტვრა“ გაამარტივებს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესს, მაგრამ მაყურებელი წინასაარჩევნო პერიოდში შეიძლება მეტ-ნაკლებად დაბალასებული პოლიტიკური დებატების გარეშე დარჩეს, რაც ერთმნიშვნელოვნად ცუდია, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ — ასეთი მიდგომა ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს, გაცილებით იოლად, პრაქტიკულად „სუფთა ფურცლიდან“ შექმნას მორჩილი ტელევიზია, ასე ვთქვათ, „ჭორვილას მაცნე“ — ეტაპობრივი, ევოლუციური ხასიათის რეფორმის პირობებში ეს საფრთხე შედარებით მცირე იქნებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა შევიტანოთ ეჭვი რეფორმატორების გულწრფელობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მათი არგუმენტები არასრულყოფილია, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ივანიშვილის მიერ შექმნილი სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.



**რთულია, ამ საკითხში პრინციპულობის გამოვლენა მოსთხოვო ხელისუფლებას, რომელმაც იუსტიციის საბჭოში ლევან მურუსიძე დასვა, პარლამენტში — ვანო ზარდიაშვილი, ინფრასტრუქტურის სამინისტროში — ზურაბ ალავიძე და, საბოლოო ჯამში, დღეს, უპირველესად, «პორტირებულ» ნაციონალებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ეყრდნობა. როგორც ჩანს, მათი მართვა ბიძინა ივანიშვილისთვის გაცილებით მარტივი და კომფორტულია**

1990-იანი წლების დასაწყისში ძველმა „სატელევიზიო ელიტამ“ **ზვიად გამსახურდიას** დამხობაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ყველა მომდევნო ხელისუფლება ცდილობდა, „პირველი არხი“ და მისი კოლექტივი 100%-ით გაეკონტროლებინა და ძველი რევოლუციური სცენარის გამეორების ალბათობა შეემცირებინა. 1992 წლის გადატრიალების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, გაჩნდა კერძო ტელევიზიები, მოხდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვილებები, თუმცა მთავარი პრინციპი კვლავინდებურად იგივეა – ხელისუფლება ტელესივრცის და „სატელევიზიო ელიტის“ მაქსიმალური გაკონტროლებისკენ მიისწრაფვის, ხოლო „პირველ არხს“ თავის „სამეფო დომენად“ განიხილავს.

სააკაშვილის რეჟიმი ყოველთვის იყენებდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კონცეფციას, როგორც “შირმას”, რომელიც უცხოელების თვალში ყოფილ „პირველ არხზე“ მის კონტროლს აკეთილშობილებდა. როგორც კი შესაძლებლობა გაუჩნდა, იქ ნამდვილი „საკადრო გენოციდი“ მოაწყო. იმ პერიოდში „საზმაუში“ მუშაობა დაიწყო რეჟიმის არაერთმა ტვინგაყინულმა მსახურმა, ხოლო საინფორმაციო გამოშვებები რაღაც მომენტში გებელსის „პროპაგანდის სამინიტროს“ პროდუქციას დაემსგავსა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივ მაუწყებელში ერთობ პარადოქსულად შენარჩუნდა პლურალისტული ატმოსფეროსა და თავისებური დემოკრატიულობის ნარჩენები, რომელიც „პარტიულ ტელევიზიებში“ არ არის. ეს საკმაოდ უცნაური დემოკრატიულობა იყო, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან იღებდა და თანაარსებობდა მუდმივ ინტრიგებთან, ნეპოტიზმთან და ადმინისტრაციის კორუმპირებულობასთან, თუმცა მაინც ასრულებდა გარკვეულ დადებით როლს.

ცხადია, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა შეიცვალოს, შტატების ოპტიმიზაციისა და უკეთესი გადაცემების მომზადების პრობლემას თავი რომც დავანებოთ, სასურველია, ტელევიზია დატოვოს ყველამ, ვინც მჭიდროდ თანამშრომლობდა სააკაშვილის რეჟიმთან. ხელისუფლება ცდილობს, ამ თემას გვერდი აუაროს, რათა განსხვავებული პოლიტიკური თვალსაზრისის მქონე ადამიანების მჩაგვრელად არ წარმოჩინდეს, მაგრამ ამის გარეშე ნებისმიერი რეფორმა აზრს კარგავს. მათ, ვინც სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივ ქმედებებს „აპრავებდა“, „საზოგადოებრივზე“ არაფერი ესაქმება. თუმცა რთულია ამ საკითხში პრინციპულობის გამოვლენა მოსთხოვო ხელისუფლებას, რომელმაც იუსტიციის საბჭოში **ლევან მურუსიძე** დასვა, პარლამენტში — **ვანო ზარდიაშვილი,** ინფრასტრუქტურის სამინისტროში — **ზურაბ ალავიძე** და, საბოლოო ჯამში, დღეს, უპირველესად, „პორტირებულ“ ნაციონალებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ეყრდნობა. როგორც ჩანს, მათი მართვა ბიძინა ივანიშვილისთვის გაცილებით მარტივი და კომფორტულია.

დღეს დისკუსია ძირითადად გადაცემების ხარისხზე მიმდინარეობს, ხოლო მთავარი თემა — ცუდი მენეჯმენტი უკანა პლანზეა გადაწეული; არ დასმულა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი ხელმძღვანელების თუნდაც მორალური პასუხისმგებლობის საკითხი. ისე საინტერესო კია, რამდენად შესაძლებელია „საზმაუს“ კარგი მართვა მუდმივი პოლიტიკური ბრძოლისა და ზეწოლის პირობებში — უკლებრივ ყველა დირექტორმა პოსტი ვადის ამოწურვამდე დატოვა, ხოლო სამეურვეო საბჭოს გარშემო განვითარებულ ინტრიგებს ბოლომდე **ბორჯიას** ოჯახის ცნობილი წარმომადგენლებიც კი ვერ გაშიფრავდნენ.

პირველი, რასაც ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი ბიზნესმენი, მათ შორის **ბიძინა ივანიშვილი**, გააკეთებდა, მართვის ოპტიმიზაციაა. ეს თითქოს ლოგიკურია, მაგრამ პროცესი, დიდი ალბათობით, ერთმმართველობაზე მორგებული ვერტიკალის ფორმირებით დასრულდება — ასე მოხდა ივანიშვილის კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა მედიასტრუქტურაში, რომლებიც ნამდვილად არ უწყობენ ხელს პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბებას, ხოლო მათი პროდუქცია, საკმაოდ დიდი ბიუჯეტების მიუხედავად, განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს (თუმცა ეს უფრო ივანიშვილის პრობლემაა, ვიდრე ჩვენი). ტონალობით, ინფორმაციის მოწოდების სტილით ისინი ნამდვილად განსხვავდებიან სააკაშვილის ფსიქოპათური, მართლაც რომ ტოტალიტარული მედიასაშუალებებისგან, მაგრამ ამ განსხვავებას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ორივე მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო ან, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური იარაღია.

საბოლოოდ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ქაოსის ელემენტები და სირთულეები საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვაში პარადოქსულად წარმოადგენდა აუცილებელ ელემენტს შემოქმედებითი და პლურალისტული გარემოს დასამკვიდრებლად. ეს არ ნიშნავს, რომ არსებული სისტემა კარგია — ის საშინელია, მაგრამ ახალი შეიძლება უარესი აღმოჩნდეს. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი ჰიბრიდულ ოლიგარქულ რეჟიმს აყალიბებს, რომლის პირობებში საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი სიტყვის კუნძულად ვერ დარჩება.

წინააღმდეგობის გაწევა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს, რადგან ყველაფერი კანონიერია, ხოლო საზოგადოება მოითხოვს ძირგამომპალი სისტემის რეფორმირებას და ნაკლებად ფიქრობს იმაზე, რით შეიძლება დასრულდეს პროცესი. ყველაზე დიდი უბედურება ამ სიტუაციაში, ალბათ, არის ის, რომ ცვლილებებს საზოგადოებრივ მაუწყებელში ყველაზე ხმამაღლა ნაციონალები აპროტესტებენ. აქედან გამომდინარე, სხვები პროტესტის გამოხატვისას თავს უხერხულად გრძნობენ — მათ არ სურთ, სააკაშვილის მიმდევრების გვერდით აღმოჩნდნენ. ალბათ, სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის სჭირდებოდა ბიძინა ივანიშვილს „დიდ პოლიტიკაში“ ძველი რეჟიმის ნარჩენების დატოვება.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახლაც ვადევნებთ თვალყურს, როგორ ცდილობს ეს რევანშისტული ძალა, სხვადასხვა საბაბი გამოიყენოს საპროტესტო ტალღის ასაგორებლად, რათა მღვრიე წყალში ადვილად დაიჭიროს თევზი, მაღალი იერარქის, სავარაუდოდ, პატრიარქის მკვლელობა კი სწორედ ის შემზარავად ეფექტური საშუალება შეიძლება გამხდარიყო, რომელიც ამ ძალას „მეორედ მოსვლის“ რეალურ შესაძლებლობას გაუჩენდა.**



# ხათუნა საგინაშვილი: გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულ დეკანოზს უპოვეს თბილისი-კიევის ავიაბილეთი — უკრაინა კი ვისთან ასოცირდება ბოლო პერიოდში, ყველამ კარგად ვიცით

**როგორც ცნობილია, ამჟამად დაკავებულია სასულიერო პირი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, მიმდინარეობს გამოძიება. ეს თემა საჯარო მსჯელობის საგანიც შეიქნა. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება ჟურნალ „ქვაკუთხედის“ რედაქტორი ხათუნა საგინაშვილი.**

**«კარგად გვახსოვს, რა ანგარიშები იგზავნებოდა ომბუდსმენის, «თავისუფლების ინსტიტუტის», სოროსის ფონდის ოფისებიდან უცხოეთის შესაბამის სტრუქტურებში, მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც «ბნელეთის მოციქულის», «ობსკურანტის», «საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ინსტიტუციის» შესახებ»**

**— სარწმუნოდ გეჩვენებათ პროკურატურის ვერსია მღვდლის დაკავებაზე?**

— მართლმადიდებელ ეკლესიასთან ხილული თუ უხილავი ბრძოლა რომ მიმდინარეობს, ეს, რასაკვირველია, არახალია და გამოხატულებაა ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიასთან დაცემული სულის საუკუნოვანი ბრძოლისა, რომელიც ეშმაკის ადეპტების მიერ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმით წარმოებს.

ისტორიული ექსკურსიდან ჩვენს ეპოქას მოვუბრუნდეთ და გავიხსენოთ 2003 წლის შემდგომი ხანა, თუ როგორ სთხოვდა ოთხი მღვდელმთავარი საჯარო სივრციდან („ნაცმოძრაობის“ გაზეთის — „24 საათის“ ფურცლებიდან) პატრიარქს, საპატრიაქტო ტახტზე უარის თქმას და სინოდურ მმართველობაზე გადასვლას.

შემდეგ იყო უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ ბასტიონის — „რუსთავი 2“-ის მიერ წარმოებული შეუნიღბავი კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ, სახელმწიფო მოხელეების უშუალო ჩარევის მცდელობები სინოდის სხდომის მიმდინარეობაში (გავიხსენოთ უგულავას ვიზიტები საპატრარქოში სინოდის სხდომის მიმდინარეობისას), ათასი ჭორმართალი ნაციონალების ზეობისას პატრიარქის მოწამვლის შესახებ და ა.შ. ასე რომ, ეს თემა საკმაოდ დიდ გამოცდილებას იტევს და თანამედროვე ნეობოლშევიკების მეთოდებზე ფიქრი ისტორიულ პარალელების გავლების სურვილს აღგვიძრავს, რა მეთოდებით ებრძოდნენ სხვადასხვა ეპოქის ანტიქრისტეები — **როსტომ ხანები, კონსტანტინე მირზები, ტროცკისტები** და სხვები ქრისტე ღმერთის სხეულს.

ჩემი ნათქვამიდან არ მინდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეკლესიას მხოლოდ შინაური მტრები ებრძვიან. რასაკვირველია, ეს ასე არ არის — შინაური მტრები მხოლოდ უცხო ძალების ყურმოჭრილი რენეგატები და მათი ინსტრუქციების მორჩილი შემსრულებლები არიან. მართლმადიდებელ ეკლესიასთან, როგორც ავტორიტეტით პირველ საზოგადოებრივ ინსტიტუტთან, ბრძოლას ღრმა ფესვები აქვს და მიზნად ისახავს მისი გავლენის შესუსტებას საზოგადოებაზე მისი დისკრედიტაციის გზით. ჩვენ კარგად გვახსოვს, რა ანგარიშები იგზავნებოდა ომბუდსმენის, „თავისუფლების ინსტიტუტის“, სოროსის ფონდის ოფისებიდან უცხოეთის შესაბამის სტრუქტურებში, მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც “ბნელეთის მოციქულის”, “ობსკურანტი”, “საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ინსტიტუციის” შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, იყო პატაკი ამ უცხოური ინსტიტუტების შესაბამის დავალებებსა და მრავალათასიან გრანტებზე.

**— ფიქრობთ, რომ დღევანდელი სკანდალური საქმეც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?**

— აბა, სხვა რა შეიძლება ვთქვათ, როცა სასულიერო პირს აკავებენ მაღალი იერარქის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით? მე თითქმის გამოვრიცხავ, რომ პროკურატურას საკმარისი მტკიცებულებების გარეშე გამოეტანა ეს თემა საჯარაო სივრცეში, რადგან ყველამ კარგად ვიცით, როგორი მგრძნობიარეა ყველა საკითხი, რომლებიც ეკლესიას ეხება, მით უფრო, სასულიერო პირის დაკავება და თანაც, რა საბაბით — მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. ამასთანავე, მთავარი პროკურორის ბრიფინგზე ჩვენ მოვისმინეთ, რომ მას შემდეგ, რაც წყარომ პროკურატურას აუწყა, მავანი პიროვნება ცდილობდა ციანიდის შეძენას, ის კონტროლზე იქნა აყვანილი და მიმდინარეობდა მისი საუბრების ჩაწერა. ასე რომ, ეს ის შემთხვევაა, როცა, ვფიქრობ, რომ პროკურატურას საკმაო მასალა აქვს საიმისოდ, რომ საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა ეს ამბავი.

**— და მიზანი რა შეიძლება ყოფილიყო ამ შემზარავი ოპერაციის?**

— როგორც გამოძიება გვაუწყებს, ჩაფიქრებული იყო მაღალი იერარქის მკვლელობა. რაც შეეხება მოტივაციას, მოტივი ბევრს შეიძლება ჰქონოდა, მათ შორის, იმ ყველაფრის მკადრებელთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წლების განმავლობაში შეუნიღბავად უტევდა ეკლესიას სხვადასხვა ბინძური მეთოდით. ახლაც ვადევნებთ თვალყურს, როგორ ცდილობს ეს რევანშისტი ძალა, სხვადასხვა საბაბი გამოიყენოს საპროტესტო ტალღის ასაგორებლად, რათა მღვრიე წყალში ადვილად დაიჭიროს თევზი, მაღალი იერარქის, სავარაუდოდ, პატრიარქის მკვლელობა კი სწორედ ის შემზარავად ეფექტიანი საშუალება შეიძლება გამხდარიყო, რომელიც ამ ძალას „მეორედ მოსვლის“ რეალურ შესაძლებლობას გაუჩენდა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულ დეკანოზს უპოვეს თბილისი-კიევის ავიაბილეთი — უკრაინა კი ვისთან ასოცირდება ბოლო პერიოდში, ყველამ კარგად ვიცით. ასე რომ, ყველაფერი ობიექტურად უნდა შემოწმდეს და ყველაფერს ბოლომდე უნდა მოეფინოს ნათელი.

**— სასულერო პირის დაკავება ხომ არ გამოიწვევს საზოგადოების პროტესტს?**

— სამართალმა უნდა იზეიმოს! ცოტა ხნის წინათ გაასამართლეს სასულიერო პირი მარიხუანის მოხმარების ბრალდებით. **მივესალმები, თუკი დაიწყება ეკლესიის კათარზისის პროცესი და ჯერ კიდევ ნაციონალების პერიოდში და მანამდე ჩანერგილ კადრებს ჩამოაშორებენ ეკლესიას. მთავარია, არ დარჩეს კითხვის ნიშნები და ბნელი ლაქები ამ საქმეში — საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე.** და, ვისთანაც უნდა მიდიოდეს კვალი ძიების პროცესში, ყველამ უნდა აგოს პასუხი — რაოდენ დიდი საზოგადოებრივი და საეკლესიო მდგომარეობაც უნდა ეკავოს მას. ამისთვის საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს — არ დავუშვათ ამ საქმის მიფუჩეჩება და ჩაფარცხვა, თორემ ამ უხარისხოდ მოკვეთილი ბოროტების ადგილზე ხვალ უბოროტესი დევის ცხრა თავი ამოვა. ვინც უნდა იყოს ეს — პროლეტარი, ლუმპენი თუ სასულიერო იერარქი — კანონის წინაშე ყველა ანგარიშვალდებულია, თანაც საქმე ასეთ მძიმე ბრალდებას ეხება. მით უმეტეს, უფრო მეტი მოეთხოვება სასულიერო დასის წარმომადგენლებს, რომელთა ცხოვრებას საზოგადოება ლუპით უყურებს და ხშირად განკითხვის საგანი ხდება, ეს კი ჩირქს სცხებს ქრისტე ღმერთის სასძლო ეკლესიას, ხალხს კი რწმენას ურყევს. სახარება გვაუწყებს:

**„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქვლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვსასა“.**

მოამზადა
**რუსუდან გოცირიძემ**

# ნიკოლოზ მჟავანაძე: პროკურატურის სირცხვილია, რომ ნანუაშვილი დაპატიმრებული არ არის

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ პატრიარქის მოწამვლის მცდელობის ბრალდებით დაკავებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის, მისამართით გაკეთებულ განცხადებებს შემაშფოთებელს უწოდებს.**

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ამ საქმეზე პრემიერმინისტრის, ვიცეპრემიერის, იუსტიციის მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები უხეშად არღვევს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას: „საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. ადამიანის უფლებათა ცენტრი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე, შეახსენებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, რომლის თანახმადაც, უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების შემადგენელ უმნიშვნელოვანეს პრინციპს: „ყოველი პირი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. აღნიშნულ საქმეზე არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი. ამ ეტაპზე საზოგადოებისთვის უცნობია დაკავებული დეკანოზის პოზიცია. ინფორმაციას მედიას ვერ აწვდის მისი ადვოკატიც, რადგან პროკურატურამ გაუთქმელობის ხელწერილი დააწერინა (თუმცა უცნობია, საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს თუ არა). მედიაში ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები მაღალი იერარქიის სასულიერო პირების მხრიდან, რომელთა ნაწილი არათუ დეკანოზ **გიორგი მამალაძის** დამნაშავეობას აყენებს ეჭვქვეშ, არამედ თვითონ დანაშაულსაც. ამ ვითარებაში მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელმაც, ამასთანავე, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს საზოგადოების წინასწარი აზრის ფორმირებაზე და საფრთხე შეუქმნას სამართლიან და მიუკერძოებელ სამართალწარმოებას აღნიშნულ საქმეზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

რამდენად საფუძვლიანია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ გავრცელებული განცხადება, ირღვევა თუ არა რეალურად პატრიარქის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული სასულიერო პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია და რატომ ცდილობს რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა მის დაცვას, „საქართველო და მსოფლიო“ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარეს — **ნიკოლოზ მჟავანაძეს** დაუკავშირდა.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

— უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევაა, როცა ბრალდებულს ბრალის დამტკიცებამდე გამოაცხადებენ დამნაშავედ, მაგრამ აქ ლაპარაკია მხოლოდ განზრახვაზე; არსად თქმულა, რომ ის დამნაშავეა და ამას დამტკიცება არ სჭირდება.

რაც შეეხება „ადამიანის უფლებათა ცენტრს“, ის არის **უჩა ნანუაშვილის** ორგანიზაცია და რეალურად ეს ადამიანი მართავს ამ ორგანიზაციას. ასე რომ, მათ სიმართლე კი არ აინტერესებთ, ცდილობენ, ეკლესიას ჩირქი მოსცხონ. ამას ემსახურება მთელი ეს კამპანია, რომ თითქოს ვიღაცის უფლებები ირღვევა, ვიღაცას უკანონოდ აპატიმრებენ. მე თუ მკითხავთ, ნანუაშვილი თვითონ არის დასაჭერი. მეტიც, პროკურატურის სირცხვილია, რომ ნანუაშვილი დაპატიმრებული არ არის, რადგან აქ საუბარია უამრავ ფინანსურ დარღვევაზე... აგერ, სულ რამდენიმე დღის წინათ მის მიერ გათავისუფლებულმა ადამიანმა სასამართლოში აღიდგინა თავი. კიდევ რამდენი ასეთი უკანონობა ხდება, კაცმა არ იცის... ის არის სექტანტი და მთელი ცხოვრება ებრძვის ეკლესიას. ეს ე.წ. არასამთავრობოები კიდევ მისი მოკავშირეები არიან, მათ შორის, „ადამიანის უფლებათა ცენტრიც“, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოზიციაზე მისი ცოლია წარმოდგენილი.

**ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქაჯები, ანუ უინტელექტო ადამიანები მოვიდნენ, თანაც — უმაღლეს ხელისუფლებაში. პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ქაჯეთის ციხეა. დააკვირდით მათ ჰაბიტუსებს, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ძნელად წააწყდებით პიროვნებას, ანუ ადამიანს, რომელიც ივანიშვილის გარეშე რაიმეს წარმოადგენდა ან წარმოადგენს.**

**გაბრაზება სიმართლის თქმის გამო, რაც უნდა მწარე იყოს ის, არ შეიძლება, რადგან, საბოლოოდ, ყველა შემთხვევაში, გაბრაზებული მარცხდება. სიმართლე კი ისე, როგორც ბალახი არღვევს ბეტონს ნელ-ნელა, ადრე თუ გვიან, სადმე მაინც ამოხეთქავს...**

# ბიძოკრატია

## მხოლოდ ინტელიგენცია არ არის საქართველო

თემაზე, რომელსაც წინამდებარე წერილში გთავაზობთ, ადრეც არაერთხელ დამიწერია „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე, მაგრამ, როგორც იტყვიან, გაკვრით, გარკვეულწილად — ზერელედაც. ამიტომ სურვილი გამიჩნდა, მკითხველთან ერთად საფუძვლიანად გავაანალიზო ბატონი ბიძინა ივანიშვილის „ქველმოქმედების“ ფენომენი ზოგადად ალმშენებლობის და კონკრეტულად ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციის მიმართ; აგრეთვე, თეზა, რომელსაც მისი მეხოტბე ინტელიგენცია „აწვება“ — ფული მისია, ვისაც უნდა, მისცემს, უნდა, მაგნოლიებს გადარგავს და უნდა, ზებრა-ზვიგენებით გაერთობა და ა.შ. მაგრამ, მოდი, გავაანალიზოთ, ყველა დროისა და ხალხების (ასეთ შეფასებასაც მოისმენთ მისი მაძღარმუცელა მეხოტბეებისგან) უდიდეს ქველმოქმედს რა გაუკეთებია უბრალო ადამიანებისთვის.

**მხოლოდ ინტელიგენცია, თუნდაც შემოქმედებითი, არ არის საქართველო.**

**ინტელიგენტი — მდიდარი შინაგანი კულტურისა და დამოუკიდებელი აზროვნების მქონე ადამიანი.** ასე განმარტავს ამ ლათინურ სიტყვას ლექსიკონი და შესაბამისად ინტელიგენცია ასეთი ადამიანებისგან შემდგარ ჯგუფს ეწოდება. აქედან გამომდინარე, არის კი ივანიშვილის უპირობოდ მხარდამჭერი ინტელიგენცია დამოუკიდებელი აზროვნების მქონე? — ისინი ხომ ნებისმიერს დაადანაშაულებენ ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში, ოღონდ არამც და არამც — ბიძინას.

რატომ?

იმიტომ, რომ **ფულზე გაიყიდა ქართველი ინტელიგენციის უმეტესი, ანუ ერის „გონიერი“ ნაწილი, რომლისგანაც ჩამოყალიბდა ივანიშვილის პროფესიონალ მეხოტბეთა კასტა, გნებავთ — სექტა, რომელიც ვეღარაფერს ხედავს და არაფერი ესმის.**

ადამიანურად მესმის მათი — როდესაც ივანიშვილის „სტიპენდიანტი“ ხარ, მამამარჩენალზე აუგის (წაიკითხე, სიმართლის) თქმა ძნელია, ოღონდ, მიუხედავად „გაგებისა“, ვერავის მოვუწონებ კონფორმიზმს. მით უმეტეს, ვერ გავამართლებ ბიძინას „დამსახურებულ მეხოტბეთა პრიმადონებს“ — **გურანდა გაბუნიას, ქეთი დოლიძესა და ნინელი ჭანკვეტაძეს.**

ვიმეორებ ქვესათაურში მოყვანილ თეზას — **მხოლოდ ინტელიგენცია არ ხართ საქართველო.**

უფრო მეტიც — უწინარესად, **სწორედ ის ხალხია საქართველო, რომელიც წლების განმავლობაში გიკრავდათ ტაშს სცენაზე თუ ეკრანზე განსახიერებული ზნეობრივი როლების გამო და, თუ განსახიერებული გმირებივით დიდი ქართველები ვერ ხართ ცხოვრებაში, ხმა მაინც ამოიღეთ იმ ხალხის უკიდურესი გაჭირვების გამო, რომელთა აღიარება-აპლოდისმენტებმა გაქციათ სახალხო არტისტებად, პოეტებად თუ მწერლებად.**

მართალია, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ცუდ დღეში ჩავარდა ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია, მაგრამ მათ უმრავლესობას ისე არ გასჭირვებია, რომ პურის ფული ჰქონოდა სანატრელი, რადგან „ქონი“ საკმაოდ დაიგროვეს კომუნისტურ საქართველოში. და საკვირველი სწორედ ის არის, რომ, პირველ რიგში, ის ადამიანები და მათი შვილები ლანძღავენ კომუნისტურ რეჟიმს, რომლებიც ამ რეჟიმის პრივილეგიებით სარგებლობდნენ...

საზოგადოებას შევახსენებ **ბუბა კიკაბიძის** მაგალითს — „მიმინოს“ ისე „უჭირდა“, რომ ივანიშვილის მიერ დანიშნულ ყოველთვიურ 5000 ლარს წლების განმავლობაში არ იღებდა, მაგრამ, როდესაც ივანიშვილის „ქართუ ბანკის“ გადასარჩენად რიგითი ქართველები ბოლო 5-10 ლარით ანგარიშებს ხსნიდნენ, „უკანასკნელი მეფაიტონე“ უნამუსოდ მიადგა „ქართუ ბანკს“ და უზარმაზარი თანხა გამოიტანა — ეს ფაქტი იმის დასტურად, რომ ინტელიგენციის უმრავლესობას არანაირი დახმარება არ სჭირდებოდა.

და მეორე, ოღონდ საპირისპირო მაგალითი — რატომ ვერ მოხვდა ივანიშვილის სტიპენდიანტთა შორის **გოდერძი ჩოხელი**, რომელსაც მართლაც უკიდურეს გაჭირვებაში ამოხდა სული — რა, სხვებზე ნაკლები მწერალი იყო თუ ინტელიგენტი?!

საერთოდ, **ბიძინა ივანიშვილის სტიპენდიანტთა სია (ოსკარ შინდლერის სიასთან პარალელი ქვემოთ დამჭირდება) ერთობ საინტერესოა — პენსიისა თუ სტიპენდიის ქვედა მინიმალური ზღვარი თვეში 200 ლარია, ხოლო ბუბა კიკაბიძესავით „განსაკუთრებული დამსახურების“ მქონე ინტელიგენტებისთვის, როგორც ვნახეთ, 5000 ლარსაც ურტყამდა,** თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ „ხუთიათასიანთა“ რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო.

ვის რა კრიტერიუმით ეძლეოდა 200 ლარი და ვის — 500, 1000 და ა.შ., თვითონ ივანიშვილმა იცის, მაგრამ ეს საზოგადოებას არ აინტერესებს,



**ფულზეა გაყიდული ქართველი ინტელიგენციის უმეტესი, ანუ ერის «გონიერი» ნაწილი, რომლისგანაც ჩამოყალიბდა ივანიშვილის პროფესიონალ მეხოტბეთა კასტა, გნებავთ — სექტა, რომელიც ვეღარაფერს ხედავს და არაფერი ესმის**

რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა ფული არა მხოლოდ მისია, არამედ მართლაც არავისი საქმე არ არის, ვის კეთილგანწყობილ დუმილს თუ ოსანას გალობას რამდენ ლარად აფასებს ივანიშვილი.

ამიტომ **რამდენიმე კითხვით მინდა მივმართო ბიძინა ივანიშვილის ბაგაზე დაბმულ და ამის გამო ყურებში ბამბაგაჩრილ, ენაგადაყლაპულ და თვალზე ლიბრგადაკრულ ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციას:**

* რა ღირდა ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის გამო დუმილი? **ხომ მთელმა დუნიამ იცის, რომ ივანიშვილის მიერ მაგიდაზე მუშტების ბრახუნის (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) გამო მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ კანონი, რომელსაც ქვეყნის დამღუპველი უწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა?**

* **ჭაბუა ამირეჯიბის** ორმოცზე **ლაშა თაბუკაშვილის** მიერ წარმოთქმული პატრიარქის სადღეგრძელო ბიძინამ აიტაცა, მაგრამ ისეთი რამ თქვა, იქ მყოფი ადამიანები გააოგნა. სწორედ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა, — პატრიარქიც ჩვეულებრივი მოკვდავია და მისი კრიტიკაც, რატომაც არა, ყველასგან მოსულაო, ერის სულიერი მამის მიმართ შეურაცხყოფის ახალი ტალღა წამოვიდა. **და რა ღირდა დუმილი იმ შემოქმედებითი ინტელიგენციისა, რომლის ელიტა ესწრებოდა დიდი მწერლის ორმოცს და ეს ყველაფერი მოისმინა?**

* რა ღირდა ქართველთმოძულე რესპუბლიკელებისთვის პრაქტიკულად მთელი ხელისუფლების ჩაბარებაზე დუმილი?

* რა ღირდა **დავით ნარმანიას** თბილისის მერად, ხოლო ლიბერასტი **გიორგი მარგველაშვილის** საქართველოს პრეზიდენტად წამოსკუპებაზე დუმილი?

* რა ღირდა საყდრისის აფეთქებაზე დუმილი?

* რა ღირდა სახალხო დამცველად თხემით ტერფამდე ეშმაკის დანიშვნაზე დუმილი, რომელიც ყველას და ყველაფერს იცავს, გარდა ქართველი კაცის უფლებებისა?

* ან რა ღირს დუმილი განათლების მინისტრად კიდევ ერთი სატანის დანიშვნაზე, რომელმაც უმდიდრესი ქართული ფოლკლორის განქიქება-დამცრობის კამპანია წამოიწყო?

* აღარაფერს ვამბობ ყბადაღებულ **კოაბიტაციაზე**, რადგან ახლა მისი გაგრძელების მოწმენი ვართ **გიგი უგულავას** გათავისუფლებაზე დუმილით და რა ეღირება **ვანო მერაბიშვილისა** და ძმები **ახალაიების** გათავისუფლებაზე დუმილი?

**რა ღირს** და **რა ღირდას** ჩამოთვლას კარგა ხანს ვერ მოვრჩები, ამიტომ კიდევ ერთ **რა ღირდას** ვიტყვი და ამით დავასრულებ წერილის ამ მონაკვეთს.

**ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე ლაშა თაბუკაშვილის მიერ წარმოთქმული პატრიარქის სადღეგრძელო ბიძინამ აიტაცა, მაგრამ ისეთი რამ თქვა, იქ მყოფი ადამიანები გააოგნა. სწორედ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა, — პატრიარქიც ჩვეულებრივი მოკვდავია და მისი კრიტიკაც, რატომაც არა, ყველასგან მოსულაო, ერის სულიერი მამის მიმართ შეურაცხყოფის ახალი ტალღა წამოვიდა. და რა ღირდა დუმილი იმ შემოქმედებითი ინტელიგენციისა, რომლის ელიტა ესწრებოდა დიდი მწერლის ორმოცს და ეს ყველაფერი მოისმინა?**

ბატონი ივანიშვილი, რომელმაც, რომ იტყვიან, თავი მოიქაჩლა, წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყნის ყველა კუთხეში ფეხდაფეხ დასდევდა „ქართული ოცნების“ ძველ თუ ახალ უსახურ სახეებს, რათა საკონსტიტუციო უმრავლესობა მოეპოვებინა და შეძლო კიდეც **ბუდარიხა ჩუგოშვილის** მსგავსი ადამიანებით პარლამენტის დაკომპლექტება, რადგან ქართველი ამომრჩეველი კიდევ ერთხელ გაიყიდა — ამჯერად ჭორვილელი მილიარდერის ფოჩიან კანფეტებზე.

ჰოდა, **სად ბრძანდება შემოქმედებითი ინტელიგენციის მამა-მარჩენალი? რატომ ერთხელაც არ გამოჩნდა არჩევნების შემდეგ საზოგადოებაში ნომერი პირველი მოქალაქე თუნდაც იმის გამო, რომ ლარმა გაუფასურების ყველა რეკორდი მოხსნა და შედეგად ყველაფერი გაძვირდა?**

დღეს **სააკაშვილის** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გარდაცვალებიდან 5 წლისთავს უნდა „ვგლოვობდეთ“ და, როგორ მოხდა, რომ ორ ნაწილად დაშლილ-გაშლილი მიშნაცები ერთიანად გვიტევენ? **აშშ-ის ელჩით დაწყებული, მარსელებით დამთავრებული — ყველა ყველაფერშია დამნაშავე „წმინდა“ ბიძინას გარდა? მაგრამ მან ხომ ქვეყანა იხსნა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმისგან და ამისთვის სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვემადლიერებოდეთ.**

მართლაც, რას ვერჩით? „მაყუთი“ აქვს და უნდა მაგნოლიებით გაერთობა და უნდა — პინგვინებით, მაგრამ...

როდესაც ქვეყნის გადამრჩენისა და სამების ამშენებლის ტიტულზე გაქვს პრეტენზია, ასწლოვანი ხეების გადარგვა-გადმორგვით არ უნდა გაალიზიანო საზოგადოების დიდი ნაწილი — უკიდურესად გაჭირვებული. ზევით შინდლერის სია ვახსენე, რადგან ის ეპიზოდი გამახსენდა ფილმიდან, რომელშიც ომის დამთავრების შემდეგ ათასობით ებრაელის გადამრჩენი კაცი ტირის — ან ეს ავტომობილი რად არ გავყიდე, ან ოქროს საათი, ერთ-ორ ადამიანს ხომ კიდევ გადავარჩენდი გაზის კამერაში სიკვდილისგანო.

ჰოდა, **რამდენი გაჭირვებული ოჯახის შველა შეიძლება იმ თანხით, რამდენიც ერთი ასწლოვანი მაგნოლიის გადარგვა-გადმორგვა უჯდება ჭორვილელ მილიარდერს?**

თუმცა, ესეც იქით იყოს — კინოფილმი „ნერგები“ მაინც არ უნახავს ბატონ ბიძინას?

უნახავს, როგორ არა, მაგრამ ხეჭეჭურის ხსე- ►

**მთავარი პროკურორის მხრიდან ჟურნალისტის მსგავსი ვირეშმაკობის მიუხედავად, რომ თითქოს ჯერ არ იციან, კონკრეტულად რომელი მაღალი საეკლესიო იერარქის მოწამვლას აპირებდა მამა გიორგი მამალაძე, ბრიყვისთვისაც ნათელია, რომ ბერლინში მიმავალი ქართველი სასულიერო პირი, გერმანიის ლუთერანული ეკლესიის უმაღლესი იერარქის მოწამვლას კი არა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოკვლას აპირებდა.**

ჰკა მაგათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნებაზე, ალბათ, მხოლოდ ბროლის ვაზით სუფრაზე მოტანილი მსხალი ახსენდებოდა და არა ის, რასაც ფილმი გვასწავლის, თორემ მაგნოლიის ნერგებს დარგავდა საკუთარ მამულში და მერე რა, რომ მის ჩრდილში წამოწოლას ვერ მოესწრება (მილიარდერებიც სიკვდილის შვილები არიან), სამაგიეროდ, ასწლოვანი რელიქტების გადარგვა-ტრანსპორტირებით არა მხოლოდ „ვანოს შოუს", არამედ ქართველი საზოგადოების უმრავლესობის (მინუს ბიძინას მეხოტბე ინტელიგენცია) სასაცილოდ არ გაიხდიდა საქმეს.

ისე, ალბათ, ბიძინას მეხოტბეებსაც ეცინებათ გულში, მაგრამ ხმამაღლა რას გაბედავენ?!

სიცილზე გამახსენდა და, ბატონ ბიძინას ისე უყვარს ფილოსოფოსობა, ნიცშეს არ ეთანხმება. ჰოდა, კიდევ ერთ საფილოსოფოსო მასალას მივცემ, რომელიც საფრანგეთის მეფეს — ლუდოვიკო XIV ეხება:

მეფე-მზეს უბრძანებია გადასახადების მომატება და მოკლე ხანში უკითხავს, — ხალხი რას ამბობსო.

ადამიანები ძალიან ბრაზობენო, — მოახსენეს. კიდევ მოუმატეთო და... ახლა რას ამბობენო?

— დედ-მამის სულს გიტრიალებენ, თქვენო უდიდებულესობავ!

კიდევ მოუმატეთო და, როდესაც მოახსენეს, აღარც ბრაზობენ და აღარც ილანძღებიან, უკვე იცინიანო, ლუდოვიკოს გადასახადების შემცირება უბრძანებია.

დიახ, ბატონო ბიძინავ, **თქვენს მაგნოლიებზე, ჟირაფებსა და პინგვინზვიგენებზე ხალხი უკვე იცინის.**

დასასრულ, მთავარი კითხვა:

**რა გააკეთა ბიძინამ უბრალო ხალხისთვის?**

ეს შეკითხვა ივანიშვილის მეხოტბე ინტელიგენციის წარმომადგენლებს რომ დაუსვათ, ეგრევე მოგახლიან — სამება ააშენაო, რაც მთლად სიმართლე არ არის, რადგან, ბიძინას გარდა, აწ გარდაცვლილმა ბიზნესმენებმა — **ბადრი პატარკაციშვილმა** და **მამუკა ჯინჭარაძემაც** გაიღეს დიდძალი თანხა. ეს, რაც მე ვიცი და, ალბათ, სხვა ბიზნესმენებიც იქნებოდნენ ამ საქმეში ჩართული შედარებით მცირე თანხებით, მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, მაინც ვერ ჩაითვლება ივანიშვილი სამების ერთპიროვნულ ამშენებლად (მით უმეტეს — აღმშენებლად, როგორც ზოგი მეხოტბე მლიქვნელობს დავით აღმაშენებელზე მინიშნებით). **სამების ამშენებელი უფრო ის რიგითი ქართველია, რომელმაც ლუკმა მოიკლო და უკანასკნელი ლარი შესწირა ტაძრის შენებას და არა ის, ვინც 7 მილიარდიდან რამდენიმე მილიონი გაიმეტა.** ასე გვასწავლის სახარება — უფალმა დედაბრის მიერ გაღებული უკანასკნელი გროში უფრო დიდად შეიწირა, ვიდრე მებაჟის მიერ გაღებული დიდი ქონების ნაწილი...

ანალოგიურის თქმა შეიძლება ივანიშვილის მიერ ქობულეთში აშენებულ საკონცერტო დარბაზზეც, რომელიც საჩუქრად გადაუცია ბიძინას სახელმწიფოსთვის. **ეკონცერტება მას, ვისთვისაც ლუკმაპურისთვის ბრძოლა ყოველდღიური საქმიანობაა?**

**რობი უილიამსის უკანალის სანახავად სცხელა მას, ვისაც სოციალური დახმარება მოუხსნეს, როდესაც ხელისუფლების მაღალჩინოსნები ათასობით ლარს იჯიბავენ პრემიების თუ ხელფასზე დანამატების სახით?**

რუსთაველის თეატრიც კარგია, ოპერა — კიდევ უკეთესი, მაგრამ მაინც იმ აზრზე ვარ, რომ მთავარი პრიორიტეტი უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა უნდა იყოს. მას, სულ ცოტა, არ უნდა შიოდეს და სციოდეს. არადა, ეს სულაც არ არის შეუძლებელი თუნდაც იმ რეზერვების ხარჯზე, რომლებსაც ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, პრემიებზე უარის თქმა, პარლამენტის თბილისში გადმოტანა ჰქვია. ამას კი ხელისუფლების ნება სჭირდება და მეტი არაფერი, მაგრამ რატომ არ აკეთებს ამას ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი ივანიშვილი?..

**ინტელექტი (ლათ. INTELLECTUS — გაგება, შემეცნება, გონება) — პიროვნების თვისება, რომელიც აზროვნების უნარს, აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.** ასე განმარტავს ამ ლათინურ სიტყვას ლექსიკონი და ძაღლის თავიც აქ არის დამარხული — საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ყველაფრის ყიდვა, მათ შორის, ინტელექტის, შეუძლებელია. **ინტელექტის ნაკლებობიდან მოდის პინგვინებიც, ზვიგენებიც, მაგნოლიებიც და, ნიცშეს რომ არ ეთანხმება, ისიც.**

ქაჯები განა მოდიან, მიდიანო — გახსოვთ, ალბათ, გაოპოზიციონერებული **სალომე ზურაბიშვილის** ფრთიანი ფრაზა, მაგრამ, ვაი, რომ პირიქით მოხდა — **ქაჯები, ანუ უინტელექტო ადამიანები მოვიდნენ, თანაც უმაღლეს ხელისუფლებაში. პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ქაჯეთის ციხეა.**

**დააკვირდით მათ ჰაბიტუსებს, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ძნელად წააწყდებით პიროვნებას, ანუ ადამიანს, რომელიც ივანიშვილის გარეშე რაიმეს წარმოადგენდა ან წარმოადგენს.**

ისე, არც ბიძინა ივანიშვილია დიდი ვინმე — მილიარდები რომ არ ჰქონდეს, ხელსაც არავინ ჩამოართმევდა ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ნაწილიდან, რომელიც დღეს ფეხქვეშ ეგება.

**დავით მხეიძე**

**P.S. სიმართლის ფენომენით დავიწყე და მინდა, ამითვე დავასრულო — „რუსთავი 2"-ს წლების განმავლობაში პრინციპულად არ ვუყურებდი, მაგრამ ბოლო პერიოდში თვალი ზოგჯერ გამექცევა ხოლმე, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, საძულველი ნაცების აპოლოგეტები არიან, ხშირად სიმართლეს ამბობენ და, მიუხედავად იმისა, რომ ნაცების გვერდით დადგომას ვერაფერი მაიძულებს, ის, რომ ჩემისთანა ხალხი „რუსთავი 2"-ს უყურებს და ვანოს ლიცინზეც ეცინება, ხელისუფლებისთვის საგანგაშო მგონია...**

# ციანიდი პატრიარქისთვის

**ის ხომ არ არის მოწამვლის მცდელობის მოტივი, რომ პატრიარქმა საპატრიარქო ტახტისა და კვერთხის მემკვიდრედ უკვე დაასახელა კონსერვატორი იერარქი, რომლის წინააღმდეგი არიან არა მხოლოდ ეკლესიის წიაღში ჩაბუდებული ლიბერალი მღვდელმთავრები, არამედ ეკლესიის გარეთ მყოფი ლიბერალური პოლიტიკურ ძალები საქართველოსა და უცხოეთში?**

**დიახ, ამასაც მოვესწარით, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის მოწამვლის მცდელობა, ჩემი აზრით, დადასტურებული ფაქტია და არა ისეთი ორაზროვანი, როგორც მიშნაცების 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, ჟურნალისტები საკუთარი უსაფრთხოების მიზნით რომ წერდნენ ხოლმე: „ამბობენ, რომ" ან „სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, პატრიარქი რამდენჯერმე მოწამლეს"; „გიგი უგულავამ პატრიარქი ფიზიკურად შეურაცხყო"; „წმინდა სინოდის სხდომას უკანონოდ ესწრებოდა სოსო თოფურიძე" და ა.შ. მსგავსი ჟურნალისტური ვირეშმაკობები ისეთივე ძველი ფანდია, როგორც ჟურნალისტობაა ერთ-ერთი ძველი პროფესია.**

ახლა, მთავარი პროკურორის მხრიდან ჟურნალისტის მსგავსი ვირეშმაკობის მიუხედავად, რომ თითქოს ჯერ არ იციან, კონკრეტულად რომელი მაღალი საეკლესიო იერარქის მოწამვლას აპირებდა მამა **გიორგი მამალაძე**, ბრიყვისთვისაც ნათელია, რომ ბერლინში მიმავალი ქართველი სასულიერო პირი, გერმანიის ლუთერანული ეკლესიის მაღალი იერარქის მოწამვლას კი არა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოკვლას აპირებდა.

საზოგადოების შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამ საქმეს არაოფიციალურად ადევს გრიფი „საიდუმლო", რადგან ჩვენში საქმეზე გრიფი „საიდუმლოს" დადება ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება ვერასდროს ვერაფერს გაიგებს (ენგურჰესის გასხვისება, „გაზპრომთან" დადებული კონტრაქტი და ა.შ.). დედუქციის მიხედვით, უწინარესად, უნდა გაანალიზდეს, ვის ინტერესებშია მომხდარი თუ მოსახდენი დანაშაული, რადგან ამის დადგენის შემდეგ დამნაშავის გამოვლენა, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმეა...

საზოგადოებას შევახსენებ, რომ „საქართველო და მსოფლიო" პირველი იყო ქართულ ბეჭდურ მედიაში (და, მგონი, დღემდე ერთადერთიც), რომელმაც ჯერ კიდევ სააკაშვილის ზეობის ჟამს გაბედა და ხმა აღიმაღლა ჩვენს დედაეკლესიაში არსებულ პრობლემებზე, როცა 2012 წლის 19 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა თქვენი მონა-მორჩილის სტატია სათაურით „მეუფე ყანდური". სწორედ ამ სტატიაში ვამხილე ერთ დროს ჩემი კლასელი, ამჟამად ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტი **მეუფე გრიგოლი**, რომელიც მამა **შიო შავნაბდელსა** და ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტ **მეუფე კალისტრატესთან** ერთად საზოგადოების მიერ მიშისტობაში იყო ბრალდებული, რადგან წმინდა ხატების გვერდით პირსისხლიანი სააკაშვილის უზარმაზარი ფოტო-ბანერები „ესვენათ" და წლების განმავლობაში უქადაგებდნენ მრევლს, არჩევნებზე 5-იანი შემოეხაზათ.

2016 წლის 16-27 ივლისს საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე მსოფლიოს პატრიარქის — **ბართლომე I** ინიციატივით, ე.წ. დიდი საეკლესიო კრება უნდა ჩატარებულიყო, რომელიც შინაარსით ეკუმენისტური იყო და ამიტომ საქართველოს ეკლესიამ სერბეთის, რუსეთისა და ბულგარეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებთან ერთად უარი თქვა სულისწამწყმედ კრებაში მონაწილეობაზე.

**მეუფე გრიგოლი სინოდის იმ ლიბერალ წევრებს შორის აღმოჩნდა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ კრეტაზე წასვლას და ამიტომ შარშან, ივლისში მეორედ გავაყანდურე „საქართველო და მსოფლიოს" ფურცლებზე.**

ამ ზაფხულს კი სენაკში ისეთი ამბები შევიტყვე ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტ **მეუფე პეტრეზე,** რომ ყურში არ შეიშვებოდა და ა.წ. 31 იანვარს საზოგადოების მიერ ლიბერალობაში ეჭვმიტანილი მეუფეები, რომლებიც თავიანთ თავს პატრიარქის ტახტზე განიხილავდნენ, ყველანი ერთად გავაყანდურე წერილში სათაურით **„როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურები სიკვდილს პატრიარქისა"...**

მოკლედ, **ჭაბუა ამირეჯიბის** „მეუფე ყანდურში" არა მხოლოდ **გურამ ბერბიჭაშვილი** (მეუფე გრიგოლი), არამედ, საზოგადოდ, ლიბერალები იგულისხმება საქართველოს დედაეკლესიის წიაღში და ისინი, ვინც შეიძლება იყვნენ დაინტერესებულნი პატრიარქის მოშორებით, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში **იოსებ თოფურიძის** მიერ გადაბირებულ-შეგზავნილ ლიბერალურ ძალებშია საძებნი.




**ისეთი ამბები შევიტყვე ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტ მეუფე პეტრეზე, რომ ყურში არ შეიშვებოდა და ა.წ. 31 იანვარს საზოგადოების მიერ ლიბერალობაში ეჭვმიტანილი მეუფეები, რომლებიც თავიანთ თავს პატრიარქის ტახტზე განიხილავდნენ, ყველანი ერთად გავაყანდურე წერილში სათაურით „როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურები სიკვდილს პატრიარქისა"...**

საერო თუ სასულიერო ლიბერალებს ქართული ეროვნული ცნობიერება აკლიათ, თორემ ჭკუის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან, ამიტომ ბევრ კითხვას აჩენს მომხდარი...

პირველი და, ალბათ, უმთავრესი: დიდხანს აცოცხლოს ღმერთმა ჩვენზე ზრუნვით დამაშვრალი პატრიარქი, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს „დიდხანს" რამდენიმე პარასკევია და რატომ ლიბერალთა ასეთი ალოგიკური სულსწრაფობა?

ის ხომ არ არის მოწამვლის მცდელობის მოტივი, რომ პატრიარქმა საპატრიარქო ტახტისა და კვერთხის მემკვიდრედ უკვე დაასახელა კონსერვატორი იერარქი, რომლის წინააღმდეგი არიან არა მხოლოდ ეკლესიის წიაღში ჩაბუდებული ლიბერალი მღვდელმთავრები, არამედ ეკლესიის გარეთ მყოფი ლიბერალური პოლიტიკურ ძალები საქართველოსა და უცხოეთში?

ვიცი, რომ ამ ვარაუდების გამოთქმით ნელ-ნელა ე.წ. შეთქმულების თეორიისკენ მივდივარ და ამან შეიძლება მავანთა ქილიკი გამოიწვიოს, მაგრამ, დალოცვილო, რაღა თეორია, ბოლო 25-30 წელიწადი საქართველო დიდი შეთქმულების მსხვერპლი არ არის?

ამიტომ უფრო ღრმად შევტოპავ.

ის მღვდელი, რომელიც ციანიდით ხელში დააკავეს, რომ არ დაეკავებინათ და მოეწამლა პატრიარქი, პათოლოგანატომები, მართალია, დაადგენდნენ პატრიარქის სიკვდილის მიზეზს, მაგრამ მკვლელს, სავარაუდოდ, — ვერა.

ამიტომ **გარდაცვლილი პატრიარქის ტახტზე ლიბერალები სასწრაფოდ დასვამდნენ ვითომ კონსერვატორ პირს, სინამდვილეში ვინმე მეუფე ყანდურს, რომელიც მალე დაადანაშაულებდა მკვლელობის ორგანიზებაში „ქართულ ოცნებას" (რა, ნაცებიდან პორტირებული ლიბერალები ცოტა ჰყავთ?) და პირადად ბიძინა ივანიშვილს. მოეწყობოდა ქართული მაიდანი, კიევიდან ჩამოვიდოდა სააკაშვილი და, რომ იტყვიან, ჩაო!**

ასეთი სცენარი გამორიცხულია?

მოკლედ, კითხვები, ვარაუდები საკმარისზე მეტია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ახლა მთავარია, პროკურატურას არ მივცეთ გამოძიების უსაშველოდ გაჭიანურების საშუალება და, როგორც ყოველთვის ხდებოდა, ახლაც ვერ გავიგოთ ქართველმა საზოგადოებამ, რას გადავურჩით თუ, საერთოდ, გადავურჩით.

ამიტომ ქვეყნის დეოკუპაციაზე მეტად საშურ საქმედ, საქართველოს დედაეკლესიის დეყანდურიზაცია, ანუ ახალი რუის-ურბნისის კრების მოწვევა მიმაჩნია.

დასასრულ, **სანამ პროკურატურა დაიწყებდა საქმის გამოძიებას, რას აკეთებდა პატრიარქის დაცვა, რომლის უფროსიც პატრიარქის ძმისშვილის სიძეა?**

ვფიქრობ, კითხვა, საგანგაშო თუ არა, დამაფიქრებელია, უეჭველად...

**დავით მხეიძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრი რამ, რაზეც ვლადიმერ პუტინმა მიუნხენში ილაპარაკა (ორმაგი სტანდარტები, იდეოლოგიური სტერეოტიპები, შაბლონური აზროვნება), კვლავინდებურად უშლის ხელს რუსეთის ურთიერთობას დასავლეთთან, მაგრამ ამ მომენტში მიუნხენური გამოსვლა 2.0-ის აუცილებლობა არ არის. უკვე ყველამ გააცნობიერა თავისი როლი ახალ მრავალპოლუსიან მსოფლიოში. რაც შეეხება აშშ-ს, ეს ქვეყანა, უბრალოდ, ჯერ მზად არ არის, თავის თავს გამოუტყდეს, რომ აღარ არის მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფო.**

# 10 წელიწადი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## რაზე აფრთხილებდა რუსეთის პრეზიდენტი მსოფლიოს მიუნხენში სიტყვით გამოსვლისას

**2007 წლის 10 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უსაფრთხოების საკითხებზე მიუნხენში გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ პუტინი იყო ქვეყნის ლიდერი, რომელმაც არაორაზროვნად და მკაცრად ილაპარაკა მსოფლიოს პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, სხვა სახელმწიფოების მიმართ ძალის გამოყენებაზე, ნატოს გაფართოებაზე აღმოსავლეთით, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე. მისმა განცხადებებმა ბობოქარი რეაქცია გამოიწვია დასავლეთში.**
**ბევრი პოლიტოლოგის აზრით, განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ თეზისებს პუტინის სიტყვიდან დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთის პრეზიდენტის 10 წლის წინანდელი გამოსვლა მიუნხენში, რაზე აფრთხილებდა მსოფლიოს და რა მოხდა მისი განცხადებებიდან ამ ხნის განმავლობაში?**



### გაღიზიანებიდან პატივისცემამდე

მიუნხენში პუტინის გამოსვლამ დასავლეთს დაანახვა, რომ რუსეთი აღარ აპირებს ცივ ომში დამარცხებული ქვეყნის როლის შესრულებას და მზად არის, დაიბრუნოს პოზიციები მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე.

„მიუნხენში პუტინის სიტყვით გამოსვლით, რომელიც მიმართული იყო ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეებისადმი, სტარტი აიღო რუსეთის პოლიტიკის სუვერენიზაციის პროცესმა“, — განაცხადა პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის დირექტორმა **ალექსეი მუხინმა** ტელეარხ ПИ-სთვის („რაშა თუდეი“) მიცემულ ინტერვიუში.

„რუსეთის ასეთი დამოუკიდებელი პოზიცია ბევრს არ მოეწონა დასავლეთში და მიუნხენის შემდეგ დასავლეთის მასმედიაში ანტირუსული განწყობილების მომატება დაიწყო, პუტინი და რუსეთი კი საინფორმაციო ომის სამიზნეში აღმოჩნდნენ, რომელმაც 10 წლის შემდეგ არნახულ მასშტაბს მიაღწია. დაიწყეს პუტინის პერსონის დემონიზება, რუსეთი კი დასავლეთის ისტებლიშმენტის ძლიერ დაპირისპირებას წააწყდა ყველა მიმართულებით. ამ პროცესის კულმინაცია იყო რუსეთისთვის დაწესებული სანქციები, მაგრამ, დასავლეთის ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთმა დაიბრუნა შესაძლებლობა „გაეტარებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა“.

**ცხოვრებამ დაადასტურა მიუნხენში პუტინის მიერ ნათქვამის სიმართლე. და დღეს ბევრი რამ, რაზეც ლაპარაკობდა რუსეთის პრეზიდენტი, წინასწარმეტყველურ გაფრთხილებად ჩანს.**

„პუტინის მიუნხენური სიტყვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინასწარმეტყველური, — ადასტურებს მუხინი, — მან მიუთითა დასავლური პოლიტიკური სისტემისა და დასავლური ფასეულობების სისუსტეებზე. იმხანად ამან გაღიზიანება გამოიწვია, ამჟამად კი პატივისცემას იწვევს“.

### „ზედმეტი პოლიტესის გარეშე“

ვლადიმერ პუტინმა თავისი სიტყვა მიუნხენში ემოციურად დაიწყო, და ამით ტონი მისცა არა მხოლოდ ამ გამოსვლას, არამედ რუსეთის საგარეო პოლიტიკას.

„კონფერენციის ფორმატი შესაძლებლობას მაძლევს, თავიდან ავირიდო ზედმეტი პოლიტესი (თავაზიანობა, ეტიკეტი — რედ.) და აუცილებლობა, ვილაპარაკო სასიამოვნო, თუმცა არაფრისმომტანი დიპლომატიური შტამპებით“, — თქვა რუსეთის პრეზიდენტმა, რომელსაც მომდევნო წლებშიც არ უღალატია ამ სტილისთვის მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე.

### ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული

პუტინის მიუნხენური სიტყვის ერთ-ერთი მწვავე თეზისი იყო კრიტიკა ერთპოლუსიანი მსოფლიოსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მძიმე მემკვიდრეობად იქცა.

*** „თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთპოლუსიანი მოდელი არა მხოლოდ მიუღებელია, არამედ, საერთოდ, შეუძლებელი“,** — განაცხადა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა.

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ცდილობდა ამ თეზისის უარყოფას და ამერიკელთა განსაკუთრებულობის დამტკიცებას, აგრეთვე, იმის დამტკიცებას, რომ აშშ-ს აქვს უფლება, თავისი პირობები უკარნახოს სრულიად მსოფლიოს, მაგრამ პუტინის მიერ მიუნხენში გამოთქმული მრავალპოლუსიანობის იდეა უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.**

*** „არ ღირს ეჭვის შეტანა იმაში, რომ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური ცენტრების პოტენციალის კონვერტირება პოლიტიკურ გავლენაში გარდაუვალი იქნება და გააძლიერებს მრავალპოლუსიანობას“,** — განაცხადა პუტინმა.

„ახალი ცენტრები“ — ეს არის ჩინეთი, ინდოეთი და რუსეთი და, მათ რომ დღეს ანგარიში არავინ გაუწიოს, შეუძლებელია. თეთრი სახლის ამჟამინდელმა მეთაურმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მზად არის, აღიაროს რუსეთი თანასწორუფლებიან პარტნიორად.

„დღეს ჩვენ ვხედავთ აღორძინებას სამკუთხედისა — რუსეთი-ჩინეთი-აშშ. ეს ძალის სამი უმაღლესი ცენტრია, — განაცხადა ПИ-სთვის მიცემულ ინტერვიუში პოლიტოლოგმა **ევგენი მინჩენკომ,** — ამასთანავე, პუტინი აღიარებს, რომ აშშ რჩება ერთადერთ ზესახელმწიფოდ, მაგრამ **რუსეთი თავისი ბირთვული პოტენციალით არის ქვეყანა, რომელსაც გარანტირებულად შეუძლია, ერთი დარტყმით გაანადგუროს აშშ.** შეიძლება ითქვას, რომ დღეს მიმდინარეობს ერთპოლუსიანი მსოფლიოს დემონტაჟი, ამასთანავე, ეს ხდება აშშ-ის შიგნითაც, სადაც აშშ-ის გლობალური პასუხისმგებლობის იდეის გადახედვას თვით ტრამპი ცდილობს“.

### ვინ არის დამნაშავე?

„მიუნხენი-2007“-ზე პუტინმა მწვავედ ილაპარაკა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე — ამ ქვეყანას პასუხისმგებლობა დააკისრა საერთაშორისო სამართლის ნორმების ფეხქვეშ გათელვის გამო.

*** „ჩვენ ვხედავთ, რომ უგულებელყოფილია საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები, — ხაზი გაუსვა რუსეთის ლიდერმა, — უფრო მეტიც, ცალკეული ნორმები. სისტემა დაექვემდებარა ერთი სახელმწიფოს უფლებებს — ამერიკის შეერთებული შტატების, რომელმაც გადააბიჯა თავის ნაციონალურ საზღვრებს ყველა სფეროში: ეკონომიკაშიც, პოლიტიკაში, ჰუმანიტარულშიც და ცდილობს, თავისი ინტერესები მოახვიოს თავს სხვა სახელმწიფოებს“.**

მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდ მუქარად პუტინმა დაასახელა სამხედრო ძალის გამოყენება სხვა ქვეყნების მიმართ. ამ თეზისის ადრესატი, უწინარესად, იყო აშშ.

*** „დღეს ჩვენ ვხედავთ თითქმის არაფრით შეკავებული ძალის გამოყენებას საერთაშორისო საქმეებში, სამხედრო ძალისა, რომელიც მსოფლიოს კონფლიქტების მორევში ითრევს“,** — განაცხადა რფ-ის პრეზიდენტმა.

**აშშ-მა არ შეისმინა პუტინის ნათქვამი და ობამამ ბოლო წლებში უფრო გაართულა ვითარება სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევითა და ახალი სამხედრო კონფლიქტების წარმოქმნით. ბოლო ათწლეულში ამერიკული პოლიტიკის „მიღწევები“ შთამბეჭდავია: რევოლუციების ტალღა ჩრდილოეთ აფრიკაში; ლიბიის სახელმწიფოს განადგურება; გადატრიალება და სამოქალაქო ომი უკრაინაში; კონფლიქტი სირიაში, შედეგად მსოფლიო დიდი ომის ზღურბლზე აღმოჩნდა.**

„აშშ-ის ადმინისტრაციის უპასუხისმგებლო მოღვაწეობის შედეგად ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ერაყი და ლიბია, გააქტიურდა ე.წ. ისლამური სახელმწიფო, — განაცხადა მინჩენკომ, — ერაყის არმია რომ არ დაეშალათ, არ იქნებოდა „ისლამური სახელმწიფო“, როგორც ანგარიშგასაწევი სამხედრო ძალა, ამ ტერორისტული ორგანიზაციის ძირითადი ძალა ხომ ერაყის არმიის ყოფილი ოფიცრები არიან“.

დონალდ ტრამპი თავის წინასაარჩევნო განცხადებებში ხაზს უსვამდა აშშ-ის აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის აუცილებლობას. მიუხედავად ლოზუნგისა „გადავაქციოთ ამერიკა კვლავ დიად ქვეყნად“, ტრამპი არ მიიჩნევს, რომ აშშ პასუხისმგებელი უნდა იყოს მსოფლიოზე.

### ტერორიზმი, როგორც გლობალური საფრთხე

2007 წელს ვერავინ შეძლებდა, ევარაუდა „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენა და მასშტაბი, მაგრამ დღეს აქტუალურია პუტინის სიტყვები ტერორისტული საფრთხეების მომატების გამო გლობალური უსაფრთხოების კომიტეტების გადახედვის აუცილებლობაზე.

*** „გამოჩნდა პრინციპულად ახალი საფრთხეები, რომლებიც ადრეც ცნობილი იყო, მაგრამ დღეს გლობალური ხასიათი მიიღო, ისეთმა საფრთხემ, როგორიც არის ტერორიზმი, — თქვა პუტინმა, — დარწმუნებული ვარ, მივედით იმ ზღვრულ მომენტამდე, როდესაც სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაზე“.**

### ნატო საზღვრებთან

*** „ნატო თავისი მოწინავე ძალების თავმოყრას ცდილობს ჩვენს საზღვრებთან“,** — რუსეთის ლიდერის მიუნხენში ნათქვამმა ამ ფრაზამ თეთრი სახლისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელთა „იმედგაცრუება“ გამოიწვია.

ნატოს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა **იაპ დე ჰოოპ სხეფერმა** პუტინის გამოსვლის შემდეგ განაცხადა: „მის განცხადებებს მივიჩნევ, როგორც იმედგაცრუებას, მისი განცხადებები, აგრეთვე, არც ისე პროდუქტიულია იმის გამო, რომ, რაც თქვა ნატოს გაფართოებაზე, სინამდვილეში ალიანსის გამსხვილებაა“.

დღეს ალიანსის „გამსხვილება“ გრძელდება. ნატო თავის ორბიტაზე იზიდავს ახალ-ახალ ქვეყნებს რუსეთის საზღვრის პერიმეტრზე, რუსეთის გარშემო „ანაკონდას რგოლს“ ქმნის და აძლიერებს იქ თავის სამხედრო დაჯგუფებებს.

### ყველაფერი კანონის მიხედვით

აქტუალურობა არ დაუკარგავს პუტინის ფრაზას სამხედრო ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის შესახებ მხოლოდ გაეროს მანდატის ჩარჩოებში — საკმარისია, გავიხსენოთ აშშ-ის შეჭრა ერაყში, ლიბიაში, დასავლეთის სამხედრო შენაერთების ყოფნა სირიაში. მიუნხენში გაცხადებული პოზიციიდან რუსეთს არასოდეს გადაუხვევია და ყოველთვის მოუწოდებდა დასავლეთს, ემოქმედა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით.

*** „დარწმუნებული ვარ, სამხედრო ძალის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მისაღები მექანიზმი უნდა იყოს მხოლოდ გაეროს წესდება, — თქვა პუტინმა მიუნხენში, — ლეგიტიმურად უნდა მივიჩნიოთ ძალის გამოყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტილება მიღებულია გაეროს წესდების ჩარჩოებში და სულაც არ არის საჭირო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეცვლა ნატოთი, არც ევროკავშირით“.**

### ეუთოს დეგრადაცია

მიუნხენში ვლადიმერ პუტინმა გააკრიტიკა ეუთოს გარშემო შექმნილი ვითარებაც.

*** „ცდილობენ, ეუთო გადააქციონ ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის საგარეო-პოლიტიკური ინტერესების დამცველ ვულგარულ ინსტრუმენტად“,** — თქვა პუტინმა.

დღეს რუსეთის ლიდერის სიტყვების დამადასტურებელი ახალ-ახალი ფაქტები ვლინდება. კერძოდ, ეს ეხება ეუთოს მუშაობას დონბასში — ეუთოს მისიის წარმომადგენლებს, რომლებიც „მოღვაწეობენ“ უკრაინული კონფლიქტის ზონაში, უპრინციპო პოზიციის დაკავების გამო „ბრმებსა და ყრუებს“ უწოდებენ.

### მიუნხენი 2.0

მიუნხენში პუტინის სიტყვით გამოსვლიდან 10 წლის განმავლობაში რუსეთი „რეგიონული სახელმწიფოდან“ კვლავ გარდაიქმნა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერად, რუსეთმა აიძულა მსოფლიო, პატივი ეცა მისთვის და გაეთვალისწინებინა მისი თვალსაზრისი. და ეს გარდაქმნა დაიწყო მიუნხენში.

*** „ჩვენ ძალიან ხშირად, და პირადად მე, ძალიან ხშირად ვისმენთ მოწოდებებს ჩვენი პარტნიორების მხრიდან, მათ შორის ევროპელი პარტნიორების მხრიდან, რომ რუსეთმა უფრო აქტიური როლი შეასრულოს მსოფლიოს საქმეებში. ამის გამო თავს უფლებას მივცემ, გავაკეთო ერთი პატარა რემარკა. ჩვენ არ გვჭირდება ამისკენ ბიძგი და სტიმულირება.**

**რუსეთი — ეს არის ქვეყანა ათასზე მეტი წლის ისტორიის და ის, პრაქტიკულად, ყოველთვის სარგებლობდა პრივილეგიით, გაეტარებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ჩვენ არ ვაპირებთ, შევცვალოთ ეს ტრადიცია დღეს“,** — განაცხადა პუტინმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში კარდინალურად შეიცვალა დასავლეთის დამოკიდებულება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მისი პრეზიდენტის მიმართაც.

ბევრი რამ, რაზეც ვლადიმერ პუტინმა მიუნხენში ილაპარაკა (ორმაგი სტანდარტები, იდეოლოგიური სტერეოტიპები, შაბლონური აზროვნება), კვლავინდებურად უშლის ხელს რუსეთის ურთიერთობას დასავლეთთან, მაგრამ ამ მომენტში მიუნხენური გამოსვლა 2.0-ის აუცილებლობა არ არის. უკვე ყველამ გააცნობიერა თავისი როლი ახალ მრავალპოლუსიან მსოფლიოში. რაც შეეხება აშშ-ს, ეს ქვეყანა, უბრალოდ, ჯერ მზად არ არის, თავის თავს გამოუტყდეს, რომ აღარ არის მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფო.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

„ხელისუფლებაში არ იყვნენ და არც არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ორი-სამი სვლა წინასწარ გათვალონ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იმედი ვიქონიოთ, რომ ვითარება ასეთი კატასტროფული სცენარით არ განვითარდება, მაგრამ, თუკი მართლა ასე მოხდა (არადა, ეს რეალური სცენარია!), რუსეთის გარდა ჩვენი დამცველი სხვა არავინ იქნება! ასეთია ისტორიული, გეოპოლიტიკური რეალობა და საღად მოაზროვნე ადამიანებს ეს მშვენივრად ესმით“.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ვიზალიბერალიზაცია» — ისტორიული თუ შავი დღე საქართველოსთვის?

**ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის, ანუ შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლების მიცემის შესახებ საქართველოში ზარ-ზეიმით შეხვდნენ. საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა და პრემიერმინისტრმა კვირიკაშვილმა კი ამ დღეს „ისტორიული დღე“ უწოდეს და აღნიშნეს, რომ ამით საქართველო „დიდ სარგებელს“ მიაღწევს, რადგან „ქვეყანა თავის ისტორიულ ოჯახს უბრუნდება“.**



საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის ნაწილის მხრიდან ე.წ. ვიზალიბერალიზაციისგან გამოწვეული ხბოს აღტაცების მიუხედავად, ბევრი ექსპერტის აზრით, საქართველოს მისი მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება ეკონომიკურ სარგებელს ვერ მოუტანს, პირიქით — ჩვენი ქვეყანა შეიძლება მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეც დადგეს. ეს გამოწვევაა დემოგრაფიული ვითარება, რომელიც კატასტროფულია ქვეყანაში: შობადობის შემცირების, მოსახლეობის დაბერებისა და ემიგრაციის მაღალი დონის გამო, 2002 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობა 657 735-ით შემცირდა და 3 713 800 ადამიანი შეადგინა. უვიზო მიმოსვლის უფლების შემდეგ კი უმუშევრობით გაწამებული, ღარიბ-ღატაკი ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ შენგენის ზონის ქვეყნებში მხოლოდ 3 თვით ყოფნის უფლება ექნებათ, მასობრივად გაიქცევიან უცხოეთში ლუკმაპურისთვის საჭირო ფულის საშოვნელად და არა ლუვრში, პრადოსა თუ უფიციში გამოფენილი ექსპონატების დასათვალიერებლად. რაც შეეხება „ისტორიულ ოჯახში“ დაბრუნებასა და „ეკონომიკურ სარგებელს“, საქართველოსთვის ევროპა არასოდეს ყოფილა „ისტორიული ოჯახი“, რადგან ის თვითონ ამბობდა და ამბობს უარს ჩვენს მიღებაზე. მეორეც, განა ევროპაში ვინმე დაუშვებს, რომ ქართული პროდუქცია გავიდეს ევროპის ბაზარზე, თავისი კი — შეზღუდოს? ან ჩვენთვის სცხელა ახლა ევროკავშირს, რომელსაც თავისი გასჭირვებია და სადაცაა დაიშლება?

**ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე, ამ გაერთიანებაში საქართველოს შესვლის პერსპექტივაზე, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადასადგმელ ნაბიჯებზე, ლიბერალური კაპიტალიზმისა და, საერთოდ ევროკავშირის კრახზე წლების წინათ საუბრობდა ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.**

* აი ამონარიდი მისი ინტერვიუდან, რომელიც 2016 წლის ივნისში ჩამოართვა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“:

**„ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია, ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას. საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში საქართველოს უკვე თვლიან ქურდებისა და ბანდიტების ქვეყნად, საბერძნეთისთვის ქართველები მოსამსახურეები, მოხუცების მომვლელები არიან, თურქეთისთვის კი საქართველო იაფფასიანი მეძავების მიმწოდებელია. ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც თავისი ეკონომიკის აშენება არ შეუძლია, უმუშევარი მოსახლეობის გადინება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს. მაგრამ აძლევს კი ეს ხელს ქართველი ერისა და ქვეყნის მომავალს? სხვათა შორის, ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებს, სადაც მოსახლეობა 10 მილიონზე ნაკლებია, მომავალი არ აქვთ“.**

ალექსანდრე ჭაჭიას ნათქვამის ჭეშმარიტებაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გაიხსენებთ, რამდენ ადამიანს იცნობთ, ვისაც შეუძლია, სამი თვით წავიდეს ევროპაში სამოგზაუროდ ხელოვნების ნიმუშებისა და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, ან გაიხსენებთ სად, რა თანამდებობებზე მუშაობენ სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილი ქართველები და როგორ ეპყრობიან იქ მათ.

* ახლა, როცა უკვე მკაფიოდ ჩანს ევროკავშირის დაშლის ნიშნები, აშკარაა მართებულობა **ალექსანდრე ჭაჭიას** მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმული თეზისებისა, რომლებითაც ის ევროკავშირის უპერსპექტივობასა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკების კრახს უსვამდა ხაზს:

**„დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან, ევროპელებსა და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას „ბერძნული ვარიანტი“ ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ველარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოილაპარაკებენ“ („საქართველო და მსოფლიო“, 2012 წლის მაისი).**

ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად რომ იმძლავრა ამ გაერთიანების მიმართ სკეპტიკურმა განწყობილებამ, აშკარად გამოჩნდა 2016 წელს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ. 2017 წელს კი საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული საფრანგეთში, ჰოლანდიასა და იტალიაში და, თუ ამ ქვეყნებში მემარჯვენე ნაციონალისტური ძალები გაიმარჯვებენ **მარინ ლე პენის** (საფრანგეთი), **გერტ ვილდერსის** (ჰოლანდია), **ბეპე გრილოს** (იტალია) ხელმძღვანელობით, რომლებიც ამომრჩევლებს ევროკავშირიდან თავიანთი ქვეყნების გაყვანას ჰპირდებიან, ევროკავშირის დასასრულის დასაწყისი ამ წელსვე შეიძლება დაიწყოს.

* ახლახან კვლავ მოექცა მსოფლიოს პრესის ყურადღების ცენტრში 10 წლის წინათ, 2007 წლის 10 თებერვალს, მიუნხენში უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის — **ვლადიმერ პუტინის** სიტყვა. მან მიუნხენში გამოსვლისას ილაპარაკა ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულსა და მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ეპოქის დაწყებაზე, ეუთოსა და დასავლური ფასეულობების დეგრადაციაზე, აშშ-ის ჰეგემონიის დასასრულსა და რუსეთის ზესახელმწიფოს როლში დაბრუნებაზე, აგრეთვე, ჩინეთისა და ინდოეთის გაძლიერებაზე.

პროგნოზი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა 10 წლის წინათ გააკეთა, თითქმის ზუსტად ახდა და ეს ცხოვრებამ დაადასტურა. ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა **ალექსანდრე ჭაჭიამ** 2015 წელს, გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

**„რუსეთი მთლიანად გათავისუფლდა ამერიკის დიქტატისგან და სუვერენულ სახელმწიფოდ იქცა. დღეს მსოფლიოში არის სულ ოთხი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. ამასთანავე, რუსეთმა გადადგა ნაბიჯები, რომლებიც, ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, მას მსოფლიოს განვითარების ალტერნატიული მოდელის მქონე ზესახელმწიფოდ აქცევს. ამ ნაბიჯებს უნდა მივაკუთვნოთ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების აკრძალვა, მართლმადიდებელი ეკლესიის, მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების განუხრელი მხარდაჭერა და აგრესიული ისლამისტებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. სირიის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, დაცვა ასევე მკაფიო სიგნალია სხვა, მათ შორის, მუსლიმანური სახელმწიფოებისთვის, რომ რუსეთისთვის მიუღებელია გარე ძალების ზემოქმედების შედეგად მათი სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა. ყველა ეს ნაბიჯი საფუძველშივე ეწინააღმდეგება ამერიკის პოლიტიკას მსოფლიოში და გლობალიზაციის ამერიკულ პროექტს, რომელიც გულისხმობს ერებისა და კულტურების უნიფიცირებას, ტრადიციული, ეროვნული და რელიგიური ფასეულობების უარყოფას, ხალხების უეროვნო, უსქესო, უზნეო ბიოლოგიურ მასად გადაქცევას. თუ რუსეთის პოლიტიკაში ეს ალტერნატიული ტენდენცია განვითარდება და გაფორმდება, როგორც ახალი მსოფლიო პროექტი, მაშინ რუსეთი მოიპოვებს ლიდერობას იმ მსოფლიო ძალებში, რომლებიც განუხრელად იცავენ სხვა ერების სუვერენულ არსებობასა და განვითარებას!“**

ასეა — სწორედ რუსეთის პოზიციამ თავისი სუვერენიტეტის, ტრადიციული ფასეულობებისა და მართლმადიდებლობის დაცვის მიმართ, მისმა ძალისხმევამ სირიის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, აიძულა დასავლეთი, შეეცვალა დამოკიდებულება ამ უდიდესი ბირთვული სახელმწიფოს მიმართ. მუსლიმანური ქვეყნებით გარშემორტყმული საქართველოს ხელისუფლება კი, რომელიც თვალებში შესციცინებს დასავლელ პატრონებს, ხმის ამოღებას ვერ ბედავს.

* გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2015 წლის დეკემბრის ნომერში (№50) ჟურნალისტის შეკითხვას — თუკი რუსეთთან კონფლიქტის ფონზე თურქეთი გაააქტიურებს თავის ექსპანსიას კავკასიის მიმართულებით, საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ჩვენ, ფაქტობრივად, ისედაც ვართ მუსლიმანურ ალყაში... რუსები ბომბავენ ისლამისტებს სირიაში, რის გამოც ისლამისტები იძულებულნი იქნებიან, გაიქცნენ და ახალი პლაცდარმი ეძებონ. საქართველო კი ახლოსაა — აქვე, გვერდით და თინა ხიდაშელის ჯარი მათ ვერ შეაჩერებს. მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში შეიძლება თუ არა, რუსეთის დახმარების იმედი გვქონდეს? — **ალექსანდრე ჭაჭიამ** უპასუხა:

**„რთული შეკითხვაა... ასეთი ვითარებისთვის წინასწარ მომზადებაა საჭირო — კონტაქტების დამყარება, ვარიანტების გათვლა. ვინ შეიძლება ეს გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებაში? ჩვენი უბედურება ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის და ყველაფერში აგვიანებდა — გამოდიოდა „ინიციატივებითა“ და „წინადადებებით“, მაშინ, როდესაც ეს უკვე აღარავის სჭირდებოდა. ასე იყო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის მიმართ, ასე მოხდა ეკონომიკაშიც და ანალოგიური რამ გრძელდება დღესაც. ხელისუფლებაში არ იყვნენ და არც არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ორი-სამი სვლა წინასწარ გათვალონ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იმედი ვიქონიოთ, რომ ვითარება ასეთი კატასტროფული სცენარით არ განვითარდება, მაგრამ, თუკი მართლა ასე მოხდა (არადა, ეს რეალური სცენარია!), რუსეთის გარდა ჩვენი დამცველი სხვა არავინ იქნება! ასეთია ისტორიული, გეოპოლიტიკური რეალობა და საღად მოაზროვნე ადამიანებს ეს მშვენივრად ესმით“.**

და მართლაც — საქართველოს ხელისუფლება არათუ დგამს ნაბიჯს რუსეთთან ურთიერთობების დასათბობად, აქედან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, არამედ, საერთოდ, აღარ ახსენებს საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, და აშშ-ის ხელისუფლების სათავეში **დონალდ ტრამპის** მოსვლის შემდეგ მსოფლიოში დაწყებული ცვლილებების მიუხედავად, კვლავ ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე ლაპარაკობს. თუმცა, დასავლელი პატრონების უსიტყვოდ მორჩილ, შეზღუდული პოლიტიკური (და არამხოლოდ) შესაძლებლობების მქონე საქართველოს ხელისუფლებაში არც არავინ ჩანს ისეთი, ვინც რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებთან მაღალ დონეზე წარმართავს მოლაპარაკებებს.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

> «ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია, ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას»
>
> ალექსანდრე ჭაჭია, «ასავალ-დასავალი», ივნისი, 2016 წ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის მიერ დეკლარირებული პრიორიტეტი საშინაო პოლიტიკაა, მას, ისევე როგორც აშშ-ის ნებისმიერ პრეზიდენტს, სჭირდება წარმატებები საგარეო პოლიტიკაში და, რაც მალე, მით უკეთესი. ის მოწადინებულია, მოიგერიოს ოპონენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის მხოლოდ ძაბავს ურთიერთობას უცხო ქვეყნებთან და არცხვენს ამერიკას საგარეო არენაზე; ურთიერთმომგებიანი „განსაკუთრებული ურთიერთობების“ ჩამოყალიბება ლონდონთან ამ კონტესტში შეიძლება „კარგ სტარტად“ იქცეს.**

# ბრიტანული გამბიტი ამერიკულ დაფაზე

**ბრიტანელი საზოგადოება ორად გაიყო — ტერეზა მეის კაბინეტის პოლიტიკას, რომელიც აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან დაახლოებას ითვალისწინებს, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. თუმცა პრემიერს საკმაო რაოდენობის მხარდამჭერებიც ჰყავს; ისინი მიიჩნევენ, რომ ქვეყანა გაცილებით იოლად შეძლებს „ბრექსიტით“ დამძიმებული კრიზისის დაძლევას თუ აშშ-თან განსაკუთრებულ ურთიერთობებს დაამყარებს.**



ტერმინი „განსაკუთრებული ურთიერთობები“ პირველად **უინსტონ ჩერჩილმა** ფულტონში (აშშ) ნათქვამ ცნობილ სიტყვაში 1946 წლის 5 მარტს გამოიყენა. თუმცა ყველაზე კარგად ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებას, შესაძლოა, სხვა, ერთობ პარადოქსული ტერმინი „ფრენემი“ აღწერს, რომელიც ორი ინგლისური სიტყვის შერწყმის შედეგად წარმოიქმნა („ფრენდ“ — მეგობარი და „ენემი“ — მტერი). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ „მეგობრობაში შეფუთულ მტრობაზე“ ვსაუბრობთ. ერთი მხრივ, ორივე ქვეყანა თავის ექსპანსიაში საზღვაო ძლიერებისა და საოკეანო სავაჭრო მარშრუტების კონტროლის იდეას ეყრდნობოდა და ეს მათ ბუნებრივ მოწინააღმდეგეებად აქცევდა, მაგრამ, მეორე მხრივ, კულტურულ-ცივილიზაციური სიახლოვე მუდამ უბიძგებდა, სხვა კონკურენტების წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში აშშ და დიდი ბრიტანეთი ერთად აწარმოებდნენ ომს გერმანიისა (ორჯერ) და იაპონიის წინააღმდეგ, მაგრამ ამერიკელები, ამასთანავე, ხელს უწყობდნენ იმას, რომ მოკავშირე მათ ფულსა და სამხედრო ძლიერებაზე დამოკიდებული გამხდარიყო. ბოლო წერტილი ბრიტანელების იმპერიულ ამბიციებს 1956 წლის სუეცის კრიზისმა დაუსვა, როდესაც აშშ-მა საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით(!) აიძულა ბრიტანელები და ფრანგები, ეგვიპტიდან ჯარები გაეყვანა. ყველასათვის საბოლოოდ ცხადი შეიქნა, რომ ბრძოლაში გლობალური დომინირებისთვის დიდ ბრიტანეთს აღარ შეუძლია უზომოდ გაძლიერებულ აშშ-ს სრულფასოვანი კონკურენცია გაუწიოს. მაშინ პრემიერმინისტრმა **ენტონი იდენმა** თქვა: „ჩვენ მათი რომის ათენი უნდა გავხდეთ“. ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა ახალი სტრატეგია; გაჩნდა იმედი, რომ ბრიტანულ პოლიტიკასა და კულტურაში კონცენტრირებული დიდი ინტელექტუალური პოტენციალი შესაძლებლობას მისცემდა ლონდონს, გამოეყენებინა „ძლიერი, მაგრამ სულელი“ ძია სემი ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა.

ორი ქვეყნის „განსაკუთრებულ ურთიერთობებში“ კომუნიკაცია ლიდერებს შორის ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. **რეიგანმა** და **ტეტჩერმა** ყველა უთანხმოების დაძლევა მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ფოკლენდისა და გრენადის კრიზისების დასაწყისში მათი ქვეყნების პოზიცია დიამეტრულად განსხვავებული იყო. სამაგიეროდ, ძალიან რთული ურთიერთობა ჰქონდა **დუაიტ ეიზენჰაუერსა** და **ენტონი იდენს, ლინდონ ჯონსონსა** და **ჰაროლდ მაკმილანს** და ამას ნეგატიური შედეგები მოჰყვა. **უმცროსი ბუში** და **ტონი ბლერი** ერთმანეთს მშვენივრად უგებდნენ, მაგრამ, ვინაიდან ამ წყვილში ბლერი აშკარად „უმცროსი ძმის“ როლს ასრულებდა და მას „ბუშის პუდელსაც“ კი უწოდებდნენ, ბევრი ბრიტანელი იმ პერიოდში თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა.

პრემიერმინისტრმა **ტერეზა მეიმ** ძალიან ზუსტად შეარჩია მომენტი და **დონალდ ტრამპს** მეგობრობის ხელი პირველმა გაუწოდა, სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი ახალ პრეზიდენტს აუჯანყდა, ხოლო სხვა ქვეყნების ლიდერების დიდი ნაწილი მისი მისამართით საკმაოდ სკეპტიკურ განცხადებებს აკეთებდა. ეს, სავარაუდოდ, მოეწონა ტრამპს, რომელიც ისედაც საკმაოდ „პრობრიტანულ“ პოზიციას იკავებდა.

პრიზი ლონდონისთვის ახალი სავაჭრო ხელშეკრულებაა „ბრექსიტის“ პერიოდში, პრეზიდენტმა ობამამ თქვა, რომ ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი ბოლო იქნება იმ ქვეყნების რიგში, რომლებთანაც აშშ სავაჭრო ხელშეკრულებას დადებს. ტერეზა მეის ამოცანაა, შეცვალოს ეს დამოკიდებულება ვაშინგტონში, მეტიც, ანალიტიკოსების ნაწილი ვარაუდობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტრამპი, რომელმაც უკვე თქვა უარი „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის“ ხელშეკრულებაზე, „ნაფტა“-საც დაანგრევს ან საფუძვლიანად გარდაქმნის, ლონდონს შეიძლება გაუჩნდეს ამბიცია, აშშ-თან და კიდევ ერთ ყოფილ კოლონიასთან — კანადასთან ერთად, ახალი ეკონომიკური კავშირის ბირთვი შექმნას და ამით ძალთა გლობალური ბალანსი შეცვალოს.

ვიზიტის დასასრულს ტერეზა მეიმ დონალდ ტრამპი დიდ ბრიტანეთში მიიწვია. აშშ-ის არც ერთი პრეზიდენტი არ ჩასულა დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო ვიზიტით (და, შესაბამისად, არ შეხვედრია დედოფალს) არჩევიდან პირველივე წელს და, ამასთანავე, არ მისცემია შესაძლებლობა, ვესტმინსტერ-ჰოლში ორივე პალატის დეპუტატებისთვის სიტყვით მიემართა. სიმბოლიზმით გაჟღენთილი ბრიტანული პოლიტიკის ენაზე ეს უპრეცედენტო ნდობის გამოცხადებას ნიშნავს. დებატებმა იმის თაობაზე, იმსახურებს თუ არა ასეთ ნდობას დონალდ ტრამპი, რომელსაც ბრიტანელი ლიბერალები რასისტს, ქსენოფობს (და ა.შ.) უწოდებენ, პარლამენტი და საზოგადოება ორად გახლიჩა.

მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის მიერ დეკლარირებული პრიორიტეტი საშინაო პოლიტიკაა, მას, ისევე, როგორც აშშ-ის ნებისმიერ პრეზიდენტს, სჭირდება წარმატებები საგარეო პოლიტიკაში და, რაც მალე, მით უკეთესი. ის მოწადინებულია, მოიგერიოს ოპონენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის მხოლოდ ძაბავს ურთიერთობას უცხო ქვეყნებთან და არცხვენს ამერიკას საგარეო არენაზე; ურთიერთმომგებიანი „განსაკუთრებული ურთიერთობების“ ჩამოყალიბება ლონდონთან ამ კონტექსტში შეიძლება „კარგ სტარტად“ იქცეს.

**პრემიერმინისტრმა ტერეზა მეიმ ძალიან ზუსტად შეარჩია მომენტი და დონალდ ტრამპს მეგობრობის ხელი პირველმა გაუწოდა, სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი ახალ პრეზიდენტს აუჯანყდა, ხოლო სხვა ქვეყნების ლიდერების დიდი ნაწილი მისი მისამართით საკმაოდ სკეპტიკურ განცხადებებს აკეთებდა. ეს, სავარაუდოდ, მოეწონა ტრამპს, რომელიც ისედაც საკმაოდ «პრობრიტანულ» პოზიციას იკავებდა**

ტრამპის სიმპათიას დიდი ბრიტანეთის მიმართ, სხვა ყველაფერთან ერთად, ისიც აძლიერებს, რომ მისი გამარჯვება არჩევნებში მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბრიტანეთში, კერძოდ კი, კემბრიჯის უნივერსიტეტში, შექმნილმა ტექნოლოგიამ. სწორედ იქ პროფესორმა **მიხალ კოსინსკიმ** მიაღწია რევოლუციურ გარღვევას სოციალურ ქსელებში მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების საქმეში, რამაც შესაძლებელი გახადა თითოეული ამომრჩევლის „ფსიქოგრამის“ შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს პოლიტტექნოლოგებს მისი ინტერესებისა და თვალსაზრისის მიმართ ადაპტირებული წინასაარჩევნო მესიჯები მიაწოდონ. როდესაც საქმე კოსინსკის იდეების პრაქტიკულ გამოყენებამდე მივიდა, ის, რომ იტყვიან, „განზე გაწიეს“; ახალი ტექნოლოგია კომპანია „კემბრიჯ ანალიტიკა“-ს სახელს დაუკავშირდა.

„ლაიქები“ სოციალურ ქსელებში, იქ გამოქვეყნებული ფოტოები თუ შევსებული ტესტები (ისინი განსაკუთრებით აიოლებენ ფსიქოგრამების შექმნას და, შესაძლოა, ამიტომ მოიცვა სოცქსელები რამდენიმე წლის წინათ გამოკითხვების ბუმმა), შესაძლებლობას აძლევს დამკვეთს, ამომრჩევლის პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ სრული ინფორმაცია მიიღოს. ახალი მეთოდის უპირატესობა დადასტურდა „ბრექსიტის“ დროს, როდესაც ევროკავშირში დარჩენის მოწინააღმდეგეებმა, ერთი შეხედვით, მოულოდნელი წარმატება მოიპოვეს. შემდეგ „კემბრიჯ ანალიტიკა“ მუშაობდა სენატორ **ტედ კრუზთან** აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის პრაიმერის პერიოდში. მართალია, კრუზმა ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მისი რეიტინგის ძალიან შთამბეჭდავმა მატებამ დაარწმუნა ტრამპის შტაბი, რომ ახალი ტექნოლოგია თავის საარჩევნო კამპანიაში უნდა გამოიყენოს. „კემბრიჯ ანალიტიკას“ პრეზიდენტი **ალექსანდრე ნიქსი არჩევნებამდე** თვენახევრით ადრე ამბობდა: „ჩვენ გვაქვს ყველა სრულწლოვანი ამერიკელის ფსიქოგრამა, ეს 220 მილიონი ადამიანია“. საჯარო გამოსვლაში, რომელიც ხელმისაწვდომია „იუთუბზე“, მან ახსნა (დეტალებში ჩაღრმავების გარეშე), როგორ მოიპოვებს მისი კომპანია ამ მონაცემებს, აანალიზებს ამომრჩეველთა ქცევას და მათთვის პერსონალიზებული სარეკლამო მესიჯების მომზადების შესაძლებლობას ქმნის (ვრცლად ეს თემა გაშლილია შვეიცარიული ჟურნალის — „დას მაგაზინის“ სტატიაში, რომელსაც ხშირად „2016 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ჟურნალისტურ ტექსტს“ უწოდებენ; ის, აგრეთვე, ხელმისაწვდომია ინტერნეტში).

**ლონდონს შეიძლება გაუჩნდეს ამბიცია, აშშ-თან და კიდევ ერთ ყოფილ კოლონიასთან — კანადასთან ერთად, ახალი ეკონომიკური კავშირის ბირთვი შექმნას და ამით ძალთა გლობალური ბალანსი შეცვალოს**

ეს ტექნოლოგია არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „ჯადოსნური ჯოხი“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მან თავისი ეფექტიანობა დაამტკიცა. დღეს ბევრს წერენ იმაზე, რომ „კემბრიჯ ანალიტიკას“ მორიგი კლიენტი შეიძლება **მარინ ლე პენი** გახდეს. ახალ ტექნოლოგიას სხვა ლიდერებიც გამოიყენებენ და ეს გარემოება საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნასთან გვაახლოვებს.

ბრიტანელებს არ აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ მოუგონ ტექნოლოგიური რბოლა ან ნებისმიერი სიმეტრიული ხასიათის დაპირისპირება გიგანტ სახელმწიფოებს. მაგრამ მათ ნამდვილად შესწევთ უნარი, ზუსტად აირჩიონ პერსპექტიული მიმართულება, წინასწარ ამოიცნონ რევოლუციური ტექნოლოგიის გაჩენის ნიშნები და არცთუ დიდი რესურსები მისი სრულყოფისთვის გამოიყენონ. შედეგი აშკარაა — ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბრიტანელებმა გაუსწრეს ამერიკელებს, მიუხედავად იმისა, რომ პირველებმა მუშაობა ამ მიმართულებით ამერიკელებმა დაიწყეს. დღეს ბრიტანელი კონსულტანტები (და მათ უკან მდგომი პოლიტიკოსები) სხვა ქვეყნების კანდიდატებთან მჭიდრო კონტაქტში მუშაობენ, რომლის შედეგადაც მათზე სერიოზული გავლენის შესაძლებლობა ეძლევათ. ცხადია, ეს უპირატესობა მალევე გაქრება, ამ მეთოდებს სხვებიც დაეუფლებიან, მაგრამ იმ მომენტისთვის კემბრიჯში ან ოქსფორდში შეიძლება სხვა გარღვევა მოხდეს.

ეს, შესაძლოა, სწორედ ის შემთხვევაა, რომელზეც დუაიტ ეიზენჰაუერისგან დამცირებული სერ ენტონი იდენი მიანიშნებდა, როდესაც ახალ რომსა და ათენზე საუბრობდა. ახალი იდეების მუდმივი გენერირება და მათ ტყვეობაში გაცილებით ძლიერი პარტნიორის მოქცევა (სხვა რა გააკეთა უინსტონ ჩერჩილმა „ფულტონის სიტყვით“?) აძლევს დიდ ბრიტანეთს ისტორიულ შანსს, დარჩეს გლობალური მნიშვნელობის ძალად, მაშინ, როდესაც ობიექტური წინაპირობები ამისთვის აღარ არსებობს. როგორც ჩანს, ტერეზა მეი ამ სტრატეგიის ერთგულებას შეინარჩუნებს. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, მიიღებს თუ არა თამაშის ასეთ წესებს დონალდ ტრამპი.

**ლუკა ნემსაძე**

5—6 თებერვალს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ ამერიკელი ამომრჩევლის 49% ტრამპს პატიოსან პოლიტიკოსად მიიჩნევს და მხოლოდ 39% ენდობა ამერიკულ მედიასაშუალებებს... ამერიკელთა მხოლოდ 17%-ს აქვს კარგი წარმოდგენა ტელეარხ „სი-ენ-ენზე“, THE NEW YORK TIME-ს დადებითად აფასებს გამოკითხულთა 14%, MSNBC-ს — 13%; THE WASHINGTON POST-ს — 14% და მხოლოდ FOX NEW-ის მუშაობა მოიწონა რესპონდენტთა 21%-მა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები მხარს უჭერენ ტრამპს მედიის მიკერძოებულობის წინააღმდეგ ბრძოლაში




**ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები აჩვენებს ამერიკელთა თითქმის 50%-ის უნდობლობას ახალი ამბების ტრადიციული წყაროების მიმართ.**

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და მისი ადმინისტრაცია განაგრძობენ კონფრონტაციას რამდენიმე მედიასაშუალების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვების შედეგები მათ საფუძველს აძლევს, გააძლიერონ ძალისხმევა.

ემერსონის (ბოსტონი) კოლეჯის მიერ 2017 წლის 5—6 თებერვალს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ ამერიკელი ამომრჩევლის 49% ტრამპს პატიოსან პოლიტიკოსად მიიჩნევს და მხოლოდ 39% ენდობა ამერიკულ მედიასაშუალებებს. დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერთა 69% დარწმუნებულია ამერიკული მედიის პატიოსნებაში, რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერთა 91%-ის აზრით კი, ამერიკული მედია ცრუ ინფორმაციას ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელთა მხოლოდ 17%-ს აქვს კარგი წარმოდგენა ტელეარხ „სი-ენ-ენზე“, The New York Time-ს დადებითად აფასებს გამოკითხულთა 14%, MSNBC-ს — 13%; The Washington Post-ს — 14% და მხოლოდ Fox New-ის მუშაობა მოიწონა რესპონდენტთა 21%-მა.

**The Daily Caller**

# რატომ შეიძლება გაიმარჯვოს ევროსკეპტიკოსმა და ისლამოფობმა გერტ ვილდერსმა ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში



**„ჰოლანდიელი ევროსკეპტიკოსისა და ისლამოფობის — გერტ ვილდერსის მოწოდებას „შევაჩეროთ ისლამი და კვლავ გადავაქციოთ ჰოლანდია დიად სახელმწიფოდ“ ნიდერლანდების ყველაზე ახალგაზრდა ქალაქ ამპერეს სულ უფრო მეტი მცხოვრები ეხმაურება“, — წერს „ბი-ბი-სის“ ჰოლანდიელი კორესპონდენტი.**

„აქ ძალიან ადვილია ჩამოსვლა“, — ამბობს ქალაქ ამპერეს ბაზარში ერთ-ერთი მოვაჭრე იოოსტი. „ძალიან ბევრი ახალგაზრდა მამაკაცია ჩამოსული თურქეთიდან და მაროკოდან. მე სამი პატარა ბავშვი მყავს და როგორ გარემოში გაიზრდებიან ისინი?“ — სვამს კითხვას იოოსტი.

15 მარტს ნიდერლანდებში არჩევნები უნდა ჩატარდეს და **გერტ ვილდერსის** თავისუფლების პარტიას აქვს შანსი, საპარლამენტო მანდატების უმრავლესობა მოიპოვოს.

„ამპერე“ ნიშნავს „ყვლაფერი ტბაა“. 1960 წლამდე ამ ქალაქის ადგილას ტბა ეისელმერი იყო. 1975 წელს ამ ტბის ნაწილი დააშრეს და დაიწყეს ქალაქის აშენება. ამპერეში პირველი სახლი 1976 წელს ააგეს. აქ ბინა საკმაოდ იაფია და ამიტომ ბევრი ამსტერდამელი გადმოდის საცხოვრებლად. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ამპერეს მცხოვრებთა უმრავლესობა მხარს გერტ ვილდერსს უჭერს. იმიგრანტებმა საკმაოდ მცირე ხანში ამპერეს მოსახლეობის 30% შეადგინეს. ეს ქალაქის ბაზრობიდანაც ჩანს, დახლებზე დგას ქვაბები ცხელი ცხარე ლობიოთი სურინამიდან, საკიდებზე კი ნახავთ ცისარტყელას ფერების აღმოსავლურ თავსაბურავებს.

გერტ ვილდერსი, რომელსაც „ჰოლანდიელ დონალდ ტრამპს“ უწოდებენ, იზიარებს აშშ-ის პრეზიდენტის ანტიმიგრანტულ პოზიციას, არ სჯერა მასმედიისა და ძალიან მოსწონს სოციალური ქსელი „ტვიტერი“.

**რას სთავაზობს ვილდერსი ჰოლანდიელებს:**

* **„ჰოლანდიის დეისლამიზაციას“ — ქვეყანაში აღარ შეუშვან ლტოლვილები;**
* **საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტრადიციული ისლამური თავსაბურავით გამოჩენასა და ისლამის მომხრეების დემონსტრაციების აკრძალვას, თუ ისინი არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს;**
* **ყურანის აკრძალვას, მეჩეთებისა და მედრესეების დახურვას. პარტიის მანიფესტში დაზუსტებული არ არის, აპირებენ თუ არა ყურანის გაყიდვას, ქვეყანაში შეტანის აკრძალვას;**
* **ევროკავშირიდან ჰოლანდიის გასვლას;**
* **ორმაგი მოქალაქეობის მქონე დამნაშავეების დეპორტაციას;**
* **გადასახადების შემცირებას, საპენსიო ასაკის მომატებაზე უარის თქმას, მოხუცთა თავშესაფრების სუბსიდირებას.**

ვილდერსის პარტიამ შეიძლება გაიმარჯვოს 15 მარტს დანიშნულ არჩევნებში, მაგრამ მხოლოდ მის თავგადაკლულ მომხრეებს თუ სჯერათ, რომ ვილდერსი ჰოლანდიის მომდევნო პრემიერმინისტრი იქნება.

ნიდერლანდების პოლიტიკური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ამ ქვეყნის მთავრობა ყოველთვის კოალიციურია. ჰოლანდიის სხვა პარტიები კი უარს ამბობენ ვილდერსთან კოალიციაში თანამშრომლობაზე. მიუხედავად ამისა, თუ ვილდერსის პოპულარობა აიძულებს ლიბერალებსა და ცენტრისტებს, მიჰბაძონ ვილდერსის პოლიტიკას, შეიძლება ითქვას, რომ ვილდერსმა გამარჯვება მოიპოვა, თუნდაც არჩევნებში დამარცხდეს.

**BBC**

# სენატორი მაკეინი — დიდი საფრთხის წყარო აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის



**დონალდ ტრამპი:**

# სწორედ მაკეინისნაირების გამოა მსოფლიოში ქაოსი

**კატონის ინსტიტუტის აზრით, ოდიოზური ამერიკელი პოლიტიკოსის მოქმედება საგარეო-პოლიტიკურ არენაზე დესტრუქციულია.**

ლტოლვილების საკითხზე პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მკაცრმა სატელეფონო საუბარმა ავსტრალიის პრემიერმინისტრ მალკოლმ ტერნბულთან აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ყველგანმყოფი ექსპერტის, სენატორ ჯონ მაკეინის მწვავე რეაქცია გამოიწვია. მაკეინი დაუკავშირდა ავსტრალიის ელჩს ვაშინგტონში, რათა დაერწმუნებინა, რომ ამერიკა ერთგულია აშშ-ავსტრალიის ალიანსის მიმართ.

სენატორმა ამით შეტყობინება გაუგზავნა ოფიციალურ კანბერას, რომ ტრამპი და მისი მოქმედებები სერიოზულად არ უნდა აღიქვას. **მაკეინმა თავი წარმოაჩინა, როგორც ამერიკის პრეზიდენტის აჩრდილმა, რომელსაც აქვს უფლება და ვალდებულება, არჩეული პრეზიდენტის გვერდის ავლით განავითაროს ურთიერთობები უცხო ქვეყნების მთავრობებთან.**

მაკკეინის მოქმედება სრულიად უადგილო იყო. კონსტიტუცია პრეზიდენტსა და მის მიერ დანიშნულ მაღალჩინოსნებს უფლებას აძლევს, განახორციელოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკა. სენატორებს კი უფლება არ აქვთ, თავიანთ უფლებამოსილებას გადაამეტონ, როდესაც უცხო ქვეყნების ლიდერებთან უშტატო დიპლომატის გზას დაადგებიან. მიუხედავად ამისა, სახელდობრ, ასე მოიქცა მაკეინი. სამწუხაროდ, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მან თავი გამოიჩინა დესტრუქციული ქმედებით. **ნამსახურობის სია სენატორს წარმოაჩენს, როგორც აბეზარ, ზოგჯერ კი სახიფათო პოლიტიკოსად, რომლის მოქმედების პროგნოზირება შეუძლებელია.** მაგალითად, უკრაინაში პოლიტიკური კრიზისისას, 2013 წლის ბოლოსა და 2014 წლის დასაწყისში, მაკეინი კიევში ჩავიდა, რათა მხარი დაეჭირა მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილი დემონსტრანტების მისწრაფებისთვის, დაემხოთ პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩის** ხელისუფლება საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე (2016 წ.). ის არწმუნებდა მომიტინგეებს, რომ ამერიკა მათ მხარეს იყო. ანალოგიური ჩარევით გამოიჩინა თავი მაკეინმა სირიის ომშიც. 2013 წლის მაისში ის შეხვდა ე.წ. ზომიერ ამბოხებულებს, რომლებიც პრეზიდენტ **ბაშარ ასადის** დამხობას ცდილობდნენ, და არწმუნებდა მათი საქმისადმი ამერიკის სოლიდარობაში. ეს უადგილო ნაბიჯი მაკეინმა იმ მომენტში გადადგა, როდესაც ობამას ადმინისტრაცია შიშობდა, აშშ არ ჩაეთრიათ კიდევ ერთ სისხლიან დაპირისპირებაში და ცდილობდა, შეეზღუდა ქვეყნის ჩარევა სირიის კონფლიქტში.

მაკეინის მოქმედებებმა გაართულა აშშ-ის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ სენატორმა ვერ აღიქვა რეალობა, რომ სირიაში ამბოხებულთა შორის ძალიან ცოტაა ნამდვილად ზომიერი. მათი დიდი ნაწილი ისლამისტია, რომლებიც ზომიერი მებრძოლების ნიღბით მოქმედებენ, რათა დასავლეთის მიმდობი მცხოვრებლების მხარდაჭერა მოიპოვონ. როგორც ჩანს, მაკეინი მაინც ვერ გაერკვია, სინამდვილეში ვინ არიან მათი სირიელი თანამოსაუბრეები.

**მაკეინი, რომელსაც საშინელი რეპუტაცია აქვს, სჯობს, დაუბრუნდეს სენატორის უფლება-მოვალეობების შესრულებას და შეეშვას პრეზიდენტის ან სახელმწიფო მდივნის აჩრდილად თავის წარმოჩენას.** მისი მკვეთრად გამოხატული საომარი განწყობილებისა და ჩაფლავებისთვის განწირული საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების (დაწყებული დამღუპველი ომით ირანთან და დამთავრებული ახალი ცივი ომით რუსეთთან), ციებ-ცხელებიანი ლობირების გათვალისწინებით, ყველა დაინტერესებული მხარისთვის აჯობებს, თუ ის საშინაო საკითხებზე იქნება კონცენტრირებული.

**The Cato Institute**

**P.S. „სწორედ მაკეინისნაირების გამოა მსოფლიოში ქაოსი“, — ასე უპასუხა თანაპარტიელ სენატორს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რომელიც გაალიზიანა მაკეინის განცხადებამ იემენში ამერიკის სპეცსამსახურების წარუმატებელ სპეცოპერაციაზე. ამ სპეცოპერაციის მიმდინარეობისას ამერიკის სპეცსამსახურების მეთაური რაიან ოუენსი დაიღუპა.**

**„ყოველთვის აგებს მაკეინი, გადაეჩვია გამარჯვებას. სულ ცდილობს, მხოლოდ ჩემი მოწინააღმდეგე შეაქოს. სწორედ მაკეინისნაირების გამოა ქაოსი ყველგან“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა**

**მაკეინი, რომელსაც საშინელი რეპუტაცია აქვს, სჯობს, დაუბრუნდეს სენატორის უფლება-მოვალეობების შესრულებას და შეეშვას პრეზიდენტის ან სახელმწიფო მდივნის აჩრდილად თავის წარმოჩენას. მისი მკვეთრად გამოხატული საომარი განწყობილებისა და ჩაფლავებისთვის განწირული საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების (დაწყებული დამღუპველი ომით ირანთან და დამთავრებული ახალი ცივი ომით რუსეთთან), ციებ-ცხელებიანივით ლობირების გათვალისწინებით, ყველა დაინტერესებული მხარისთვის უკეთესი იქნება, თუ ის ქვეყნის საშინაო საკითხებზე იქნება კონცენტრირებული**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვერავინ იფიქრებდა, რომ მაშინდელი ტოტალიტარული ხელისუფლების მხრიდან დიდი წნეხის პირობებში მისი დამფუძნებლები, მთავარი რედაქტორი და პროფესიონალ-კეთილსინდისიერ ჟურნალისტთა პატარა ჯგუფი დიდ მუშტად შეიკვრებოდა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს შექმნიდა, რომელიც სააკაშვილის ლიბერალ-ფაშისტური ხელისუფლების ისტორიის სანაგვეზე გადაგდებაში ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებდა“.**

# «სოფელში რომ ჩავდივარ, პირველი, რასაც მეზობლები მეკითხებიან, «საქართველო და მსოფლიო» ხომ არ ჩამოგიტანიაო. უყვართ ძალიან. ხელიდან ხელში გადადის ამ გაზეთის ნომრები»

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ დაარსებიდან რვა წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში გაზეთის შემოქმედებითმა ჯგუფმა ორგზის დარბევას და ბევრ სხვა ზეწოლასაც გაუძლო, მაგრამ პრინციპებისთვის — სიმართლისა და ობიექტურობის მსახურებისთვის, არ უღალატია. საინტერესოა, რას ფიქრობს გაზეთის მკითხველი ჩვენზე, რას ფიქრობენ ჩვენი რესპონდენტები განვლილ გზაზე. გაზეთის პატივისმცემელთა არმია ძალიან დიდია, გამოცემის ფორმატი ვერ დაიტევს ყველა მათგანის მოლოცვას, მაგრამ რამდენიმე ადამიანის გულწრფელ სიტყვებს მაინც შემოგთავაზებთ.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— გილოცავთ რვა წლისთავს. იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომ ეპოქა შექმენით, გაზეთს უდავოდ აქვს ზეიმის მიზეზი. ამ ხნის განმავლობაში სახელი გაითქვით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც.

„საქართველო და მსოფლიო“ საუკეთესო გაზეთია. თქვენ ახერხებთ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და რევერანსების გარეშე გააკრიტიკოთ ყველა, ვინც გასაკრიტიკებელია, მათ შორის, ხელისუფლებაც. მაგრამ თქვენი გაზეთი დასაფასებელია არა მხოლოდ კრიტიკისთვის, არამედ მართალი სიტყვისთვისაც, რაც დეფიციტია ამ ქვეყანაში.

ვისურვებ, რომ გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ მრავალი წლის განმავლობაში იარსებოს, თანაც ასეთივე შემართებით; მინდა, შემოქმედებითი ჯგუფი სიმართლისთვის ბრძოლაში არ დაიღალოს.



**ვიქტორ ცაავა, პოლიტოლოგი:**

— უკვე 8 წელი გავიდა, რაც საქართველოს მედიასივრცეს შეემატა სხვა გაზეთებისგან გამორჩეული, აბსოლუტურად თავისუფალი, მრავალფეროვანი, ყოველკვირეული გამოცემა — „საქართველო და მსოფლიო“. ვერავინ იფიქრებდა, რომ მაშინდელი ტოტალიტარული ხელისუფლების მხრიდან დიდი წნეხის პირობებში მისი დამფუძნებლები, მთავარი რედაქტორი და პროფესიონალ-კეთილსინდისიერ ჟურნალისტთა პატარა ჯგუფი დიდ მუშტად შეიკვრებოდა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს შექმნიდა, რომელიც სააკაშვილის ლიბერალ-ფაშისტური ხელისუფლების ისტორიის სანაგვეზე გადაგდებაში ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებდა.

უფალმა მეც მარგუნა ბედნიერება, მემუშავა ამ პროფესიონალ და მიუკერძოებელ ჟურნალისტებთან, რომლებთან ურთიერთობაში ვგრძნობ კოლეგიურობის თბილ სიოს, აგრეთვე, გულითადი მეგობრობისა და სამშობლოს სიყვარულის უწყვეტ ლავას.

გაზეთი თავისი დაარსების დღიდან არის არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების რეალური ამსახველი, ამიტომაც დღემდე ინარჩუნებს მკითხველთა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

ვულოცავ გაზეთის კოლექტივს, მთავარი რედაქტორის ხელმძღვანელობით, ბრძოლის 8-წლიან იუბილეს. გაუფრთხილდით იმას, რაც ამ რვაწლიანი ბრძოლით მოიპოვეთ!



**ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრი:**

— უწინარესად, მადლობა რედაქციას, რომ მომცა შესაძლებლობა, გაზეთისადმი ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა. წლებია, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი ვარ, ყოველ ოთხშაბათს მოუთმენლად ველოდები ახალ ნომერს.

რვა წელია, საქართველოში „საქართველო და მსოფლიოს“ სახით არსებობს გაზეთი, რომელიც უდავოდ არის ფლაგმანი ქართულ ბეჭდვით მედიასივრცეში.

და აი რატომ:

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებზე ორიენტირებული, ინფორმაციულ-ანალიტიკური, თემატურად მრავალფეროვანი გაზეთია ულრესად აქტუალური თემატიკითა და მაღალპროფესიონალურობით.

„საქართველო და მსოფლიო“ მართალი გაზეთია და სწორედ ეს არის მისი უმთავრესი ხიბლიცა და ღირსებაც.

სამწუხაროდ, ქართულ მედიასივრცეში სიმართლის დეფიციტია. ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დეზინფორმაციის საშუალებები უფრო არიან; ამ ფონზე კი მით უფრო მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, რომ არსებობს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“.

შემხვედრია უამრავი ადამიანი, რომლებსაც უთქვამთ, მადლობა ღმერთს, ეს გაზეთი მაინც რომ არსებობს ერთ-ორ გაზეთთან ერთად, თორემ სრულ წკვარამში ვიქნებოდით... ეს სრული სიმართლეა და მეც მეტი რა მეთქმის.

მსურს, მივულოცო „საქართველო და მსოფლიოს“ მესვეურთ, მთავარ რედაქტორს — ირაკლი თოდუას, გაზეთის კოლექტივს გაზეთის რვა წლისთავი და ვუსურვო შემდგომშიც ასეთივე შემართებით ელვაწოთ სიმართლის საზეიმოდ და მამულის საკეთილდღეოდ.



**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:**

— გილოცავთ! რვა წლის განმავლობაში თქვენ პოპულარობა მოიხვეჭეთ. ბეჭდავთ ისეთ სტატიებს, როგორსაც სხვაგან მკითხველი ვერ ნახავს. ჩემ გარშემო ამ გაზეთს კითხულობს ყველა, ვმსჯელობთ, განვიხილავთ დაბეჭდილ მასალებს.

„საქართველო და მსოფლიო“ თავისუფალი გაზეთია. აქ იბეჭდება ალტერნატიული ინფორმაცია. ღრმა ანალიზი მხოლოდ ამ გაზეთში შეიძლება წაიკითხო, რის გამოც უაღრესად დიდ პატივს გცემთ. „საქართველო და მსოფლიო“ ჩემი საყვარელი გაზეთია.

გისურვებთ წარმატებებს!

მინდა გაფართოვდეთ, გქონდეთ თქვენი ტელევიზია, რადიო, რადგან თქვენ გელოდებიან. ოთხშაბათს გაზეთის გამოსვლას, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება.



**ფრიდონ კვარაცხელია, ქალაქ ფოთის კარდიოლოგიური კლინიკის ექიმი, კარდიოლოგი:**

— „საქართველო და მსოფლიო“ ერთადერთი ნათელი წერტილია ამ ინფორმაციულ ვაკუუმში. თქვენ ამბობთ სიმართლეს, ყველაზე უკეთ ხედავთ გლობალურ პოლიტიკას, ობიექტურები ხართ. თქვენი გაზეთის ერთგული ვარ მეც და ბევრი ფოთელი. ვსხდებით და ექიმები ხშირად განვიხილავთ თქვენს გაზეთში დაბეჭდილ მასალებს.

ყველა ავტორის გვარი და სახელი ვიცი და ასე მგონია, რომ შემხვდნენ სადმე, ვიცნობ კიდეც, ყოველ შემთხვევაში, პირველი წინადადების მოსმენის შემდეგ, მივხვდები, რომ „საქართველო და მსოფლიოდან“ არის.

გისურვებთ წარმატებებს. კიდევ ბევრი საიუბილეო თარიღი მოგველოცოს თქვენთვის ჩვენ — მადლიერ მკითხველს!

**ტარიელ სუხიაშვილი, ინჟინერი:**

— „საქართველო და მსოფლიო“ აკადემიური გაზეთია. ძალიან საინტერესო ანალიტიკურ წერილებს ბეჭდავთ. მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციას არ სჯერდებით, ღრმად მსჯელობთ, მოვლენებსა და ფაქტებს განიხილავთ, თანაც სწორი კუთხით; მკითხველს სრულყოფილ ინფორმაციას აწვდით. თქვენ აკეთებთ იმას, რასაც ბეჭდვითი მედია უნდა აკეთებდეს.

მომწონს, რომ არ ილანძღებით, აკადემიური ენით საუბრობთ.

რვა წელიწადი დიდი დრო არ არის, მაგრამ თქვენ მოახერხეთ, პოპულარობის მოხვეჭა. სწორ, მართალ გზას ადგახართ, საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ახდენთ. თქვენ ხშირად გესხმიან თავს, მაგრამ არ შედრკეთ, მართლები ხართ. მართალს ამბობთ, როდესაც წერთ, რომ ჩვენი ხსნის გზა რუსეთშია. ეკონომიკის განვითარებისთვის ძირიდათია ბაზარი, სხვა ვერაფერი გადაარჩენს ქვეყანას. რამდენი ქარხანა და ფაბრიკაც უნდა ააშენო, თუ გასაღების ბაზარი არ გაქვს, ყველაფერი ფუჭია. ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი რუსეთისაა და ამას ხმამაღლა მხოლოდ თქვენ ამბობთ. ამბობთ იმიტომ, რომ ქვეყნის გასაჭირი გტკივათ. საქართველოს რაც სჭირდება, იმაზე ღიად საუბრობთ, ამიტომ ნურაფრის შეგეშინდებათ.

გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ. დარჩით ისეთებად, როგორებიც დღემდე იყავით. გაფართოვდით, გაძლიერდით. მკითხველი გიმრავლოთ ღმერთმა და, რაც მთავარია, თანამოაზრეები!



**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— რვა წელიწადი არც ისე პატარა დროა, მაგრამ მან მაინც ჩქარა გაირბინა. თითქოს გუშინ იყო თქვენი გაზეთის პრეზენტაცია, გაზეთის პირველი ნომერი — კულტურული დიზაინით, შესანიშნავი მაკეტით, სოლიდური ფორმატით...

ჯერ იყო სიახლის განცდა, შემდეგ — მიჩვევა, მერე — მოთხოვნილებად გადაქცევა...

დღეს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომლისთვისაც სიტყვის თავისუფლება ჭეშმარიტი ღირებულებაა.

დღეს ქართული მედია დასავლური (ამერიკული) მედიის ქართულენოვანი დანამატია. საბედნიეროდ, არსებობს „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსი გამონაკლისები, სადაც განსხვავებული აზრი არ იკრძალება და ოფიციალური იდეოლოგიის სულისშემხუთავი მარწუხები მოხსნილია. თქვენი გაზეთი არც ხელისუფლების წყალობაზეა ორიენტირებული და არც კომერციაზე ან დასავლურ ტრანშებზე. თქვენ წმინდა მოვალეობად ერისა და ქვეყნის სამსახურში დგომა დაისახეთ. როგორი მძიმე და საზიანოც უნდა იყოს თქვენთვის მახინჯი ეპოქის მხილება, ამას მაინც აკეთებთ. როგორი ძლიერიც უნდა იყოს მტერი, რომელსაც ებრძვით, თქვენ მას არ ეპუებით. ეს ოდენ შრომა კი არა, ბრძოლაცაა. ასეთია ჟურნალისტის ხვედრი, სხვა პროფესიის ადამიანები შრომობენ, ჟურნალისტები კი იბრძვიან, ვინაიდან მათ კბილებით უნდა დაიცვან და გაიტანონ სიმართლე. ჟურნალისტი ყველგან უნდა იყოს, შრომაა თუ დასვენება, ომია თუ მშვიდობა, თამაშია თუ გართობა.

სხვა ყაიდის ჟურნალისტების მომრავლებაზეც ნუ დავხუჭავთ თვალს, სხვის დაკრულზე რომ ცეკვავენ, საუკუნეებით განმტკიცებულ ეროვნულ ღირებულებებს ებრძვიან და უცხოურის გაფეტიშებას ემსახურებიან. მათ შესახებ ბისმარკი ამბობდა, — ჟურნალისტი არის ადამიანი, რომელმაც პროფესია შეცდომით აირჩიაო. თქვენ ის ადამიანები ხართ, რომლებმაც მძიმე პროფესია აირჩიეთ, მაგრამ სწორად აირჩიეთ.

მძიმე ეპოქაა, ცრუ და უსინდისო ადამიანები დაფასებულნი არიან, მართალი და პატიოსანი კი — შეურაცხყოფილი და კუთხეში მიმწყვდეული. ამგვარ ეპოქებში საზოგადოებას გაძლება მართებს, ნამდვილ ჟურნალისტებს კი — ორმაგად გაძლება.

თქვენ უძლებთ, თქვენ მტკიცედ დგახართ, თქვენ იბრძვით. რვა წელიწადია, ხმალი ქარქაშში არ ჩაგიგიათ. რვა წელიწადია, ღამით ადრე არ დაგიძინიათ და დილით გვიან არ გაგიღვიძიათ. რვა წელიწადია, თქვენს კალამს მელანი არ შეშრობია...

ჩაივლის წლები, გადაივლის ჟამიანობა, გაიფანტება ბურუსი, გამოიხედავს ხალხი თვალში და დაინახავს, ვინ სიმართლეს ემსახურა და ვინ — სიცრუეს.

ისევ ჩაივლის წლები. მოვლენ ახალი თაობები, რომლებსაც დააინტერესებთ წარსული. ისინი შევლენ ინტერნეტში ან ბიბლიოთეკებში და მოიკითხავენ მხოლოდ იმ გაზეთებსა და გამოცემებს, რომლებშიც ჩვენი ეპოქა მრუდე სარკეში არ იყო დანახული. და იმ გამოცემათა შორის ერთ-ერთი პირველი იქნება „საქართველო და მსოფლიო“.



**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— დიდი ხანია, პრესის სფეროში ვარ. მოყვარულთა სიაში არ ვარ. ბევრი გაზეთის რედაქტორი ვიყავი.

დღეს ქვეყანაში რამდენიმე გაზეთია, რომელთა წაკითხვაც შესაძლებელია, მაგრამ თქვენ განსაკუთრებულები ხართ. „საქართველო და მსოფლიო“ არის სერიოზული ანალიზის შედეგად შექმნილი და დაწერილი. გაზეთი არ იბეჭდება პოპულარობისთვის, თქვენ არ თხზავთ ინფორმაციას. საუბრობთ ქვეყნის ტკივილზე, ერისთვის საჭირბოროტო, მნიშვნელოვან საკითხებს ეხებით.

უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადავუხადო თქვენს რედაქტორს, გონიერ კაცს, ირაკლი თოდუას. ის ამ რვა წლის განმავლობაში ისე მოღვაწეობს და ისე ▶

**„მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენთან თანამშრომლობა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია და სასიამოვნოც. ვიმედოვნებ, რომ საქმიანი ურთიერთობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას შორის კვლავაც წარმატებით გაგრძელდება."**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 8 წელი
# საქართველო და მსოფლიო

წარმართავს გაზეთს, რომ სრულყოფილებამდე ჰყავს მიყვანილი აზრის სიღრმე და სიმართლე. დიდი პატივისცემით, სიხარულითა და სიამაყით ვულოცავ მას და ყველა თქვენგანს ამ მნიშვნელოვან თარიღს. ღმერთმა დიდხანს მოგცეთ შემართება, ქართველი ერისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს გასაძლიერებლად და პრობლემების გადასაჭრელად.



**ნაპოლეონ ქარქაშაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:**

— თქვენი გაზეთი სუფთა და გამჭვირვალეა. პრინციპულად და მიუკერძოებლად აშუქებს ყველა იმ მოვლენას, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია. თქვენთან თანამშრომლობს განათლებული ქართველი საზოგადოება, ცნობილი პუბლიცისტები. მეც მათ შორის მოვიაზრებ ჩემს თავს და ეს მეამაყება.

წინ კიდევ დიდი გზა გაქვთ გასავლელი, რომელსაც ასევე სასახელოდ დაძლევთ.

გილოცავთ ყოველივე იმას, რასაც დამსახურებულად მიაღწიეთ!



**გიორგი კვესიტაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:**

— პირდაპირ ვიტყვი, საქართველოში არ მეგულება სხვა გაზეთი, რომელიც ისე რეგულარულად და სრულყოფილად ეხმაურება ეროვნულ მეცნიერებათა დარგებში მიმდინარე პროცესებს, როგორც „საქართველო და მსოფლიო".

რედაქციის პოზიცია ყოველთვის პრინციპულია, მართალი და გაბედული. თქვენი კრიტიკული გამოსვლები არამც და არამც არ არის კრიტიკა კრიტიკისთვის; პირიქით, კეთილშობილურ მიზანს ემსახურება — ნაკლოვანებათა გამოსწორების გზით საუკეთესო შედეგების მიღწევას. არსად, არასოდეს შემიმჩნევია მაკომპრომეტებელი მასალებით (მართალითა თუ გამოგონილით) გატაცება. „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა-გულსა" თქვენთვის უცხოა და მიუღებელი.

შეიძლება ითქვას, რომ „საქართველო და მსოფლიო" სერიოზული, ინტელექტუალური გაზეთია, ანალიტიკური, რომელსაც არც მახვილი სიტყვა აკლია, არც პუბლიცისტური პათოსი, არც იუმორი, არც სარკაზმი — ყველაფერი ზომიერადაა წარმოდგენილი, მაღალი ზნეობითაა გამორჩეული. ადამიანის ღირსების, მისი უფლებების დაცვა თქვენი პრიორიტეტი რომ არის, აშკარად ჩანს საგაზეთო პუბლიკაციებიდან.

„საქართველო და მსოფლიო" მეცნიერთა საზოგადოებაში პოპულარული გამოცემაა.

ხაზგასასმელია, რომ მასმედიის სივრცეში თქვენ შემოხვედით იმ პერიოდში, როცა პრაქტიკულად ყველა ნიშა დაკავებული იყო, მაგრამ შეძელით საკუთარი გამორჩეული ადგილის მოპოვება და იქ დამკვიდრება.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენთან თანამშრომლობა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია და სასიამოვნოც. ვიმედოვნებ, რომ საქმიანი ურთიერთობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას შორის კვლავაც წარმატებით გაგრძელდება.



**ანზორ მაისურაძე, უშიშროების გენერალ-მაიორი:**

— გაზეთის სიკარგე დამოკიდებულია იმ კოლექტივზე, რომელიც მისი ყოველი ნომრის გაკეთებაზე მუშაობს — მთავარი რედაქტორით დაწყებული, კორესპონდენტებითა და კორექტორებით დამთავრებული. როგორი პროფესიონალებიც არიან ისინი, იმ დონისაა გაზეთი.

ცნობილი გამოთქმაა: გაზეთი რედაქტორის სახეა. და ეს მართალია.

„საქართველო და მსოფლიო" ის იშვიათი გამონაკლისია, როცა პროფესიონალიზმი, ინტელექტი და ობიექტური პრესის პრინციპები ერთმანეთთანაა შერწყმული.

თქვენ ყოველთვის თვალს ადევნებთ ხალხის მოთხოვნებს და უპასუხებთ ამ მოთხოვნებს, იცავთ ქვეყნის ინტერესებს.

„საქართველო და მსოფლიო" პატრიოტული გაზეთია და ამ სულისკვეთებითაც გამორჩეულია.

თუ ეს ყველაფერი ბეჭდურ გამოცემას აკლია, იგი თანდათან დაკარგავს ავტორიტეტს, მაშასადამე, მკითხველებსაც და გაქრება ასპარეზიდან.

მერვე წელიწადია, თქვენი გაზეთი არა მხოლოდ ინარჩუნებს ავტორიტეტს, არამედ უფრო და უფრო განიმტკიცებს მას. ამას თქვენ აღწევთ არა ძალად გასენსაციურებული მასალების გამოქვეყნებით, არა ე. წ. ფეიკებით, რომლებიც დღეს ევრო-ამერიკულ პრესაში განსაკუთრებულად მოთხოვნადი პროდუქტი გახდა, არამედ იმ ინტელექტუალური პუბლიკაციებით, რომლებითაც იზიდავდით და იზიდავთ მკითხველებს.

გისურვებთ, კვლავაც ამ გზით იაროთ!



**დავით იაკობიძე, პროფესორი:**

— „საქართველო და მსოფლიო", ჩემი აზრით, სანიმუშო გაზეთია, რომელიც სრულად უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც დღევანდელი პრესის წინაშე დგას. თამამია თავისი პუბლიკაციების პათოსით, დროულად ეხმაურება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, განიხილავს მათ მსოფლიო გლობალური დინამიზმის პირობებში.

ამ გაზეთის საშუალებით მკითხველი ეცნობა არა მხოლოდ ახალ ამბებს, არამედ ანალიტიკური მასალების დახმარებით ერკვევა ჩვენს სამყაროში სწრაფად განვითარებადი მოვლენების ტენდენციებში.

საშუალება მომეცა, მეთანამშრომლა ამ გაზეთთან კარგა ხნის განმავლობაში. შესაძლებლობა მქონდა, კრიტიკულად განმეხილა ყოფილი ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. ვაშუქებდით ისეთ საკითხებს, როგორიც იყო ელიტური კორუფცია, დიდი ჩავარდნები, რომლებიც ჩვენს წარმოებას ჰქონდა, მაგალითად, ჭიათურაში, მადნეულის კომბინატში, სოფლის მეურნეობის სრული განადგურება და ა.შ. და ა.შ.

„საქართველო და მსოფლიო" ამ შემთხვევაში ვაჟკაცურად იდგა საღი აზრის სადარაჯოზე. ამასთანავე, საშუალებას აძლევდა სხვადასხვა მიმართულების, განსხვავებული კონცეფციების ერთგულ ადამიანებს, გამოეტანათ თავიანთი მოსაზრებები საზოგადოების სამსჯავროზე განსახილველად, რაც დემოკრატიული პრესის ძირითადი მახასიათებელია.

ყოველთვის დიდი ყურადღებით ვკითხულობ ამ გაზეთს, ვაკვირდები მის იმპულსებს და კვლავ და კვლავ ვრწმუნდები, რომ იგი არჩეული გზის ერთგული რჩება — არის მართალი, თანმიმდევრული და კრიტიკული.

„საქართველო და მსოფლიოს" რედაქციაში მუშაობენ უმაღლესი კლასის სპეციალისტები, რომლებმაც საქართველოს ჟურნალისტურ ამქარს დადებითი, პოზიტიური მახასიათებელი შესძინეს.

ამ კოლექტივთან ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოქვეყნებულ წერილებს თავი რომ მოვუყაროთ, ალბათ, ორტომეული გამოვა. ეს პუბლიკაციები, ალბათ, საინტერესო იყო მკითხველებისთვის. ყოველ შემთხვევაში, გამოხმაურება ამ მასალებზე, რომლებსაც თვალს ვადევნებდი ინტერნეტის მეშვეობით, ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა.

რვა წელიწადი საიუბილეო თარიღი არ არის, მაგრამ ვინ გვიშლის ხელს, აღვნიშნოთ ის, რაც გაკეთებულია?

იუბილემდე უფრო მეტის გაკეთებას შეძლებთ, რასაც გულწრფელად გისურვებთ.



**ნოდარ ჯობაძე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი:**

— ვარ თქვენი გაზეთის მკითხველი მისი გამოსვლის პირველი დღიდან. მომწონს მისი მრავალფეროვნება, ხარისხი, რომელიც თქვენი ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის თვალსაჩინო დასტურია.

გაზეთი, გარკვეული აზრით, სპორტსა ჰგავს, უწინარეს ყოვლისა, ფეხბურთს. ჩემი თაობის გულშემატკივრები სტადიონზე მივდიოდით ფეხბურთის დიდოსტატების თამაშის საყურებლად, ისეთების, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, ბასა ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და ა.შ. მათი თამაში ყოველთვის გამოირჩეოდა სიკისკასით, ჟინით, მაღალი ოსტატობით.

გაზეთსაც იმიტომ ვიღებთ ხელში, რომ წავიკითხოთ ჭეშმარიტი კალმოსნებისა და ანალიტიკოსების წერილები, გავეცნოთ გამორჩეული ავტორების პოზიციას, ჩავუფიქრდეთ მათ ნათქვამ-ნააზრევს, მათთან ერთად გავაანალიზოთ არსებული რეალობა. გაზეთს რომ გადავფურცლავთ, ჯერ მათ გვარებს ვეძებთ.

„საქართველო და მსოფლიოში" ასეთ ავტორებად გვეგულება — დიმიტრი მონიავა, ნანა დევდარიანი, ჰამლეტ ჭიპაშვილი. ყველას ვერ ჩამოვთვლი. გამოჩნდა ახალი გვარებიც, რომელთა ნაწერებიდან ჩანს, რომ ეს ადამიანები ნამდვილი პროფესიონალები და გამოცდილი ჟურნალისტები არიან, მაგრამ ამ გვარებს სხვაგან არსად, არც ერთ გამოცემაში არასოდეს შევხვედრივართ. ცხადია, რომ თქვენს გაზეთში ისინი ფსევდონიმებით არიან წარმოდგენილი. თავდამბლობის გამოა? მაგრამ ხომ ცნობილია, რომ თავმდაბლობა საჭიროა მაშინ, როცა სხვა ღირსება არ გააჩნია ადამიანს. თქვენი ავტორები კი მრავალი ღირსებით არიან შემკული. ისიც ცნობილია, რომ არც ერთი ფსევდონიმი გაუშიფრავი არ რჩება.

მოგვეცით საშუალება, გავიცნოთ ეს ხალხი.

„საქართველო და მსოფლიო" გაზეთია, რომლისაც გჯერა და რომელსაც ენდობი.

სოფელ გალავანში რომ ჩავდივარ, პირველი, რასაც მეზობლები მეკითხებიან, „საქართველო და მსოფლიო" ხომ არ ჩამოგიტანიაო. უყვართ ძალიან. ხელიდან ხელში გადადის ამ გაზეთის ნომრები.

გისურვებთ, მკითხველის სიყვარული არ მოგკლებოდეთ.



**მამა დავით (ქვლივიძე), თბილისის მაცხოვრის ნათლისღების ტაძრის დეკანოზი:**

— ჩემი აზრით, ეს არის გაზეთი, რომელიც ანტიქრისტიანული ძალების გავლენას არ განიცდის, ამიტომ, რასაც ვფიქრობ, ყოველთვის პირდაპირ ვამბობ და ვიცი, რომ ამ გაზეთის ფურცლებიდან ყველაზე მწარე სიმართლის თქმაც პრობლემას არ წარმოადგენს. ჩემთვის, როგორც სასულიერო პირისთვის, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ არსებობს ასეთი საინფორმაციო საშუალება, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ბეჭდური მედიის 90 პროცენტი დაშინებულია და ხმას ვერ იღებს. ეს გაზეთი ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნებით, სულისკვეთებითაა განმსჭვალული, ამიტომაც დიდი პატივისცემით ვარ მის მიმართ განწყობილი და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვაძლევ ინტერვიუს.



**მამა გიორგი (რაზმაძე), ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვარი:**

— „საქართველო და მსოფლიო" არის ერთ-ერთი კარგი და გამორჩეული გაზეთი, ერთადერთი თუ არა, რომელიც ყოველთვის ობიექტურად აშუქებს მოვლენებს და, რაც მთავარია, მოურიდებლად ამხელს იმ შავბნელ ძალებს, რომლებიც დღეს გაშმაგებით ებრძვის ყველაფერ ძველს, ტრადიციულს, ეროვნულსა და ქრისტიანულს. ეს არის გაზეთი, რომლის საშუალებითაც ვიცი, რომ ყოველთვის შემიძლია ვილაპარაკო სიმართლე და არანაირი შეზღუდვა, არანაირი ცენზურა ამ მხრივ არ აქვს მის ხელმძღვანელობას. გილოცავთ საიუბილეო თარიღს და ვისურვებდი, რომ კიდევ დიდხანს ემსახუროთ სიმართლეს ასე ღირსეულად და უკომპრომისოდ; რომ თქვენი შემართება სხვა მედიასაშუალებებისთვისაც აღმოჩნდეს სამაგალითო და სხვებიც ასე ღირსეულად დადგნენ ჭეშმარიტად თავისუფალი და სამართლიანი სიტყვის სადარაჯოზე.



**გიგა ბათიაშვილი, არქიტექტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე:**

— მინდა მივულოცო ჩემთვის და, მგონი, ქართველი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვან გაზეთს — „საქართველო და მსოფლიოს" გამოცემის მერვე წლისთავი.

ეს გამოცემა ყოველთვის, ყოველგვარ ვითარებაში ახერხებდა ობიექტურ რეაგირებას როგორც დადებით, ასევე უარყოფით მოვლენებზე. არასოდეს ახასიათებდა, ასე ვთქვათ, ბოღმის გადმონთხევა, რითაც, არცთუ იშვიათად, გამოირჩევა ჩვენი მასმედია. ყველა შენიშვნა, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთში, იყო კონსტრუქციული, საქმისთვის სასარგებლო და არა სენსაციისთვის, ყალბი პოპულარობის მოსაპოვებლად გამიზნული.

სწორედ ამიტომ გულწრფელად ვთანამშრომლობდი რედაქციასთან, როცა ამის შესაძლებლობა მეძლეოდა.

გისურვებთ, მომავალშიც არ მოგკლებოდეთ მკითხველთა პატივისცემა და აღიარება, რომელიც მოპოვებული გაქვთ და არ გაგეფლანგოთ იგი ისე, როგორც ძალიან ბევრმა გამოცემამ გაფლანგა.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამ ქალმა რამდენიმე თანამშრომელს მხოლოდ იმიტომ მოსთხოვა სამსახურიდან წასვლა, რომ სამუშაო მაგიდაზე მცირე ზომის მართლმადიდებლური ხატები ეწყოთ.**

# ევროპულ ღირებულებებს არაფერი ისე არ უტეხს სახელს, როგორც თამარ კინწურაშვილები და ია ანთაძეები

**ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ქვეყანაზე არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც კინოფილმ „მონანიებაში“ კახი კავსაძის გმირის, მიხეილ კორეშელის, მიერ ნათქვამი სიტყვები — „გვირაბი უნდა გაგვეყვანა ლონდონიდან ბომბეიმდე“ — სიმართლე ეგონებოდათ; ანუ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კახი კავსაძის გმირის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები რეალური აღიარებაა ჩაფიქრებული დანაშაულისა; ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კინოფილმის გმირი რეალურად აპირებდა ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრას.**

ამდენჯერ იმიტომ განვმარტე, რომ არ ვარ დარწმუნებული, ხვალ ინტერნეტში განთავსებული ჩემი ეს საგაზეთო წერილი **თამარ კინწურაშვილის** პირად „ფეისბუქ-კედელზე“ არ იქნება გაზიარებული სულელური, არაადეკვატური, პირდაპირ ვიტყვი, წარმოუდგენლად მტერული კომენტარით.

ზუსტად ისე, როგორც ეს წინა კვირაში მოხდა, როდესაც გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც ვწერდი: „თამარ კინწურაშვილის ორგანიზაციას საკვლევსაც კი აღარაფერს ვუტოვებ და პირდაპირ ვამბობ, რომ რუსულ პროპაგანდას ვეწევი“.

ნებისმიერი **იოტისოდენა ტვინის მქონესთვისაც გასაგებია, რომ ეს ირონიაა იმ მტერული „კვლევების“ მიმართ, რომლებსაც ატარებენ ხოლმე ეს ე.წ. არასამთავრობოები და რომლისთვისაც უაზროდ იხარჯება ბევრი ათასი დოლარი, რათა შემდეგ უცხოელ დონორებს წარუდგინონ ანგარიში, როგორ მძვინვარებს „რუსული პროპაგანდა“ საქართველოში.**

არც მივაქცევდი ყურადღებას ისეთ არარაობას, როგორიც თამარ კინწურაშვილია, რომ არა ორი ფაქტორი:

**პირველი** — მაჩვენეს მის პირად „ფეისბუქ-კედელზე“ გაზიარებული ჩემი ეს ირონიული სტატია მინაწერით — „ქამინგ აუტების ჟამი არს, ნახეთ, ბაკურ სვანიძე თვითონვე აღიარებს, რომ რუსულ პროპაგანდას ეწევა!“

**მეორე** — გასულ კვირაში დაწყებული დიდი ხმაური საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო.

ამ ორ მოვლენას კი ერთმანეთთან აკავშირებს სწორედ ქალბატონი თამარ კინწურაშვილი. მეხსიერების დიდი დაძაბვა არც უნდა დაგვჭირდეს, რომ გავიხსენოთ: **როდესაც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ სახტელერადიოდეპარტამენტი საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთდა, მისი პირველი გენერალური დირექტორი სწორედ თამარ კინწურაშვილი იყო.** აი, აქედან იწყება იმ მილიონების აორთქლება, რომლებზეც ამავე ორგანიზაციის ახალი გენერალური დირექტორი **ვასილ მაღლაფერიძე** ლაპარაკობდა პრესკონფერენციაზე. სწორედ თამარ კინწურაშვილის დირექტორობის პერიოდს უკავშირდება „საზმაუ“-დან პირველი მილიონების „გაქრობა“ და მისი რეიტინგის საბოლოო დასამარება.

სხვათა შორის, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელშიც ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის შემდეგ ამ ტელევიზიის რეიტინგი მკვეთრად დაეცა და ნულს გაუტოლდა. არადა, იდეაში სახელისუფლო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის ტენდენცია აღმოსავლეთ ევროპასა და, საზოგადოდ, მსოფლიოშიც, სწორედ იმას ემსახურება, რომ ამ ტელევიზიებმა ხალხში მეტი ნდობა მოიპოვონ, სამაუწყებლო ხარისხი აიმაღლონ და, შესაბამისად, უფრო რეიტინგულები გახდნენ.

**ჩვენი ქვეყანა კი ერთადერთია, რომლის ოფიციალური სამთავრობო დაქვემდებარების ტელეარხს გაცილებით მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე უკვე საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილს.** განსაკუთრებით ეს ითქმის **ზაზა შენგელიას** დირექტორობის პერიოდზე, როდესაც სახტელერადიოდეპარტამენტის პირველმა არხმა მართლაც სერიოზული კონკურენცია გაუწია იმხანად წარმოუდგენლად მაღალი რეიტინგის მქონე „რუსთავი 2“-ს, სადაც **ჟვანია-სააკაშვილის** გუნდის მიერ ათასგვარი მაქინაციით მოპოვებული მილიონები ინთქმებოდა.

იმ პერიოდში მართლაც ვერავინ იფიქრებდა, რომ „რუსთავი 2“-ისთვის რეალური კონკურენციის გაწევა შესაძლებელი იქნებოდა, რადგან კერძო ტელევიზიებს ჯერ არ ჰქონდათ მყარი ფინანსური საფუძვლები და უახლესი ტექნიკური საშუალებები, ხოლო პირველი არხი მაინც სამთავრობო რუპორად მიიჩნეოდა და მისგან ხალხში პოპულარობისა და ნდობის მოპოვებას არავინ ელოდა. სინამდვილეში კი, მაშინდელმა პირველმა არხმა ბევრ კომპონენტში დაჯაბნა „რუსთავი 2“ და დღის არაერთ მონაკვეთში სამთავრობო ტელევიზიას გაცილებით მეტი მაყურებელიც ჰყავდა, ვიდრე ვითომ „თავისუფალ და დამოუკიდებელ“ „რუსთავი 2“-ს.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას — იმავე პერიდში პირველი არხი დამოუკიდებლობის ხარისხითაც სჯობდა „რუსთავი 2“-ს. მიუხედავად უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლისა, რომელსაც განიცდიდნენ მაშინდელი პირველარხელები ე.წ. კოლეგების მხრიდან, რომ ისინი „შევარდნაძის ჯიბის ტელევიზიის“ წარმომადგენლები არიან, სინამდვილეში სწორედ „რუსთავი 2“ იყო ყველაზე მიკერძოებული, ყველაზე არაპროფესიონალური და ყველაზე დეზინფორმატორი ტელეკომპანია, რომელიც მხოლოდ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს უწევდა რეკლამას და მათ პოლიტიკურ კონკურენტებს უშვერად და უდიერად ლანძღავდა, თათხავდა, უგონებდა სიცრუეს, ავრცელებდა ათასგვარ დეზინფორმაციას, ხშირად გადასცემდა ყოველგვარი კანონისა და ეთიკის დამრღვევ სიუჟეტებს. უბრალოდ, ეგაა, რომ **იმხანად საზოგადოების ფართო ფენებში ჯერაც არ იყო სწორად და ზუსტად აღქმული, რა საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნისთვის ჟვანია-სააკაშვილის ვითომ „რეფორმატორთა“ გუნდი და რა მონურ მორჩილებაში ჰყავდათ მათ „რუსთავი 2“-ის სამარცხვინო კოლექტივი, რომლის ჟურნალისტებიც „ვარდების რევოლუციისას“ გმირებად შერაცხეს, ხოლო ამ სამარცხვინო ტელეკანტორას სრულიად სამარცხვინოდ ეწოდა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“.**



თამარ კინწურაშვილი

ამ ფონზე სიმპათიურად გამოიყურებოდა პირველი არხი, რომელიც გაცილებით ობიექტურად აშუქებდა მოვლენებს და ამ ვითომ „ჯიბის“ ტელევიზიის ეთერში ხელისუფლების, პირადად შევარდნაძის, მძაფრი კრიტიკაც ხშირად გაისმოდა.

**როდესაც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ სახტელერადიოდეპარტამენტი საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთდა, მისი პირველი გენერალური დირექტორი სწორედ თამარ კინწურაშვილი იყო. აი, აქედან იწყება იმ მილიონების აორთქლება, რომლებზეც ამავე ორგანიზაციის ახალი გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე ლაპარაკობდა პრესკონფერენციაზე. სწორედ თამარ კინწურაშვილის დირექტორობის პერიოდს უკავშირდება «საზმაუ»-დან პირველი მილიონების «გაქრობა» და მისი რეიტინგის საბოლოო დასამარება**

იმხანად ქართველი საზოგადოების მოტყუება „ტელეფანდებით“ ძალიან იოლი აღმოჩნდა და საბოლოოდ მივედით იმ შედეგამდე, რომელზე საუბრითაც დავიწყეთ ეს საგაზეთო წერილი — ფორმალურად საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილი ამ ტელევიზიის ხელმძღვანელად მოგვევლინა სრულიად უვიცი, საზოგადოდ, ჟურნალისტიკაში და განსაკუთრებით — ტელესაქმეში, სრულიად უცოდინარი და, რაც მთავარია, **გიგა ბოკერიას** პირადი მონა **თამარ კინწურაშვილი.** უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გიგა ბიოკერიას გავლენით, იგი ჯერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრად დასვეს, შემდეგ ბორდისთვის წარდგენილი დირექტორობის ყველა კანდიდატი დააბლოკვინა, არჩევნები საერთოდ ჩაშალა და განმეორებითი არჩევნების შემდეგ თავი დაანიშნინა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო პრაქტიკაში ეს პირველი, ერთადერთ და, ვიმედოვნებ, უკანასკნელი შემთხვევაა, როდესაც ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საკუთარ თავს ირჩევს გენერალურ დირექტორად.

თუმცა უფრო „გაკეთილშობილებული“ სახით ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, რასაც მოწმობს **ბიძინა ივანიშვილის** პირადი „ტელეპროდიუსერის“, ვასილ მაღლაფერიძის, დანიშვნა (და არა არჩევა) საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად, მაგრამ ვასილ მაღლაფერიძეზე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რაიმე ზარალის მიმყენებელზე, ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან მისი დანიშვნიდან ჯერ საკმაო დრო არ გასულა. რაც შეეხება თამარ კინწურაშვილს, ჩნდება კითხვა — **თუ სიმართლეა ის, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში ასობით მილიონი ლარია გამქრალი და არამიზნობრივად დახარჯული, მაშინ რატომ არ უნდა დავიწყოთ ამ მილიონების კვალის ძიება მისი პირველი დირექტორის პერიოდიდან?**

აშკარაა, რომ „რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ მებრძოლ“ პერსონებს ახასიათებთ ფულისადმი განსაკუთრებული სიყვარული და თანხების ფლანგვა — იქნება ეს გრანტი, ტრანში თუ მათდამი დაქვემდებარებული რომელიმე უწყებისა და ორგანიზაციის ბიუჯეტი. როგორც ჩანს, ეს არის ის ნაქები „ევროპული ფასეულობები“, რომლებსაც ჩვენ, „რუსეთუმეები“, ასე დაუნდობლად ვებრძვით „ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გაყვანის“, ანუ „რუსული პროპაგანდის“ მეთოდით.

როგორც ჩანს, ისიც ძალიან ევროპული ფასეულობა იყო, როდესაც თამარ კინწურაშვილმა „საზმაუს“ დირექტორობისას სამსახურიდან მოხსნა სპორტული რედაქციის ხელმძღვანელი **ლაშა დვალიშვილი.** მიზეზი კომიკური იყო — თურმე მან წუთნახევრით მეტი დრო დაუთმო **გიორგი ნემსაძეს**, ვიდრე **ნოდარ ახალკაცს.** გახსოვთ, ალბათ, ეს ფეხბურთის ფედერაციის ის არჩევნებია, რომელშიც გიორგი ნემსაძემ რეალურად გაიმარჯვა, ხოლო გიგა ბოკერიას ჯგუფს ნოდარ ახალკაცის გამარჯვება სურდა და ის, ფაქტობრივად, ძალადობით დასვეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელში. იმხანად თამარ კინწურაშვილი, როგორც გიგა ბოკერიას პირადი მონა, ნოდარ ახალკაცს უჭერდა მხარს და ლაშა დვალიშვილი, ფაქტობრივად, იმისთვის დაისაჯა, რომ გიორგი ნემსაძე საერთოდ მოიწვია ეთერში. არავითარი „ზედმეტი“ დრო მისთვის არავის მიუცია — ეს უბრალოდ შარის მოდება იყო.

**ძალიან „ევროპული“ მიდგომაა, ალბათ, ისიც, როდესაც, მაუწყებლის ასეულობით პროფესიონალ თანამშრომელს სამსახურიდან ახსნა-განმარტების გარეშე გააგდებ და იქ სრულიად უვიც ადამიანებს მოიყვან, რომლებიც გიგა ბოკერიასადმი მონურ მორჩილებაში არიან. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ქალმა რამდენიმე თანამშრომელს მხოლოდ იმიტომ მოსთხოვა სამსახურიდან წასვლა, რომ სამუშაო მაგიდაზე მცირე ზომის მართლმადიდებლური ხატები ეწყოთ.**

ასე და ამრიგად, შედგენილია სრული სურათი იმისა, როგორ, რა სახით აწვდიან და ანახვებენ „ევროპულ ფასეულობებს“ საქართველოს მოქალაქეებს თამარ კინწურაშვილისნაირები.

და, თუ გავითვალისწინებთ მათივე მტკიცებას, ევროპული ღირებულებების ნებისმიერი კრიტიკა და დაკნინება იგივე რუსული პროპაგანდააო, გამოდის, ისინი თვითონ აწარმოებენ რუსულ პროპაგანდას, რადგან ევროპულ ღირებულებებს არაფერი ისე არ აკნინებს და არაფერი ისე არ უტეხს სახელს, როგორც თამარ კინწურაშვილის მსგავსი ადამიანების საქციელი.

საზოგადოდ კი, ფაქტია, რომ **ქართულ მედიას როგორც თამარ კინწურაშვილის, ასევე ია ანთაძის მსგავსი „მედიაექსპერტები“ ისე შეესივნენ, როგორც ადამიანის დაზიანებულ კანს ე.წ. ფერიმჭამელები. და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ჭამა“ ამ შემთხვევაში ფინანსური და მატერიალური საშუალებების ფლანგვისა და მითვისების გაგებითაც შეიძლება გამოვიყენოთ, მაშინ ეს სიტყვა ორმაგ დატვირთვას იძენს და, როგორც მიშასდროინდელ, ასევე ახლანდელ, ანუ ბიძინასდროინდელ მედიას შესეული „თამარკინწურაშვილების“ და „იაანთაძეების“ კრებით სახელად თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სიტყვა „მედიაჭამიები“.**

დასასრულ, რადგან თამარ კინწურაშვილს ჩემი ნებისმიერი ფრაზა იმ დონის ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ირონიის აღქმის უნარსაც კარგავს და ისე აზიარებს თავის „ფეისბუქ-კედელზე“, როგორც ჩემგან სრული სერიოზულობით ნათქვამს, ნამდვილად მაინტერესებს, ამ სტატიიდან, ნეტავ, ჩემს რომელ ფრაზას „გააქამინგაუტებს“:

იმას, რომ მისი მსგავსი ამ სრულიად არეულ და უპატრონო ქვეყანაშიც კი იშვიათია, თუ იმას, რომ გიგა ბოკერიას პირადი მონის ფსიქოლოგია შუა საუკუნეების აზიასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ოცდამეერთე საუკუნის ევროპასთან?

**მეეჭვება, პარლამენტარებს ხალხთან ერთად, სიცრუის დეტექტორის მოტყუების უნარიც ჰქონდეთ და ინაშვილის ინიციატივა რომ განხორციელდეს, ეგებ ვილაცას ან რაღაცას თავის სახელი მართლა დაერქვას?! თუ ის სჯობს, რომან გოცირიძე რომ ქილიკობს ხოლმე პარლამენტის ტრიბუნიდან, უსუსურები ხართო?! ან ოთო კახიძის გაცოფებული სახე, მოსმენებს როგორ ბედავთ, გასაღები სუს-ის ხელში არ უნდა იყოსო. ეს ის კახიძეა ზურაბ ადეიშვილის მოადგილე რომ იყო და სრულიად საქართველოს რომ უსმენდა. ახლა კი...**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





ფიქრები ნარიყალაზე

# «ქართული ოცნებისთვის» გაწნული სილა და 8 ათას ლარად ნაყიდი გარმონი

**2012 წელს ვერც კი წარმოვიდგენდი, ნარიყალადან დანახული თბილისი ასეთი თუ იქნებოდა. სწორედ თბილისი, რადგან საქართველო ერთ დიდ თავკომბალას დაემსგავსა. აგერ, ქუთაისიდან პარლამენტს რომ გადმოიტანენ (და დამიჯერეთ, გადმოიტანენ), ქუთაისიც დაკარგავს იმ ფუნქციას, რომელიც თითქოს შეიძინა. მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტი ას მილიონზე მეტს დაზოგავს და ეს კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, მხოლოდ თბილისში რომ იშოვება გაუფასურებული ლარი და თბილისი არჩენს დანარჩენ საქართველოს.**

იმას გეუბნებოდით, არ მეგონა, 2012 წელს თუ ამას წარმოვიდგენდი-მეთქი და მინდა ფეხზე ადგომით, ნარიყალადან ტაში დავუკრა ჯერ ნაციონალების, ახლა კი მათი ნასხლეტის, „ევროპული საქართველოს“ წევრს — **ირაკლი აბესაძეს.** როცა ბატონი ირაკლი ეკა ბესელიას შეეკამათა, ქალბატონმა ეკამ, — ნაციონალების ზეობის პერიოდში რას აკეთებდით, ის გაიხსენეთ და მერე გვეკამათეთო. ჰოდა, ირაკლიმაც ისეთი პასუხი გასცა, რომ ტაში დამაკვრევინა.

**„ქალბატონო ეკა, მეხუთე წელი დაიწყო, რაც ხელისუფლებაში ხართ და მუდმივად საუბრობთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც დააშავა, რომ მკვლელები და მწვალებლები ვართ. საკონსტიტუციო უმრავლესობა თქვენს ხელშია, წინა მოწვევის პარლამენტშიც თქვენს ხელში იყო, მთავრობა თქვენ ხართ. ან შექმენით შესაბამისი კომისია, რომელიც გამოიძიებს, რა ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ და პასუხი აგებინეთ ნებისმიერ დანაშაულზე, ან დაასრულეთ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ რაღაც გავაფუჭეთ. მეხუთე წელია, გვესმის, რომ ჩვენ გავაფუჭეთ და გეკითხებით — რატომ არ გვთხოვთ პასუხს?!“** — ასეთი იყო აბესაძის განცხადების შინაარსი.

რეალურად, **აბესაძემ მმართველ გუნდს სილა გააწნა და მოითხოვა ის, რასაც, აგერ მეხუთე წელია, უშედეგოდ ითხოვს ერი.** ამომრჩევლის მთავარი დაკვეთა ხომ ის იყო, რომ სამართლიანობას ეზეიმა, დამნაშავე რეჟიმი დასჯილიყო და არა ის, რომ თუნდაც **მანანა კობახიძეს** თბილი ადგილი ეშოვა 10 წლით ან ვილაცები, ცხოვრებაში რომ არაფერი უკეთებიათ, პარლამენტში მოკალათებულიყვნენ და ჩვენს ხარჯზე ევლოთ თბილისი-ქუთაისის ავტობანზე. ეგებ ახლა მაინც, როცა უკვე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები პრაქტიკულად დასცინიან მმართველ გუნდს, გამოიძიეთ საქმე ან მუცელში (კარგ ვარიანტში) ჩაიგდეთ ენაო, ვინმემ მოიფიქროს, შექმნას კომისია, ან იმ საჩივრებზე მოხდეს ადეკვატური რეაგირება, რომლებიც დაზარალებულებს აქვთ შეტანილი, თორემ... რაღა თორემ, დღე არ გავა, აქცია არ გაიმართოს და ეჭვი მაქვს, დათბობასთან ერთად, პოლიტიკური ტემპერატურაც აიწევს და ხალხის მოთმინების ფიალაც უკვე მერამდენედ აივსება.

მანანა კობახიძე ვახსენეთ და იმ ყოფილ დეპუტატებზეც ვთქვათ, რომლებმაც თბილი ადგილები მიიღეს. 2004 წელს, ალბათ, მთელი საქართველო აატირა **ზურაბ ზვიადაურის** მიერ მოგებულმა ოლიმპიურმა ოქროს მედალმა. ბოლო წლებში, ჩვენ კი არა, მსოფლიო ექსპერტები ვერ იხსენებენ ამ დონის ტექნიკურ მოჭიდავეს, მაგრამ ძალიან, ძალიან მეეჭვება, ზურა გაზის ტრანსპორტირების საკითხებში ერკვეოდეს. არადა, სწორედ გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში დაინიშნა კონსულტანტად. გვესმის, რომ სამსახური ყველას სჭირდება, მაგრამ რიგითმა მოქალაქეებმა რა დააშავეს, იმ რიგითებმა, ოცნების ლიდერები ჯარისკაცებს რომ ეძახიან და გენერლობაზე კი არა, სერჟანტობაზე ოცნების უფლებაც აქვთ წართმეული?!

პარლამენტის ვიცესპიკერმა **ირმა ინაშვილმა** განაცხადა, კარგი იქნება, თუ ნდობის ჯგუფში შემავალი პარლამენტის წევრები სიცრუის დეტექტორს გაივლიანო. ამ განცხადებას ჯერ ქილიკი, შემდეგ კი უარყოფა მოჰყვა. არადა, მეეჭვება, პარლამენტარებს ხალხთან ერთად, სიცრუის დეტექტორის მოტყუების უნარიც ჰქონდეთ და ინაშვილის ინიციატივა რომ განხორციელდეს, ეგებ ვილაცას ან რაღაცას თავის სახელი მართლა დაერქვას?! თუ ის სჯობს, **რომან გოცირიძე** რომ ქილიკობს ხოლმე პარლამენტის ტრიბუნიდან, უსუსურები ხართო?! ან **ოთო კახიძის** გაცოფებული სახე, მოსმენებს როგორ ბედავთ, გასაღები სუს-ის ხელში არ უნდა იყოსო. ეს ის კახიძეა, **ზურაბ ადეიშვილის** მოადგილე რომ იყო და სრულიად საქართველოს რომ უსმენდა. ახლა კი... პრინციპში, რაღა ახლა, მახსენდება აბესაძის ნათქვამი მწარე სიმართლე და ვჩუმდები...

საზოგადოებრივი მაუწყებელი **ვასილ მაღლაფერიძის** იდეების განხორციელების პოლიგონად იქცა. იდეა მარტივია: გაჩერდეს ყველაფერი და შემდეგ... რაღაც ისეთი განცდა მაქვს, **მარკიზა დე პომპადური** რომ ამბობდა, ჩემ შემდეგ თუნდაც წარღვნაო. წარღვნის რა მოგახსენოთ, მაგრამ საზმაუს დასაცავად ოპოზიციასთან ერთად სტუდენტებიც ადგნენ ფეხზე, ხოლო სტუდენტური მოძრაობა თუ დაიქოქა... ქვეყნის ბედი შეუცვლიათ ხოლმე ახალგაზრდებს. პარალელურად, „რუსთავი 2“-ის „დასაცავად“ აღდგნენ პოლიტიკოსები და, სულო ცოდვილო, ლეიბორისტებმა თქვეს, ყველაზე ობიექტურ ტელეკომპანიას ებრძვის **ივანიშვილიო.** ყველაზე ობიექტური როდის გახდა „რუსთავი-2“, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა სულის მიყიდვა ეშმაკისთვისაც კი შეიძლება და ასეც იქცევა შალვა ნათელაშვილი და მისი გუნდი. ტელეკომპანიების დაცვის მიზნით, ოპოზიციამ პარლამენტში ბანერიც კი გამოფინა და ამ ამბავს გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ამ გაწევ-გამოწევაში **ელენე ხოშტარიამ** მთვრალი **მიხეილ ყაველაშვილი** დაინახა. ვერ გეტყვით, ნასვამი იყო თუ არა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ რამდენიმე თვის წინათ ყაველაშვილს უდიპლომობის გამო ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში არ მისცეს მონაწილეობის უფლება, — რეგლამენტი არ გვაძლევს ნებასო და... საქართველოს სპორტი და ახალგაზრდობა მიანდეს. ესეც კიდევ ერთი „ნოუ-ჰაუა“, რომელიც ახალი მოწვევის პარლამენტმა შემოგვთავაზა. „ნოუ-ჰაუა“ ისიც, რომ ამავე პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია, მაშინ, როცა პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, პრეზიდენტის შენიშვნებში რამდენიმე აშკარად ყურადსაღები იყო, მაგრამ კანონს ხელახლა ვერ დავატრიალებდით და ამიტომ, ვერ გავითვალისწინეთო. ანუ, რა გამოდის? პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, პრეზიდენტმა კანონში ხარვეზები გვიპოვა, გამოსასწორებელი იყო, მაგრამ არ გამოვასწორეთო, ანუ, ცუდი კანონი მივიღეთო.

გურჯაანის კულტურის ცენტრმა რვა ათას ლარად იყიდა გარმონი. საზოგადოდ, ფოლკლორი და ხელოვნება ცუდი არ არის, მით უმეტეს რეგიონებში უნდა განვითარდეს, მაგრამ... იმავე გურჯაანში ჩემს ახლობელს დავურეკე და, მთელი დღით დოლ-გარმონდუდუკის ქირაობა 400 ლარი ჯდებაო. გურჯაანის კულტურის ცენტრი კი წელიწადში 3-4 კონცერტს მართავს. ხომ ხვდებით, რასაც ვამბობ? ერთი გარმონის ფასად, მცირე ანსამბლს იქირავებდნენ რამდენიმე წლით, მაგრამ... თუ გემღერებათ, იმღერეთ, ბატონებო, გარმონიც გაწელეთ... მაინც ყველა წელავს და თქვენ რა დააშავეთ?!

**ვიზალიბერალიზებული ქართველი**

**აბესაძემ მმართველ გუნდს სილა გააწნა და მოითხოვა ის, რასაც, აგერ მეხუთე წელია, უშედეგოდ ითხოვს ერი. ამომრჩევლის მთავარი დაკვეთა ხომ ის იყო, რომ სამართლიანობას ეზეიმა, დამნაშავე რეჟიმი დასჯილიყო და არა ის, რომ თუნდაც მანანა კობახიძეს თბილი ადგილი ეშოვა 10 წლით ან ვილაცები, ცხოვრებაში რომ არაფერი უკეთებიათ, პარლამენტში მოკალათებულიყვნენ და ჩვენს ხარჯზე ევლოთ თბილისი-ქუთაისის ავტობანზე. ეგებ ახლა მაინც, როცა უკვე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები პრაქტიკულად დასცინიან მმართველ გუნდს, გამოიძიეთ საქმე ან მუცელში (კარგ ვარიანტში) ჩაიგდეთ ენაო, ვინმემ მოიფიქროს, შექმნას კომისია, ან იმ საჩივრებზე მოხდეს ადეკვატური რეაგირება, რომლებიც დაზარალებულებს აქვთ შეტანილი**






## მეუფე იაკობი: საქართველოში ცხოვრება ავუკრძალოთ და გავყაროთ საზღვარგარეთ

დეკანოზი გიორგი მამალაძის დაკავების შესახებ პატრიარქმა იცის, მაგრამ პროკურატურის განცხადება არ მოუსმენია და არც არავის უთქვამს, — ამის შესახებ ქორეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ბერლინიდან სატელეფონო ჩართვისას განაცხადა.

როგორც მეუფე იაკობმა აღნიშნა, საუბარია ძალიან მძიმე ბრალდებაზე და ყველანი გამოძიების შედეგებს ელოდებიან.

„ძალიან მძიმე ბრალდებაა, როგორც ხედავთ. ძალიან ბევრია განრისხებული და გაბრაზებული ადამიანი. რომ ჩამოვალთ, ჩვენც ჩავებმებით გარკვევაში. რაღაცების საქმის კურსში ვართ. ალბათ, ჩვენგანაც მიიღებენ და, თუ ვინმე რამეს აშავებდა, არც ჩვენგან დარჩებიან უყურადღებოდ. მე პირადად იმ აზრზე ვარ, რომ აქ არ შეიძლება ვინმეზე ხელის დაფარება.

უწმინდესის ხასიათი ვიცი და იტყვის, რომ ვაპატიოთ ყველას. შეიძლება საქართველოში ცხოვრება ავუკრძალოთ და გავყაროთ საზღვარგარეთ“, — აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მეუფე იაკობის აზრით, „ციხისთვის ყველა ეცოდებათ“, მაგრამ უფრო მძიმე სასჯელია, „როდესაც სამშობლოშიც ვერ დასაფლავდება ადამიანი“.

NOTA BENE
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასული საუკუნის 90-იან წლებში, მიუხედავად ვიზებისა და ათასგვარი ბარიერისა, ათეულათასობით ქართველმა მაინც გააღწია ევროპაში. მას შემდეგ 20-25 წელი გავიდა და ჩვენი თანამემამულეების უმეტესობა ისევ დამლაგებლად და მოხუცთა მომვლელად მუშაობს, და რატომ გვგონია, ახალი ემიგრანტებისთვის წამოვა ციდან „ევროების წვიმა“?!**

# მთავრობაა თუ ტურისტული სააგენტო?!

## ათასობით მართლაც ნიჭიერ და ერუდირებულ თანამემამულეს უცხოელების პამპერსების ცვლაში უნდა ამოხდეთ სული და ეს გვიხარია?!

**ე.წ. ვიზალიბერალიზაციის გამო ბოლო დღეებში ატეხილმა ისტერიკამ ამ აპოგეას მიაღწია და საერთო-სახალხო ფსიქოზში გადაიზარდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს დიდგორის ომი მოვიგეთ და დაკარგული ტერიტორიებიც დავიბრუნეთ. არადა, საზეიმოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ არ ჰქონდეს წაკითხული ან ამავე სახელწოდების ფილმი — ნანახი. იქ არის ერთი „კოლორიტული“ პერსონაჟი, სახელად ზებო, რომელიც ღრმა ჭაში იჯდა და „ხალხის იმედს აკეთებდა“. სწორედ ასეთი ზებოების ხელში ვართ ჩავარდნილი, რომლებიც „ვიზალიბერალიზაციური“ ზღაპრებით „ხალხის იმედს აკეთებენ“. რა ჰქნან, აბა?! ოთხი წლის განმავლობაში ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაგვიწყვიტეს, ვერაფერს მოაბეს თავი და რალაცით ხომ უნდა „გაართონ“ ეს დამშეული და გაღატაკებული ხალხი?!**

ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლა ნამდვილად აძლევს ხელს, ვინაიდან, რაც მეტი ქართველი გადაიხვეწება საზღვარგარეთ, მით უკეთესი მისთვის. როგორც იტყვიან: „არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა“. ხოლო, თუ არის ადამიანი, მაშინ ხელისუფლებას, უნდა თუ არა, მოუწევს „თავის შეწუხება“ მათ დასაქმებაზე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამდენ ხლაფორთსა და დავიდარაბას კი არჩიეს იოლი გამოსავალი. მთავარია, მთავრობას მოაკლდეს „საზრუნავი“ და ხალხს, რაც უნდა, ის უქნია, „კისერიც უმტვრევია“. ისე, უკეთესი არ იქნებოდა, ის ძალა და ენერგია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მესვეურებმა „ვიზალიბერალიზაციისათვის“ დახარჯეს, ხალხის პრობლემების მოგვარებაზე დაეხარჯათ?! ბოლოს და ბოლოს, **საქართველოს ხელისუფლებაა თუ ტურისტული სააგენტო?!**

სხვა საქმეა, ეს ვიზალიბერალიზაცია წაადგება თუ არა ჩვენს გაჭირვებულ თანამემამულეებს. ჯერ ერთი, ევროპაში ია-ვარდით არავინ გვეგებება, მათ იქ მოუწევთ ათასი დამცირების გადატანა და 24-საათიანი დამქანცველი მუშაობა, რათა სიღატაკეს თავი დააღწიონ. რა არის აქ საზეიმო?! გარდა ამისა, **ძალიან მალე დავივიწყეთ ისრაელის მაგალითი. ორი წელია, ისრაელთან „უვიზო რეჟიმი“ გვაქვს, მაგრამ ქართველებისთვის თითქმის შეუძლებელი შეიქნა ამ ქვეყანაში შეღწევა და დამკვიდრება. რატომ ვართ დარწმუნებული, რომ იგივე არ გამეორდება ევროპის ქვეყნების შემთხვევაშიც?!**

გასული საუკუნის 90-იან წლებში, მიუხედავად ვიზებისა და ათასგვარი ბარიერისა, ათეულათასობით ქართველმა მაინც გააღწია ევროპაში. მას შემდეგ 20-25 წელი გავიდა და ჩვენი თანამემამულეების უმეტესობა ისევ დამლაგებლად და მოხუცთა მომვლელად მუშაობს, და რატომ გვგონია, ახალი ემიგრანტებისთვის წამოვა ციდან „ევროების წვიმა“?! ათასობით მართლაც ნიჭიერ და ერუდირებულ თანამემამულეს უცხოელების პამპერსების ცვლაში უნდა ამოხდეთ სული და ეს გვიხარია?! მთავარი ის კი არ არის, სად წახვალ, არამედ სადაც წახვალ, იქ როგორ იქნები და რას მიაღწევ, თორემ ქართველებს ევროპაში წასვლა რომ არ გვიჭირდა, ეს თავის დროზე კოლხმა მედეა დაამტკიცა — წავიდა საბერძნეთში, მაგრამ რა „ჩიტიც დაიჭირა“, ყველამ იცის.

შუა საუკუნეებში, მხოლოდ ევროპასთან კი არა, სრულიად მსოფლიოსთან გვქონდა „ვიზალიბერაცია“, მაგრამ ამის გამო არ „გადავრეულვართ“. **აფსუს, რა საათივით აწყობილი სისტემა გვქონდა ოსმალთა ბატონობის პერიოდში?! ყოველწლიურად ათი ათასამდე ქართველი გაჰყავდათ უცხოეთში. შესვამდნენ ცხენზე, გააქანებდნენ პორტში, სადაც თურქული გემი ელოდა. იქიდან გემს სტამბოლში გადაჰყავდა, სტამბოლიდან კი ვენეციისკენ, გენუისკენ, ვენისკენ, კაიროსკენ ჰქონდა გზა ხსნილი. და ეს ყველაფერი ხდებოდა უფასოდ.**

ქართველ ქალს, თუ გაუმართლებდა და სტამბოლში დარჩებოდა, ხომ, საერთოდ, „აშენდებოდა“ — სულთნის ჰარამხანა ნამდვილად მიწიერი სამოთხე იყო. აქ ყველაფერი უფასო იყო: ბინა, გათბობაც, წყალიც, საჭმელიც, ტანსაცმელიც და, რაც მთავარია, დღევანდელი ემიგრანტებისაგან განსხვავებით, სულთნის ქართველ რჩეულთ აქეთ ემსახურებოდა ევროპის ქვეყნებიდან ჩამოყვანილი საჭურისებისა და მონა-ქალების მთელი არმია.




მუშაობით წელს არც „ემიგრანტი“ კაცები იწყვეტდნენ. იმჟამინდელი ინდოეთი, ირანი, ერაყი, ოსმალეთი, ეგვიპტე გადაძეძგილი იყო ქართველი ბეგებითა და ფადიშაჰებით. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?!“ გამოჩნდა რუსეთი და „მოჭამა ჭირი“ შენმა „ვიზალიბერალიზაციამ“. ჯერ იყო და რუსეთის ფლოტმა ოსმალური გემებისაგან გაწმინდა შავი ზღვა, შემდეგ ამიერკავკასია დაიკავა, „ევროპისკენ გასასვლელი“ ჩაგვიკეტა და დასრულდა „კარგი ცხოვრებაც“. ახლა კი, ამდენი წლის შემდეგ ისევ აღდგა „ისტორიული სამართლიანობა“. როგორც ყვარყვარე თუთაბერი იტყოდა: „აღსრულდა ჩვენი ოცნება, დადგა დრო სანეტარო, გაიხარე, მუშავ, წამებულო“.

### როცა მონის ყოფა სანატრელი გვაქვს

სს „აზოტის“ ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საწარმოდან დაითხოვეს 350 თანამშრომელი. დათხოვნილებმა ქალაქში საპროტესტო აქციები გამართეს. მათ შეუერთდნენ სტუდენტები, არასამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. „პროტესტანტებმა“ სს „აზოტის“ შესასვლელთან მოაწყვეს პიკეტი, გამართეს ხალხმრავალი მიტინგები, გადაკეტეს ქალაქის ცენტრალური გამზირი. მართალია, სამსახურიდან გაგდებულებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ სს „აზოტში“ მიმდინარე ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააშიშვლა და ყველასთვის ნათლად წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებიც არსებობს დასაქმების სფეროში. ამიტომ, ეს ვინმეს მოსწონს თუ არა და უნდა თუ არა, ამ სფეროში რადიკალური ცვლილებებია განსახორციელებელი. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა დასაქმებულთა შრომის დაცვის მხრივ და, თუ გვსურს, თავიდან ავიცილოთ სოციალური კატასტროფა, დაუყონებლივ უნდა მოხდეს სტრუქტურული ცვლილებები. დრომ გვიჩვენა, რომ აუცილებელია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე ახალი სამინისტროს შექმნა — შრომისა და სოციალური დაცვის.

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ძველი სახით შენარჩუნება გაუმართლებელია, რადგან ძირითადი აქცენტი გადატანილია ჯანდაცვაზე და, ფაქტობრივად, უყურადღებოდაა დარჩენილი შრომის დაცვის საკითხები.** იმ ვითარების გათვალისწინებით, რაც დღეს ქვეყანაში არის შექმნილი, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შექმნა გარდაუვალია. საქართველოში პროფკავშირული ორგანიზაციების გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სამწუხაროდ, არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. **ამიტომ პროფკავშირების როლი და ფუნქცია სახელმწიფომ უნდა დაიკისროს, რათა გაანეიტრალოს საზოგადოებაში არსებული ის უარყოფითი მუხტი, რომელიც დაგროვდა შრომით ურთიერთობებში განუკითხაობის გამო.**

და მაინც, რას არის გამოსასწორებელი?

**1. უნდა შეიქმნას ახალი „შრომის კოდექსი“.**

ამჟამად მოქმედი „შრომის კოდექსი“ უვარგისი და შესაცვლელი რომ არის, ორი აზრი არ არსებობს. **დღეს არსებული „შრომის კოდექსი“ არის კაბალური, მასში ოფიციალურად არის დაკანონებული მონათა შრომა. ამ დისკრიმინაციული კანონით, დამქირავებელს აქვს ყველაფრის უფლება და არ აკისრია არანაირი ვალდებულება, დაქირავებულს კი აქვს უამრავი ვალდებულება, მაგრამ — არანაირი უფლება.**

მართალია, ამ კანონში შევიდა შესწორებები, მაგრამ კოსმეტიკურმა ცვლილებებმა ვერ უშველა, ამიტომ სრულიად ახალი კანონია მისაღები, რომელიც თანაბარ პირობებში ჩააყენებს როგორც დამსაქმებელს, ასევე — დასაქმებულს. დღეს ეს ბალანსი დარღვეულია და ხარვეზი ახალმა კოდექსმა უნდა გამოასწოროს.

რაც მთავარია, **ახალი კანონით უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ 8-საათიანი სამუშაო დრო, არამედ სახელფასო მინიმუმიც და დაწესდეს ფასიანი დეკრეტული შვებულების თუნდაც 1,5-წლიანი მინიმალური ზღვარი, რომლითაც დამსაქმებლისგან კანონის ძალით დავიცავთ ორსულებსა და ჩვილშვილანებს.**

დასამალი არ არის, რომ უმუშევართა ძირითად კონტიგენტს 50-60 წლის ადამიანები შეადგენენ და ყველაზე სერიოზული პრობლემა მათი დასაქმებაა. ამიტომ უპრიანი იქნებოდა ახალ „შრომის კოდექსში“ ჩადებულიყო სოციალური დაცვის კიდევ ერთი მექანიზმი. კერძოდ: მამაკაცებისათვის 60 წლამდე, ხოლო მანდილოსნებისთვის 55 წლამდე დაგვეწია საპენსიო ასაკის ზღვარი (როგორც იმ „ავადსახსენებელ“ სოციალიზმის პერიოდში იყო) და ამით დაგვეცვა ჩვენი თანამემემულეები სოციალური კატასტროფისაგან.

**2. უმუშევართა უფლებების დაცვა.**

საქართველოში, სამწუხაროდ, უმუშევართა უფლებები არ არის დაცული. მათ პურის ფულსაც ვერ ვაძლევთ, თავი რომ გაიტანონ. არ ხდება მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია. ისიც კი არ ვიცით, რეალურად რამდენი უმუშევარია. ეს ყველაფერი გამოსასწორებელია, დასდგენია უმუშევართა სიები და მათთვის გასაცემი კომპენსაციების ოდენობაც.

გარდა ამისა გასააქტიურებელია მუშაობა, უმუშევართა რაოდენობის შესამცირებლად. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, — სამუშაო ადგილებს ბიზნესი ქმნის და არა მთავრობაო. ეს გასაგებია, მაგრამ ხელისუფლება- ▶

## იცით თუ არა, რომ:



სალვადორ დალის ერთმა მხატვარმა თავისი ნამუშევრები აჩვენა და აზრი ჰკითხა. დალიმ ურჩია: — ნეტავ, რა ძალა გადგას, რომ წვალობ? გირჩევ, სურათები მაღაზიაში შეიძინო, უფრო იაფი დაგიჯდება.



რუსეთში, კერძოდ, შორეულ აღმოსავლეთში, მიედინება უცნაურსახელიანი პატარა მდინარე კონტროვოდი. იგი სამ თვეში ერთხელ იცვლის კალაპოტს და ხან მდინარე ამურს ერთვის, ხან — მდინარე უსურს, ხანაც — ტაიგის ბიკინს.



ძველად ჯალათს ქონდაქარი ერქვა.



საქართველომ მსოფლიოს ვაზის 300-მდე ჯიში მისცა.

# თეთრი სახლის ადმინიტრაციას „დეფიციტში გარღვევა აქვს“ და ხომ უნდა დაფაროს ეს „გარღვევა?!“ ამიტომაც არიან ამერიკელები წურბელებივით კისერზე მომჯდარი საქართველოს მსგავს ქვეყნებს (პაკისტანი, კოლუმბია, არგენტინა) და მათი გალატაკების ხარჯზე „ავსებენ დანაკლისს“.

NOTA BENE
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საც აქვს იმის რესურსი, რომ შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ეს რესურსი სრულად უნდა იქნას გამოყენებული. მაგალითად, თეორიულად შესაძლებელია, რომ ერთ დღეში შეიქმნას, სულ მცირე, 30 ათასი სამუშაო ადგილი. როგორ? — ძალზე მარტივად, თუ დავიცავთ ცვლებში მომუშავეთა უფლებებს. დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ყველაზე მეტად ცვლებში დასაქმებულთა უფლებებია დარღვეული. მაგალითად, ის **თანამოქალაქეები, რომლებსაც 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ, უნდა ისვენებდნენ არა ორ, არამედ სამ დღეს (კანონით ასეა გათვალისწინებული). სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნა იგნორირებულია და ცვლებში დასაქმებულთ კვირის განმავლობაში არა 40, არამედ 48-72-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ.** სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მათი უფლებები, დამსაქმებელთაგან მოითხოვოს სამცვლიანი სამუშაო რეჟიმების გაუქმება და ოთხცვლიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლა. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს მასშტაბით, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, სულ მცირე, 30 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება, და, თუ მათ უკან მდგომ ოჯახის წევრებსაც გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ დაახლოებით 100 ათას თანამემამულეს ვიხსნით სოციალური კატასტროფისაგან.



**3. დაბალი ხელფასები.**

უცნაურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. არ მუშაობ — სულს ღაფავ, მუშაობ და მაინც ღატაკი ხარ. რა თქმა უნდა, უმუშევრობა უზარმაზარი პრობლემაა, მაგრამ უფრო დიდი „თავის ტკივილია“ დაბალი ხელფასები. დასაქმებულთა, სულ მცირე, 1/2-ის ხელზე ასაღები თანხა 350-400 ლარს არ აღემატება. დამეთანხმებით, რომ 350 ლარად ოჯახის რჩენა წარმოუდგენელია. ამიტომ აუცილებელია ისეთი რეგულაციების შექმნა, რომლებიც დაიცავდა ჩვენს მოქალაქეებს სრული გალატაკებისაგან.

**4. რეალური საარსებო მინიმუმის დადგენა.**

თითქმის ყოველ წელს დგინდება საარსებო მინიმუმის ოდენობა, მაგრამ დღემდე გამოცანად რჩება, რა კრიტერიუმით განსაზღვრავენ ამ საარსებო მინიმუმს. თავი დავანებოთ იმას, რომ საკმაოდ არის შემცირებული სასიცოცხლოდ აუცილებელი კვების პროდუქტების ოდენობა, მედიკამენტების გარეშე არსებობა შეიძლება?! გასაგებია, რომ ექიმთან ვიზიტი უფასოა, მაგრამ მხოლოდ „ექიმის შეხედვა“ მოარჩენს ავადმყოფს, წამალი არ არის საჭირო?!

გასაკვირია, ისიც, რატომ არ შედის საარსებო მინიმუმში კომუნალური საჭიროებებისათვის გაწეული ხარჯები. თუ ადამიანმა მოხმარებული ბუნებრივი აირის ან ელექტროენერგიის გადასახადი ვერ გადაიხადა და გაიყინე, ამით მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნება?! ელემენტარულად, კერძი ხომ უნდა მოიმზადოს, შიმშილით რომ არ მოკვდეს?! **აგვიხსნას ვინმემ, სასმელი წყლის, შეშის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გარეშე როგორ უნდა ვიარსებოთ. წარმოუდგენელია, ხომ?! მაშინ რატომ არ აისახება წყლის, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფები საარსებო მინიმუმზე?!**

**5. კანონის ფარატინა ქაღალდად ქცევა.**

დაახლოებით ორი წლის წინათ საქართველოს შრომის კოდექსში შეიტანეს გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ყველა დასაქმებულისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ, რად გინდა?! — წერე და იკითხე! ეს პროგრესული ცვლილებები, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ განხორციელდა რეალურ ცხოვრებაში და კანონი, ფაქტობრივად, ფარატინა ქაღალდად დარჩა. სამწუხაროდ, **დღესაც არსებობენ კერძო ფირმები თუ ორგანიზაციები, რომლებშიც იგნორირებულია შემცირებულ თანამშრომლებზე კომპენსაციის გაცემა, ე.წ. რვასაათიანი სამუშაო ციკლი და ფასიანი შვებულების ცნებაც კი.**

ამიტომ აუცილებელია კონტროლის გამკაცრება, რათა დავიცვათ თუნდაც უვარგისი „შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული დასაქმებულთა უფლებები. ათასობით ჩვენი თანამემამულე, რომელთა კანონიერი უფლებები ყოველდღიურად ირღვევა, სახელმწიფოსაგან მოელის მხარდაჭერასა და დახმარებას.

სხვათა შორის, რომის იმპერიაში მონათმფლობელი ვალდებული იყო, რომ მონისთვის შეექმნა ცხოვრების ელემენტარული პირობები — მიეცა თავშესაფარი, სურსათ-სანოვაგე და ეზრუნა მის ჯანმრთელობაზე. თუ ამას არ გააკეთებდა, მონას ჩამოართმევდნენ. უბედურებაა, რომ XXI საუკუნეში სანატრელი გაგვიხდა რომაელი მონების სოციალური პირობები. უბრალოდ, სირცხვილია, ასეთი საშინელ დღეში რომ არიან ჩვენი თანამოქალაქეები. ახლახან გაერთიანებულ არაბულ საამიროებში ბედნიერების სამინისტრო შეიქმნა. ბედნიერების სამინისტროს ვინ დაეძებს, ერთ სფეროში მაინც შევქმნათ ისეთი სამინისტრო, რომელიც უბედურებას აგვაცილებს თავიდან.

**დღეს არსებული «შრომის კოდექსი» არის კაბალური, მასში ოფიციალურად არის დაკანონებული მონათა შრომა. ამ დისკრიმინაციული კანონით, დამქირავებელს აქვს ყველაფრის უფლება და არ აკისრია არანაირი ვალდებულება, დაქირავებულს კი აქვს უამრავი ვალდებულება, მაგრამ — არანაირი უფლება... ახალი კანონით უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ 8-საათიანი სამუშაო დრო, არამედ სახელფასო მინიმუმიც და დაწესდეს ფასიანი დეკრეტული შვებულების თუნდაც 1,5-წლიანი მინიმალური ზღვარი, რომლითაც დამსაქმებლისგან კანონის ძალით დავიცავთ ორსულებსა და ჩვილშვილიანებს**

## „სადაური წესია და აქაური წესია“

ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რა დიდი რეზონანსი გამოიწვია საერთაშორისო კომპანია „ფრონტერას“ სენსაციურმა განცხადებამ, თითქოს ამ კომპანიამ თითქმის ოცწლიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ, კახეთში 3,8 ტრილიონი კუბ/მეტრის ოდენობის ბუნებრივი აირის მარაგი „აღმოაჩინა“. ეს ისე არარეალური რიცხვია, რომ ამ დარგის სპეციალისტებმა თავიდანვე შეიტანეს ეჭვი მის სისწორეში. ხოლო გასულ კვირას საინფორმაციო სააგენტო „ჯორჯიანპრესნიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა **კახი კალაძემ** საბოლოოდ გადაასხა ცივი წყალი „ფრონტერას“ მესვეურთა „პროგნოზს“: „იმხელა მოცულობებზე იყო საუბარი, რომელიც თურქმენეთსაც და სხვადასხვა ქვეყანას, რომელიც ნავთობისა და გაზის მოპოვებით არის დაკავებული, არ გააჩნიათ. შეიძლება მიწის ქვეშ რაღაც გარკვეული მარაგი იყოს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მილიარდობით ინვესტიციის განხორციელებაა საჭირო. მერე უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული, სწორი იქნება თუ არა კომერციულად, ფინანსურად ბიზნესის თვალსაზრისით ამ გაზის ამოღება“.

მადლობა უფალს, გადავრჩით! საბედნიეროდ, „ფრონტერას“ განცხადება სიმართლე არ აღმოჩნდა. საბედნიეროდ იმიტომ, რომ უფალმა დაგვიფარა და დიდი განსაცდელისაგან გვიხსნა. და მაინც, რა საფრთხეები გვემუქრებოდა და რას გადავურჩით?!

ამ ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, რადიკალურად შეიცვლებოდა ძალების განლაგება კავკასიის რეგიონში. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებს შეკრული აქვს გუდა-ნაბადი და, დღეს თუ ხვალ, კავკასიის რეგიონიდან წავა. 3,8 ტრილონი კუბ/მეტრის ოდენობის ბუნებრივი აირის მარაგის დადასტურების შემთხვევაში კი ამერიკა საქართველოდან ფეხს არ მოიცვლიდა.

**აშშ-ის საქართველოში დარჩენა კი გამოიწვევდა:**

*** ხალხის გადაგვარება-გადაჯიშებას, ერის სრულ დეგრადაციას. რადგან სადაც ამერიკაა, იქ კოსმოპოლოიტიზმი ჰყვავის და ეროვნული ფასეულობები ჩაწიხლულია. სადაც ამერიკა იქ სექტების პარპაშია. სადაც ამერიკაა იქ ლესბოსელობისა და მამათმავლობის პროპაგანდაა. სადაც ამერიკაა, იქ გარყვნილების სოდომ-გომორაა. მახსენდება მექსიკელი მწერლის სიტყვები: „ო, საბრალო მექსიკავ, რა შორს არის შენგან ღმერთი და რა ახლოსაა ამერიკა“.**

* საქართველო გადაიქცეოდა აშშ-რუსეთის დაპირისპირების არენად. ამ ორი გიგანტის ინტერესების შეჯახებამ თავის დროზე აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაგვაკარგვინა. ახალ დაპირისპირებას საქართველო ველარ გაუძლებდა და შესაძლოა ჩვენი სახელმწიფოებრიობა დიდი კითხვის ქვეშ დადგებოდა.

*** ქვეყნის სრულ გალატაკებას. ამერიკის ხელისუფლების ხელწერა ასეთია, ის ამდიდრებს რეჟიმებს, სამაგიეროდ, აღატაკებს ქვეყანას. ნახეთ, რას დაემსგავსა ნავთობითა და ბუნებრივი აირით ის მდიდარი ქვეყნები, სადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფეხი მოიკიდა (ერაყი, ლიბია, ნიგერია, ალჟირი). უკეთესი დღე არც ჩვენ გველოდა. ჩვენი წიაღისეულის ექსპლუატაციით გამდიდრდებოდა ამერიკა და არა საქართველო. ვაშინგტონს არ სჭირდება მდიდარი და ძლიერი საქართველო, რადგან ღატაკი და მიწასთან გასწორებული ქვეყანა უფრო ადვილად სამართავია.**

* „საუკუნის აღმოჩენის“ შემდგომ საქართველოს მოსახლეობისათვის კიდევ უფრო გაძვირდებოდა ბუნებრივი აირის საფასური. ეს სადაური წესია?! — იკითხავს, ალბათ, საქმეში ჩაუხედავი ობივატელი. როგორც ტოფანა-ასინეთა იტყოდა: „სადაურია და აქაური წესია!“ თუ ასეთი სიმდიდრე გვაქვს, მაშინ, ყველანაირი ლოგიკით ბუნებრივი აირის საფასური საგრძნობლად უნდა შემცირდეს... ოლოლო, ვერ გაიმოიცან, ეს საქართველოა, სადაც თავისი „ლოგიკა“ და წესები აქვთ.

ერთი ქუთაისელი ებრაელი ესენციაზე დამზადებულ ჩამოსასხმელ ხილის წვენს ქუჩაში ყიდდა. ერთხელაც ნაცნობებმა უთხრეს: — შე კაცო, მადლი მოისხი და, დაამატე შაქარი ამ წვენს.

— აბა, ჰო, — გაწიწმატდა სიროფის გამყიდველი, — წვენი დავატკბო და ოჯახი გავამწარო?!

მეტი დარდი არ აქვთ ვაშინგტონში, საქართველოს მოსახლეობა გაახარონ და საკუთარი გაამწარონ. ბოლო ხუთი წელია, აშშ-ის ბიუჯეტი 2-3 ტრილიონიან დეფიციტს განიცდის (ხარჯი გაცილებით აღემატება შემოსავალს).

„ცისფერი მთების“ კინოგმირის — ვაჟა ზაზაევიჩის — სიტყვების პერიფრაზირებით, თეთრი სახლის ადმინიტრაციას „დეფიციტში გარღვევა აქვს“ და ხომ უნდა დაფაროს ეს „გარღვევა?!“ ამიტომაც არიან ამერიკელები წურბელებივით კისერზე მომჯდარი საქართველოს მსგავს ქვეყნებს (პაკისტანი, კოლუმბია, არგენტინა) და მათი გალატაკების ხარჯზე „ავსებენ დანაკლისს“.

ზოგადი საუბარი რომ არ გამოვიდეს ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ მხარი დაუჭირა აშშ-ს, საფრანგეთმა კი ამ ომის წინააღმდეგ გაილაშქრა. როდესაც ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს, ამერიკამ პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ სადამის დამხობის მომხრე ქვეყნების ფირმებს ერაყის სასმელი და მინერალური წყლებით მომარაგების საქმეში ექსკლუზიური უფლებები მიანიჭა.

„ა ბორდჟომ?!“ — იკითხავთ, ალბათ, ვალიკო მიზანდარივით.

„ბორჯომიცა“ და საქართველოც ვაშინგტონს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია.

**ვანო სულორი**

* NOTA BENE — ლათინური სიტყვებია და ნიშნავს — „კარგად დაუკვირდი“

## იცით თუ არა, რომ:



ინჟინერს, რომელმაც ვაგონების გადასაადგილებლად გრძელი რელსები გამოიყენა, ბენჯამინ ო'ტრამი ერქვა. მისი ინიციატივით გაყვანილ გზას კი „უტრამ ვეი“ (ანუ „უტრამის გზა“) უწოდეს. აქედან წარმოდგება სიტყვა ტრამვაი.



ბერლინის აღებისას მილიონამდე საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა. ჟუკოვს სურდა, რომ 1 მაისის დღესასწაულისათვის სტალინისათვის ბერლინის აღება ეპატაკა. ამიტომაც ძალიან აჩქარდა და მის მიერ მომზადებელმა შეტევამ დიდი მსახვერპლი გამოიწვია.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენები დაურიგდათ, რათა თავიანთი დამოკიდებულება ფარულად გამოეხატათ ტუხაჩევსკის მიმართ, მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა — ფარული კენჭისყრის ყველა მონაწილემ თავის ბიულეტენზე მიაწერა — „დაიხვრიტოს“. ერთადერთი ბიულეტენი, რომელშიც თვალსაზრისი არ იყო გამოხატული, სტალინისა იყო. მხოლოდ ეს ერთი ფაქტი, მხოლოდ ეს ერთი დოკუმენტიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ სტალინი ყოველთვის ცდილობდა, საკუთარი აზრი თანამებრძოლებისთვის თავს არ მოეხვია.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (377-381)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

**წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის დასკვნით ნაწილში ვწერდი, რომ რიკოვმა გასცა ბუხარინი, რითაც, ფაქტობრივად, გასცა მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის ლიდერები — საგამომძიებლო ორგანოებს საშუალება მიეცათ, საქმე აღეძრათ ამ ბლოკის ყველა ლიდერზე. უზარმაზარ კოცონს, რომელიც მემარჯვენე-ტროცკისტული მოძრაობისა და მათი ლიდერების გასანადგურებლად დაინთო, ტროცკის პირადი დაცვის ყოფილმა უფროსმა ეფიმ დრეიცერმა ნავთი დაასხა და უფრო ააგიზგიზა.**

დრეიცერმა სასამრთლოს განუცხადა:

„თითოეული ჩვენგანის პოლიტიკური ბიოგრაფია და წონა არათანაბარია, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავხდით მკვლელები, ყველანი გავთანაბრდით. ყოველ შემთხვევაში, მე აქ მივეკუთვნები მათ რიცხვს, ვინც არ ელის შენდობას და არც აქვს უფლება მისი მოთხოვნის“.

ერთ-ერთმა ბრალდებულმა **ფრიც დავიდმა** თავის საბოლოო სიტყვაში თქვა:

**„მე ვწყევლი ტროცკის! მე ვწყევლი იმ ადამიანს, რომელმაც დაღუპა ჩემი ცხოვრება და მიბიძგა მძიმე დანაშაულისკენ“.**

სასამართლომ ბრალდებულთა უმრავლესობას შეუფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

დასრულდა სასამართლო პროცესი, მაგრამ ახალი გარემოებების წარმოჩენის გამო ერთ კვირაში დააპატიმრეს **პიატაკოვი, რადეკი და სოკოლნიკოვი.** დაპატიმრების მოლოდინში იყვნენ **ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი.** სტალინს თავის საქაღალდეებში უტყუარი სამხილები ჰქონდა **ტუხაჩევსკის** მიმართაც.

სტალინი სამოქალაქო ომიდან იცნობდა ტუხაჩევსკის, იცოდა მისი მხედრული თვისებები და გამბედაობა. ამას გარდა, სტალინს ძალზე უჭირდა ომის წინ ისეთი სახელოვანი და გამოცდილი სარდლების ჩამოშორება, რომლებიც ძირითად ძალას წარმოადგენდნენ წითელ არმიაში, ამიტომ კიდევ ცდილობდა ტუხაჩევსკის დაცვას.

1935 წელს, როდესაც სტალინი ტუხაჩევსკისთვის მარშლის წოდების მინიჭებას აპირებდა, სამხედრო დაზვერვისა და პარტიის ზოგიერთი მაღალჩინოსანი და, მართ შორის, კლიმენტ ვოროშილოვი, ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ სტალინი თავის გადაწყვეტილებას არ ცვლიდა — ყურით მოთრეული ჭორების გამო სარდლებს არ ვწირავო.

სტალინის მაგიდაზე თანდათან იმატა ტუხაჩევსკის მაკომპრომეტებელმა მასალებმა. დაშიფრული ტელეგრამები მოდიოდა ვარშავიდან, პარიზიდან, ლონდონიდან.

სამხედრო გადატრიალების მზადებაზე საუბრობს „ჩეკას“ ყოფილი კურსანტი, **გენერალი ორლოვი:**

„1936 წლის დასაწყისში **იაგოდამ**, მისმა მოადგილე **აგრანოვმა**, სამთავრობო დაცვის უფროსმა, კომისარმა **პაუკერმა**, მისმა მოადგილე **ვოლოვიჩმა** და კაპიტანმა **გინცელმა** შექმნეს მებრძოლთა განსაკუთრებული ასეული. მასში შეგვიყვანეს მე და ჩემი კურსელები: **სერედა** და **იურჩიკი.** ესენი იყვნენ ორი მეტრი სიმაღლის, გოლიათური აღნაგობის, ძლიერი და მოქნილი ახალგაზრდა მებრძოლები. გვასწავლიდნენ სამბოს, ხიშტის გამოყენებას ხელჩართულ ბრძოლებში, დაბრკოლებების გადალახვის ილეთებს. კარგად გამოგვაწყვეს და შეგვაიარაღეს. ჩვეულებრივ, წვრთნას ძერჟინსკის მოედანზე გავდიოდით, იაგოდა თვალყურს თავისი კაბინეტის ფანჯრებიდან გვადევნებდა. საბოლოოდ, ჩვენი დათვალიერება „ჩეკას“ ეზოში მოხდა. იაგოდა და მისი თანამზრახველები ფიქრობდნენ, რომ ყოველგვარ უმსგავსობაზე წავიდოდით მათი გეგმების განსახორციელებლად. გვამზადებდნენ კრემლის ხელში ჩასაგდებად სტალინის დაპატიმრების მიზნით, მაგრამ შეთქმულება ჩაფლავდა“.

სტალინს ზღვა ინფორმაცია დაუგროვდა ტუხაჩევსკის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, მაგრამ მაინც ფიქრობდა ტუხაჩევსკის შენარჩუნებაზე. ის სინანულით მოძღვრავდა ვოროშილოვს:

**„შეამოწმეთ კარგად ტუხაჩევსკი, იქნებ მოლაყბეა და არა მოღალატე“.** მაგრამ არ გასულა ერთი კვირაც, რომ **ეჟოვმა** სტალინს მაგიდაზე დაუდო ტროცკის ინტერვიუ ნორვეგიის ერთ-ერთი გაზეთიდან:

„გერმანიასთან ომში საბჭოთა კავშირის დამარცხება გარდაუვალია. წითელ არმიაში ყველა როდია სტალინის ერთგული, იქ მე ბევრს ვახსოვარ“.

სამხედრო გადატრიალების ყველა გზა ტუხაჩევსკისთან მიდიოდა. როგორც კი მიხვდა, რა საფრთხე ემუქრებოდა, ტუხაჩევსკი სასწრაფოდ და ზესაიდუმლოდ შეხვდა თავის ერთგულ მოკავშირე **კრესტინსკის** და მოუყვა იმ კრიტიკულ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილია მის და, საერთოდ, ტროცკისტების გარშემო. გამოთქვა აზრი, რომ არ დალოდებოდნენ უცხოეთის თავდასხმას რუსეთზე და ადგილზე დაეწყოთ მასობრივი არეულობა, რომელიც გერმანიის დახმარებით უნდა დამთავრებულიყო.

**ტუხაჩევსკიმ დაიწყო გაბედული მოქმედებები. ინტენსიურად ხვდებოდა გამარნიკის, როზენგოლცს.** შედგა მოქმედების კონკრეტული გეგმა — კრემლის შტურმით აღება; პარტიის ლიდერების დაპატიმრება და სტალინისა და ვოროშილოვის ლიკვიდაცია; დროებითი მთავრობის შექმნა და ქვეყნის მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება.

ორი დღის შემდეგ ტუხაჩევსკი კვლავ შეხვდა კრესტინსკის და აუწყა, რომ დაიწყო მათი მომხრეების დაპატიმრება და ეს პროცესი შეუქცევადია, ამიტომ აუცილებელია აჯანყების დაუყონებლივ დაწყება. კრესტინსკი სასწრაფოდ დაუკავშირდა **ტროცკის** და მისგან სრული მხარდაჭერა მიიღო. ტროცკიმ ისიც უთხრა, რომ ტუხაჩევსკის რაც შეიძლება აქტიურად გამოეყენებინა წითელი არმიის ნაწილები.

ყოველივე იმას, რაც შეთქმულებს საიდუმლო ეგონათ, დაპატიმრებული **ვიტოვტ პუტნა** დაწვრილებით უყვებოდა გამოძიებას, ანუ შინაარსს იმ პროგრამისა, რომლის განხორციელებას ოპოზიცია ტუხაჩევსკის მეთაურობით გეგმავდა უახლოეს პერიოდში.

სტალინი, მიუხედავად იმისა, რომ საქმის კურსში იყო, არ ჩქარობდა ტუხაჩევსკის დაპატიმრებას, ის დაეთანხმა მხოლოდ **კორკისა** და **ეიდმანის** დაკავებას, ხოლო ტუხაჩევსკიზე, რომლის დაპატიმრებასაც კატეგორიულად მოითხოვდნენ ვოროშილოვი, გოლიკოვი, ეჟოვი, მოლოტოვი და სხვები, თავი შეიკავა, ოღონდ მოსკოვს მოაშორა. ტუხაჩევსკი გაათავისუფლა თავდაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან და გადაიყვანა ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად.

მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა და დაზუსტებული ინფორმაციისა, სტალინმა მაინც ვერ გადაწყვიტა თავისი გაზრდილი და დავაჟკაცებული „წითელი ბონაპარტის“ განადგურება. ის ათასი სასწორითა და საზომით ზომავდა და წონიდა იმ საფრთხესა და შემოგდებულ სატყუარას, რომელითაც ინგლისი და გერმანია ფიქრობდნენ სტალინის ჩამოშორებას.

„ტროცკისა და რეიხთან ტუხაჩევსკის თანამშრომლობის ეჭვებზე დაყრდნობით კადრებს ვერავის დავაჩაგვრინებ“, — უმეორებდა თავის თავს სტალინი და თავის საიდუმლო მიმოწერის სქელ საქაღალდეს ფურცლავდა. აქ კი პირადი დაზვერვის შეფის სასწრაფო შეტყობინებას წააწყდა ტუხაჩევსკის გამცემლურ საქმიანობაზე. სტალინი ვერ იჯერებდა. უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, რომ სტალინს არ უნდოდა, დაეჯერებინა ის, რაც სინამდვილეში უნდა დაეჯერებინა, რადგან ომი კარს იყო მომდგარი.

აი ერთი სიახლეც: საუბრის ჩანაწერი პოლონელ გერმანელებთან ვარშავაში — ტუხაჩევსკის მიერ გერმანიის სამხედრო ძალების ქებათა ქება და საბჭოეთის სამხედრო პოტენციალის ეჭვქვეშ დაყენება, მისი განქიქება. აი ჩანაწერი, სადაც ტუხაჩევსკი არწმუნებს რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ტიტულესკუს:**

**„ბატონო მინისტრო, თქვენ ტყუილუბრალოდ უკავშირებთ თქვენს კარიერას და თქვენი სახელმწიფოს ბედს ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ჩვენ ორიენტირებული უნდა ვიყოთ ახალ გერმანიაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ჰიტლერი გადაარჩენს ყველა ჩვენგანს“.**

სტალინი, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა, რომ ტუხაჩევსკი მოღალატეობრივ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მაინც არ მიიღო. როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს ბიულეტენები დაურიგდათ ფარული კენჭისყრისთვის, რათა თავიანთი დამოკიდებულება ფარულად გამოეხატათ ტუხაჩევსკის მიმართ, მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა — ფარული კენჭისყრის ყველა მონაწილემ თავის ბიულეტენზე მიაწერა — „დაიხვრიტოს“. ერთადერთი ბიულეტენი, რომელშიც თვალსაზრისი არ იყო გამოხატული, სტალინისა იყო.

მხოლოდ ეს ერთი ფაქტი, მხოლოდ ეს ერთი დოკუმენტიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ სტალინი ყოველთვის ცდილობდა, თავისი აზრი თანამებრძოლებისთვის თავს არ მოეხვია.

სტალინში მამაშვილურმა თუ კავკასიურმა ან თუნდაც ზოგადსაკაცობრიო კაცთმოყვარეობის მუხტმა იმძლავრა და მკერდით გადაეფარა მის მიერ დაფრთიანებულ მარშალს, მან გვერდზე გადადო ცენტრალური კომიტეტის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება და ტუხაჩევსკის საქმე კვლავ ძიებას დაუბრუნა.

მაგრამ რა გამოვიდა — 22 მაისს ეჭვმიტანილად დაკავებული ტუხაჩევსკი 25 მაისს, ასე ვთქვათ, მსუბუქად დაკითხეს, ხოლო 26 მაისს „წითელმა ნაპოლეონმა“ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის — **ნიკოლაი ეჟოვის** სახელზე დაწერა ახსნა-განმარტება:

**„დამაპატიმრეს რა ამა წლის 22 მაისს, ჩამოვედი მოსკოვში 24-ში. პირველად დამკითხეს 25 მაისს და დღეს, 26 მაისს, ვაცხადებ, რომ ვაღიარებ ანტისაბჭოთა, სამხედრო ტროცკისტული შეთქმულების არსებობას და რომ მე ვიდექი მის სათავეში. ვალდებულებას ვიღებ, ვაცნობო გამოძიებას ყველაფერი, რაც შეთქმულებას ეხება, არ დავმალო არც ერთი მონაწილის ვინაობა, არც ერთი ფაქტი და საბუთი.**

**შეთქმულებას საფუძველი ჩაეყარა 1932 წელს ფელდიუკის, ალარუდოს, პრიმაკოვის, პუტნას და სხვათა მიერ, რომელზეც დამატებით ჩვენებას მივცემ“.**

**მ. ტუხაჩევსკი.**
**26. 5. 37 წ.“.**

ტუხაჩევსკიმ ყველაფერი აღიარა, ყველაფერში დამარწმუნებელი ფაქტები დაასახელა. ისიც თქვა, რომ გამოძიებასთან პრეტენ-



სტალინი და მაქსიმ გორკი, 1931 წ.



ПРИГОВОР
Военной Коллегии Верховного
Суда СССР
(окончание)

ПРИГОВОРИЛА:

გრიგოლ ოჩიაურის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სასამართლო სხდომაზე ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო. მათ განაცხადეს, რომ იყვნენ სამხედრო შეთქმულების აქტიური წევრები, მოქმედებდნენ ტროცკის მითითებებით, კავშირი ჰქონდათ ფაშისტურ რაიხთან; დაასახელეს 80-მდე თანამონაწილე. 1937 წლის 12 ივნისს, სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, შეთქმულების ყველა მონაწილეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

◀ზია არ აქვს, რომ იყო მოღალატეობრივი ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, და დასძინა:

**„მე ხომ სტალინის წინააღმდეგ არ გამოვდიოდი, ჩემი გეგმების საბოლოო მიზანი ხომ ვოროშილოვის გადაყენება იყო, მოლოტოვისაც. მართალია, ოპოზიცია მოლოტოვის პოსტზე ჩემს კანდიდატურას განიხილავდა, მაგრამ მე რა შუაში ვარ?! მე სტალინის გადაყენების წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის. სტალინის გადაყენებას ისინი ჩემ ზურგს უკან გეგმავდნენ. მე ტროცკის განვუცხადე, რომ სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას არ მივიღებდი, და ჩამოვცილდი. სხვა საკითხია ვოროშილოვი და მოლოტოვი“.**

1937 წლის 11 ივნისს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განსაკუთრებული სამხედრო ტრიბუნალის დახურული სხდომა, რომლის წინაშე წარდგნენ: საბჭოთა კავშირის მარშალი **მ. ტუხაჩევსკი,** უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი **ი. იაკირი,** ბელორუსიის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი **მ. უბორევიჩი**, ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი **ვ. პრიმაკოვი,** ყოფილი სამხედრო ატაშე ბრიტანეთში, იაპონიასა და გერმანიაში **ვ. პუტნა** და სხვები.

სასამართლო სხდომაზე ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო. მათ განაცხადეს, რომ იყვნენ სამხედრო შეთქმულების აქტიური წევრები, მოქმედებდნენ ტროცკის მითითებებით, კავშირი ჰქონდათ ფაშისტურ რაიხთან; დაასახელეს 80-მდე თანამონაწილე. 1937 წლის 12 ივნისს, სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, შეთქმულების ყველა მონაწილეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

სამმა პროცესმა ბევრ სხვა დანაშაულსაც მოჰფინა ნათელი. ბუხარინი და რიკოვი ამხილა არა მხოლოდ რადეკმა, მათ მავნებლურ მოქმედებებზე სასამართლო სხდომას ვრცელი განმარტებები მისცეს პიატაკოვმა, სოკოლნიკოვმა და სხვა ბრალდებულებმაც.

**იაგოდას დაპატიმრებამ და მისმა აღიარებამ უფრო დაამძიმა ბუხარინისა და რიკოვის მდგომარეობა.**

1937 წლის თებერვალში პარტიის პლენუმზე ბუხარინი და რიკოვი ცეკას შემადგენლობიდან გამოიყვანეს და გარიცხეს პარტიის რიგებიდან. საქმის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, პლენუმმა შექმნა ბუხარინისა და რიკოვის საქმის შემსწავლელი კომისია, რომელშიც მონაწილეობდა ცენტრალური კომიტეტის 36 წევრი. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა ბუხარინთან და რიკოვთან ყველაზე დაახლოებული პირი **ანასტას მიქოიანი.**

კომისიის წევრებმა მუშაობის დასრულებისთანავე ერთხმად დაასკვნეს, რომ ბუხარინი და რიკოვი დაუყონებლივ უნდა დაეპატიმრებინათ, რადგან მათი იზოლაციის გარეშე დატოვება შეიძლებოდა ძალზე მძიმე შედეგების მომტანი ყოფილიყო. უახლოესი ადამიანებისა და თანამებრძოლების პრინციპული მოთხოვნის მიუხედავად, სტალინი მათ დაპატიმრებას არ დაეთანხმა და ბუხარინისა და რიკოვის საქმე გამოძიებას გადასცა. გამოძიება ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

გამოძიების მასალებმა დაადასტურა ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი კომისიის წარდგენილი ბრალდებები, რის გამოც ბუხარინი და რიკოვი დააპატიმრეს.

1938 წლის 2 მარტს დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელსაც (ისევე, როგორც წინა პროცესს) **ულრიხი** და **ვიშინსკი** უძღვებოდნენ. სასამართლო პროცესს, რომელიც ათ დღეს გაგრძელდა, ყოველდღიურად სამასამდე უცხოელი ჟურნალისტი და დიპლომატი ესწრებოდა. სასამართლომ ცენტრალური კომიტეტის კომისიისგან საგამომძიებლო ორგანოების მიერ მოძიებული მასალები გააერთიანა და ბრალდებულთა მიმართ ჩამოაყალიბა შემდეგი ბრალდება:

**ბრალდებულმა ბესონოვმა განაცხადა: «1934 წლის ივლისში შევხვდი ტროცკის. მან მითხრა: «გადაეცით პიატკოვს, ყველაზე კატეგორიული ფორმით მოვითხოვ, გორკი ფიზიკურად განადგურდეს, რადაც უნდა დაჯდეს». «ამ დავალების შესრულება მე დამევალა, — განაცხადა იაგოდამ. — უშუალო შემსრულებლები იყვნენ ექიმები ლევინი და გორკის ყოფილი მკურნალი პროფესორი პლეტნევი, აგრეთვე, გორკის მდივანი კრიუკოვი და იაგოდას მდივანი ბულანოვი. მათვე მოკლეს კუიბიშევი, მისივე მდივნის მაქსიმოვის ხელშეწყობით». იაგოდამ ასევე განაცხადა, რომ მისი დავალებით მოკლეს მენჟინსკი და მაქსიმ გორკის შვილი — მაქსიმ პეშკოვი**



გენრიხ იაგოდა



НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ЮСТИЦИИ СССР

СУДЕБНЫЙ ОТЧЕТ

ПО ДЕЛУ

АНТИСОВЕТСКОГО „ПРАВО-ТРОЦКИСТСКОГО БЛОКА“

РАССМОТРЕННОМУ ВОЕННОЙ КОЛЛЕГИЕЙ ВЕРХОВНОГО СУДА СОЮЗА ССР

2—13 марта 1938 г.

ПО ОБВИНЕНИЮ

БУХАРИНА Н. И., РЫКОВА А. И., ЯГОДЫ Г. Г., КРЕСТИНСКОГО Н. Н., РАКОВСКОГО Х. Г., РОЗЕНГОЛЬЦА А. П., ИВАНОВА В. И., ЧЕРНОВА М. А., ГРИНЬКО Г. Ф., ЗЕЛЕНСКОГО И. А., БЕССОНОВА С. А., ИКРАМОВА А., ХОДЖАЕВА Ф., ШАРАНГОВИЧА В. Ф., ЗУБАРЕВА П. Т., БУЛАНОВА П. П., ЛЕВИНА Л. Г., ПЛЕТНЕВА Д. Д., КАЗАКОВА И. Н., МАКСИМОВА-ДИКОВСКОГО В. А. и КРЮЧКОВА П. П.

ОТЧЕТ СОСТАВЛЕН ПО ТЕКСТУ ГАЗЕТ „ИЗВЕСТИЯ СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ СОЮЗА ССР“ И „ПРАВДА“

ЮРИДИЧЕСКОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО НКЮ СССР • МОСКВА • 1938

**1.** სამშობლოს ღალატი, ტერორი, მავნებლობა;

**2.** ლენინის მიმართ 1918 წელს აგვისტოში განხორციელებული ტერორისტული აქტი;

**3.** საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების მკვლელობა და სახელმწიფოს მეთაურთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მზადება, ფიზიკური განადგურების მიზნით.

**კრესტინსკის, რაკოვსკისა და სხვათა ჩვენებების საფუძველზე, ფაქტებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ტროცკის გერმანიის დაზვერვასთან კავშირი ჰქონდა 1921 წლიდან, ხოლო მოსკოვში ინგლისის დიპმისიის მეთაურის — ლოკჰარტის ცნობით, ტროცკი ინგლისელებთან აქტიურად თანამშრომლობდა 1917 წლიდან. ბრალდებულმა როზენგოლცმა სასამართლოს განუმარტა, რომ მან ტუხაჩევსკისა და რაკოვსკისთან კავშირი დაამყარა კრესტინსკის მეშვეობით, მათგანვე მიიღო ტროცკის მიერ დამტკიცებული ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გეგმა. ბრალდებულმა ჩერნოვმა კი სასამართლოს განუცხადა, რომ რიკოვს პირველად 1934 წელს მის აგარაკზე შეხვდა და მისგანვე მიიღო დავალება, გაეძლიერებინა მავნებლური მოქმედებები სოფლის მეურნეობის ხაზით.**

**ბუხარინმა** აღიარა, რომ 1932 წელს შეხვდა პიატაკოვს და ერთად გადაწყვიტეს, გაეძლიერებინათ ტერორისტული აქტების მოსამზადებელი სამუშაოები საბჭოთა სახელმწიფო მეთაურების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ჩატარების თაობაზე.

ბრალდებულმა **ივანოვმა** კი განაცხადა:

„პარტიისა და მთავრობის ბელადების განადგურება იმიტომ არის საჭირო და აუცილებელი, რომ ეს უზრუნველყოფს მოახლოებულ ომში ქვეყნის დამარცხებას. ამავე საკითხზე რიკოვმა აღნიშნა, რომ უკვე დაიწყეს ტერორისტული აქტების ორგანიზება პოლიტბიუროს წევრებისა და, პირველ რიგში, სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და ვოროშილოვის მიმართ.

**იაგოდამ** დაკითხვისას აღიარა:

„იმის შესახებ, რომ შეთქმულები კიროვის მკვლელობას ამზადებდნენ, შევიტყვე **ენუქიძისგან,** რომელმაც გამაფრთხილა, ხელი არ შემეშალა ამ აქტისთვის, რაზეც თანხმობა განვუცხადე. ამ მიზნით ლენინგრადიდან გამოვიძახე ზაპოროჟეცი და მას სათანადო მითითებაც მივეცი“.

იაგოდამ ისიც აღიარა, რომ „შეთქმულთა ტროცკისტული ცენტრი“ დიდხანს ცდილობდა **მაქსიმ გორკის** დამუშავებას, რათა მას სტალინთან მეგობრობა შეეწყვიტა: „ამ მიზნით გორკის მიუჩინეს კამენევი, ტომსკი და სხვები, მაგრამ ეს უშედეგო აღმოჩნდა, გორკი კვლავ დარჩა სტალინის ერთგული და მისი პოლიტიკური ხაზის მხურვალე მხარდამჭერი. გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სტალინური ხელმძღვანელობის დამხობას, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა გორკის ადეკვატურ რეაქციას, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის შიგნით და უდიდესი ავტორიტეტი — საზღვარგარეთ.

გორკი პროტესტის ნიშნად უეჭველად აიმაღლებდა თავის ავტორიტეტულ ხმას. როცა შეთქმულთა ცენტრი დარწმუნდა, რომ სტალინისგან გორკის ჩამოშორება შეუძლებელი იყო, იძულებული შეიქნა, გამოეტანა გადაწყვეტილება გორკის ლიკვიდაციის შესახებ“.

ამასვე ადასტურებს **რიკოვი:**

„ჩემთვის ცნობილია, რომ ტროცკი საკონტაქტო ცენტრში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ქმნიდა გორკიზე უარყოფითი განწყობილების ატმოსფეროს. ყოველივე ეს, ბუნებრივია, გამოწვეული იყო იმით, რომ ტროცკიმ კარგად იცოდა, რომ გორკი მას არამზადად და ავანტიურისტად მიიჩნევდა.

მეორე მხრივ, საყოველთაოდ იყო ცნობილი გორკისა და სტალინის ახლო ურთიერთობა და ისიც, რომ ის არის სტალინის პოლიტიკური კურსის მომხრე, ყოველივე ამის გამო ჩვენი ორგანიზაცია მტრულად იყო განწყობილი გორკის მიმართ“.

ბრალდებულმა **ბესონოვმა** განაცხადა:

„1934 წლის ივლისში შევხვდი ტროცკის, მან მითხრა: „გადაეცით პიატკოვს, ყველაზე კატეგორიული ფორმით მოვითხოვ, გორკი ფიზიკურად განადგურდეს, რადაც უნდა დაჯდეს“.

„ამ დავალების შესრულება მე დამევალა, — განაცხადა იაგოდამ. — უშუალო შემსრულებლები იყვნენ ექიმები **ლევინი** და გორკის ყოფილი მკურნალი პროფესორი **პლეტნევი,** აგრეთვე, გორკის მდივანი **კრიუკოვი** და იაგოდას მდივანი **ბულანოვი.** მათვე მოკლეს კუიბიშევი, მისივე მდივნის — **მაქსიმოვის** ხელშეწყობით“. იაგოდამ ასევე განაცხადა, რომ მისი დავალებით მოკლეს მენჟინსკი და მაქსიმ გორკის შვილი — **მაქსიმ პეშკოვი.**



დაპატიმრებული რიკოვი და ბუხარინი



ტუხაჩევსკი, 1936 წ.

**(გაგრძელება იქნება)**

ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბნელი ძალების მძლავრი ზემოქმედების მიუხედავად, მორწმუნე ადამიანები უფლის მიერ დაწესებულ წესრიგს იცავენ. ამ საქმეში ლიდერის როლი რუსეთს აქვს დაკისრებული. ამაზე მიანიშნებს კანონი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, ტრადიციულ ფასეულობებთან დაბრუნება, ხალხში რწმენის განმტკიცება, ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც ღმერთის მიერ არის მოწოდებული, კაცობრიობას აძლევს შანსს — გადარჩეს!**

# «სოდომი» — შემაძრწუნებელი ფილმი, რომელიც განგაშის ზარებს არისხებს

**ბიბლიაში ნათქვამია, რომ საუკუნეების წინათ იქ, სადაც ახლა მკვდარი ზღვაა, მდებარეობდა ორი ქალაქი — სოდომი და გომორა. ამ ქალაქებში მდიდარი, პატივმოყვარე, ხარბი, ცოდვილი ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი უცერემონიოდ ეპყრობოდნენ მოსულებს — სცემდნენ და ართმევდნენ ქონებას, ეწეოდნენ გარყვნილებას: მამაკაცს მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, ქალს — ქალთან, ზოგიერთს კი — ბავშვებთან. დღეს ასეთებს პედოფილებს უწოდებენ... ხომ არაფერი გეცნობათ? სწორედ ასეთია ამჟამად მსოფლიო. რა დაემართათ ადამიანებს? რატომ სცოდავენ ასე ხშირად? რით არის დაკავებული ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტი დიდ ბრიტანეთში? რისთვის სჭირდებათ გეებს შვილები? როგორია ე.წ. ფერადი რევოლუციის თანამდევი უარყოფითი ეფექტები? — სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა რუსი ტელეჟურნალისტი და ტელეწამყვანი არკადი მამონტოვი დოკუმენტურ ფილმში „სოდომი“.**

**რეალობა, რომელიც ნაჩვენებია ფილმში, შეგაძრწუნებთ, შეგაძრწუნებთ იმიტომ, რომ რეალობაა. ფილმის შემქმნელებს არაფერი შეუთხზავთ: დაუფარავად ლაპარაკობენ ე.წ. ბოიფრენდები, რომლებმაც ბიჭუნა იშვილეს; დირექტორი კლინიკისა, რომელშიც აწარმოებენ ბავშვებს „შეკვეთით“; ფილმში ნაჩვენებია კონტეინერი-მაცივარი ემბრიონებით. ლუთერანი ჰომოსექსუალი პასტორი კი ამბობს, რომ მოციქული პავლე შეცდა, როდესაც ჰომოსექსუალიზმს ცოდვა უწოდა.**

**მაგრამ იქვე ისმის სხვა მოსაზრებებიც. მრავალშვილიანი ოჯახები გვიზიარებენ ოჯახური ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს. პროფესიონალი ფლორისტი ამბობს, რომ უარი თქვა, მომსახურებოდა ერთნაირსქესიანებს ქორწილში, რადგან ეს მის სინდისსა და მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. თავის ისტორიას ყვება ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჰომოსექსუალური ვნებისგან ქრისტეს რწმენამ განკურნა.**

**ფილმი „სოდომი“, რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნა და მსოფლიოში გავრცელდა, არის შოკი, ეს არის ჩხვლეტა, რომელიც საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს. ფილმში ნაჩვენებია, როგორ უწევენ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას სოდომიას...**

**ფილმი ბევრ ადამიანზე იმოქმედებს დამთრგუნველად, რადგან მასში მართლაც საშინელებებზეა ლაპარაკი:**

**ადამიანის ხელოვნურ სელექციასა და ამ სფეროში მეცნიერების „მიღწევებზე“, სუროგატულ „დედობაზე“, ინფანტოფილიაზე (ახალშობილების მიმართ ძალადობაზე), ბავშვებით ვაჭრობასა და დედის შეცვლაზე „ბიოლოგიური კონტეინერით“; იმაზეც, როგორ აუპატიურებდნენ რეზინის ხელკეტებით სამხედრო ტყვეებსა და პატიმრებს აშშ-ის საპყრობილეებსა და ამ ე.წ. მსოფლიოს ჰეგემონის (უკვე ყოფილის) კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში, უკრაინაში, ერაყში, და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გაეტეხათ ადამიანების ფსიქიკა; იმაზეც, რომ სოდომიის სენი გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდებოდა მსოფლიოში.**

**ეს ფილმი განგაშის ზარების დარისხებაა. და არა იმიტომ, რომ პანიკა დათესოს, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ასეთი რაღაცებიც ხდება. აქ სულშიჩამწვდომად ისმის პავლე მოციქულის სიტყვები: „ნუ შეეცდებით, ღმერთს ვერ შეურაცხყოფთ, რადგან, ვინც რას დათესავს, მასვე მოიმკის“ *(გალატ. 6;7).***

**გთავაზობთ ფილმ „სოდომის“ ტექსტურ ვერსიას:**

დასასრული. დასაწყისი იხ. №2-5 (378-381)

## როგორ უჭერდა აშშ-ის საელჩო მხარს ჰომოსექსუალიზმს მოლდოვაში


იური როშკა

იური როშკამ, მოლდოვის ყოფილმა პრემიერმინისტრმა, საკუთარ თავში იპოვა ძალა, გაბედულად გაელაშქრა თავის ქვეყანაში მოქმედი ჰომოსექსუალების ლობის წინააღმდეგ. ახლა ის დასავლელი ემისრებისგან განკიცხულია.

**იური როშკა, მოლდოვის ქრისტიანულ-დემოკრატიული სახალხო პარტიის ლიდერი, ყოფილი პრემიერმინისტრი:**

— ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, როგორ აგრესიულად და შეუპოვრად მოქმედებდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. 2 წლის წინათ (ანუ 2012 წელს — ნ.კ.) კიშინიოვში ემზადებოდნენ გეიაღლუმის ჩასატარებლად. ამ ე.წ. მოვლენის დაწყებიდან ცოტა ხნით ადრე მოვაწყე პრესკონფერენცია, რომელზეც, ჩემი რელიგიური და პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, მკაფიოდ, გასაგებად გამოვთქვი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება, ჩემი


დარია ფეინი

პროტესტი. 1 საათიც არ იყო გასული, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან დამირეკა მეორე პირმა. ამ ქალბატონის სახელი და გვარია **დარია ფეინი**, სხვათა შორის, ის საბჭოთა პერიოდში მუშაობდა მოსკოვში, აშშ-ის საელჩოში. მეუბნება: „შეიძლება შევხვდეთ?“ ფეინი აშშ-ის საელჩოში ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ განყოფილებას და „პერესტროიკის“ პერიოდიდან ვიცნობდით ერთმანეთს.

ვეუბნები: — დარია, რა თქმა უნდა. როდის შეგიძლია ჩემთან მოსვლა?

— ახლავე, — მიპასუხა.

ჩემს ხანგრძლივ, 25-წლიან პოლიტიკურ პრაქტიკაში პირველად მოხდა, რომ მაღალი რანგის დიპლომატმა ასე სასწრაფოდ მოითხოვა შეხვედრა.

ჩვენმა საუბარმა დაახლოებით 4 საათს გასტანა. ეს ძალიან არასასიამოვნო საუბარი იყო. ამერიკელი დიპლომატი ქალბატონი ცდილობდა, ჩემთვის აეხსნა, რა არის ჭეშმარიტი დასავლური ფასეულობები, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ გამოუვიდა“.



იური როშკამ მოყვა, როგორ იღებდნენ მოლდოვის პარლამენტში კანონს თანაბარი შანსების შესახებ. მოლდოვაში ამიერიდან ნებისმიერ სოდომისტსა და პედოფილს შეუძლია, მოეწყოს სამუშაოდ საბავშვო ბაღსა და სკოლაში, ეს ახლა იოლია.

**იური როშკა: — საჯაროდ გამოთქმული არგუმენტები ევრობიუროკრატებისა, რომლებიც ჩვენთან, მოლდოვაში, ჩამოდიოდნენ, იყო შემდეგი: ჩვენ გაძლევთ ლიბერალიზებულ სავიზო რეჟიმს ევროკავშირთან (კი არ აუქმებდნენ, ამარტივებდნენ), თქვენ კი უნდა მოგვეცეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც მოგვიანებით შეცვალეს კანონით თანაბარი შანსების შესახებ. ამ კანონით გათვალისწინებულია, რომ დასაქმებულს უფლება არ აქვს, უარი უთხრას ადამიანს სამსახურში მოწყობაზე, თუ ის განაცხადებს თავისი ე.წ. არატრადიციული ორიენტაციის შესახებ. ეს ძალიან სკანდალური რამ არის. იმიტომ, რომ ეს სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს საბავშვო ბაღში, სკოლაში, არმიაში, ეკლესიაში და ა.შ.**

დღეს დასავლეთმა, დასავლურმა ელიტამ, დასავლურმა ისტებლიშმენტმა ძალიან ძლიერი, მძლავრი ტალღა მიმართა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ და ტრადიციული ფასეულობების დამანგრეველი ტალღის მსხვერპლი აღმოჩნდა რესპუბლიკა მოლდოვაც.

## აშშ-ის მთავრობის დოკუმენტები ლგბტ-პირებისთვის ხელშეწყობის შესახებ

ვებგვერდი „ვიკილიქსი“; ამერიკული დიპლომატიის განსაიდუმლოებული დოკუმენტები; აშშ-ის მთავრობის მიერ გამოცემული მემორანდუმი, რომელიც სრული ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიას აძლევს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ ლგბტ-თა უფლებების დაცვაზე.

**„თეთრი სახლი. პრესმდივნის ოფისი. დაუყოვნებლივ გასავრცელებლად, 2011 წლის 6 დეკემბერი.**

გეი აღლუმი კიშინიოვში, აშშ-ის საელჩოსთან




THE GLOBAL INTELLIGENCE FILES

[OS] FACT SHEET: Working to Advance the Human Rights of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender (LGBT) Persons Globally

FACT SHEET: Working to Advance the Human Rights of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender (LGBT) Persons Globally

. Promoting human rights worldwide. U.S. embassies are declaring the United States' support for the human rights of LGBT people through innovative public diplomacy. Ambassadors and embassies have hosted public discussions and private roundtables, published op-eds and supported Pride events.

. Supporting LGBT human rights defenders and civil society groups, with programmatic and financial assistance, including efforts to document human rights violations; build advocacy skills; provide advocates with legal representation; and, when necessary, relocation support.

**ქალაქ ბრანდენბურგის სააპელაციო სასამართლომ არ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ნება დართო 16 წლის გოგონასა და მის 48 წლის ბიძას, ჰქონდეთ სასიყვარულო ურთიერთობა. სასამართლომ ამ გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზად დაასახელა ის, რომ არ სურს, „შეყვარებულების“ ურთიერთობა დაანგრიოს და საზოგადოებამ დევნა დაუწყოს 16 წლის გოგონასა და 48 წლის მამაკაცს, რომელიც რამდენიმე შვილის მამაა.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ლევან გოგიჩაიშვილი

◀ ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობა. ბრძოლა, რომელსაც ეწევა აშშ-ის მთავრობა და რომლის მიზანია ლესბოსელების, გეების, ტრანსგენდერების დისკრიმინაციის შეჩერება, მსოფლიოს საზოგადოებრიობის ამოცანაა, რომლის გადაჭრაც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

**დირექტივა სააგენტოებს:**

*** ბრძოლა ლგბტ კრიმინალიზაციის წინააღმდეგ საზღვარგარეთ;**

*** ლგბტ ლტოლვილებისა და თავშესაფრის მძებნელი ასეთი პირების უფლებების დაცვა;**

*** ლგბტ-თა უფლებების დარღვევებზე ოპერატიული რეაგირება;**

*** გლბტ-თა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა“.**

## აშშ-ის მარიონეტი სააკაშვილი და მისი ჯალათები

გეიაღლუმის საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია თბილისში. 2013 წელი.

ამერიკის მარიონეტმა **მიხეილ სააკაშვილმა**, 9 წლის განმავლობაში საქართველოს მმართველმა, გამორჩეულად დასაჯა ქართველი მამაკაცების 7,5%.

სააკაშვილის ჯალათები ქვეყანაში ამკვიდრებდნენ შემდეგს: თითოეულს, ვინც წინააღმდეგი იყო რეჟიმის, ამწყვდევდნენ ციხეში, შემდეგ ამ ადამიანებზე ძალადობდნენ, რათა გაეტეხათ მათი ნებისყოფა.

ფილმის ავტორს გლდანის ციხეში ესაუბრება **ლევან გოგიჩაიშვილი, ხელმძღვანელი მოძრაობისა „სოლიდარობა პოლიტპატიმრებს“, ამჟამად პარლამენტის წევრი:**

„პირველი განცდა იყო ხმა — ეს კარი თითქოს პირდაპირ თავში ილება და იხურება. კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მეთოდი, რომელიც მათ ჰქონდათ შემუშავებული, იყო ის, რომ პატიმარს ნორმალურად დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ. როდესაც შესამოწმებლად, გასაჩხრეკად შემოდიოდნენ, პირველს, რასაც აკეთებდნენ, იყო ის, რომ, თუ მაგალითად, ადამიანს კედელზე ეკიდა ხატი ან ფოტოსურათი, მყისვე ძირს აგდებდნენ“.

**ეს ჯოჯოხეთი გამოიარა 330 000-მა ადამიანმა. ამ შემაძრწუნებელ კადრებს ვიდეოკამერით იღებდნენ. მიზანი იყო ერთი — ადამიანი გაეტეხათ, გაეთელათ მისი ღირსება და ექციათ შიშისგან აკანკალებულ პირუტყვად.**

**ლევან გოგიჩაიშვილი:** „აქ შეჰყავდათ შიშველი პატიმარი და ხელკეტით, რომელზეც წამოცმული იყო პრეზერვატივი, აუპატიურებდნენ“.

**ეს მეთოდები გადმოღებული იყო ერაყის დედაქალაქ ბაღდადში არსებული ამერიკული ციხე აბუ-გრეიბიდან.**

**აი კადრები თბილისის ციხიდან.**

**ეს კადრები კი აბუ-გრეიმის ციხიდანაა.**

ქართველისთვის დამცირება სიკვდილის ტოლფასია, ანალოგიური რამ შეიძლება დაემართოს უკრაინაში ყველას, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგია (აქ ლაპარაკია პეტრე პოროშენკოს ხელისუფლებაზე) — პროამერიკული რეჟიმი ანალოგიურ მეთოდებს გამოიყენებს წინასწარი გამოძიების იზოლატორებსა და ციხეებში. ამჟამად კიევიდან ოდესამდე არსებულ საპყრობილეებში ათასობით ადამიანი ზის.

**საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.** მამა მიხეილი ყვება, როგორ აღწევს ჰომოსექუალიზმის სენი ხალხის ორგანიზმში.

**მამა მიხეილი, თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარი:**

— ჩემი დაკვირვებით, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საზოგადოება მოამზადონ ამ საშინელების მისაღებად. და **ეს დასავლეთის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში კარგად მოფიქრებული ტექნიკური მეთოდებია, განსაკუთრებით — ტელესტუდიებში და არა მხოლოდ. იწყებენ იმით, რომ უცებ ჩნდება პერსონაჟი, მაგალითად, ფილმში ან ტელეფილმში, პერსონაჟი, რომელიც აშკარად ჰომოსექსუალური ორიენტაციისა, მაგრამ უწყინარია, მხიარული, მახვილგონიერიც კი. და მორჩა — ამით მთავრდება. შემდეგ იღებენ მეორე ფილმს, შემდეგ — კიდევ. ეს, იცით, რას ჰგავს? — შხამი შეიძლება მივიღოთ წვეთობით, მაგრამ არაფერი დაგვემართება, შემდეგ შეიძლება მოვუმატოთ დოზას და ორგანიზმს იმუნიტეტი ეკარგება“.**


მამა მიხეილი

## ჯოჯოხეთური თანამეგობრობა

1981 წლის ზაფხულში ამერიკის გეი-დედაქალაქის, სანფრანცისკოს, საავადმყოფოში მიიყვანეს ახალგაზრდა მამაკაცი კანზე უცნაური წითელ-ცისფერი ლაქებით. ექიმები შეძრწუნდნენ — ეს იყო კანის კიბოს ყველაზე იშვიათი სახეობა — კაპოშის სარკომა. მანამდე ის მხოლოდ ხანდაზმულ პაციენტებში თუ შეუნიშნავთ.

„ეს დაავადება ახალგაზრდა მამაკაცმა, ალბათ, რადიაქტიურ წარმოებაში მუშაობისას შეიძინა“, — ვარაუდობდნენ ექიმები, მაგრამ შეცდნენ. პაციენტი აღმოჩნდა ჰომოსექსუალი, რომელიც პროსტიტუციას ეწეოდა. მას განადგურებული ჰქონდა კიბოს საწინააღმდეგო იმუნური უჯრედები. სწორედ ამან გამოიწვია სარკომა.

**1981 წლის სექტემბერში აშშ-ში რეგისტრირებული იყო ახალი სნეულებით ადამიანის დაავადების 107 შემთხვევა. დაავადებულთა შორის 95 ჰომოსექსუალი იყო, 7 — ჰეტეროსექსუალი, 5 — ბისექსუალი.**

მეცნიერებმა მოთათბირების შემდეგ ახალ დაავადებას უწოდეს **ჰომოსექსუალების იმუნოდეფიციტი — სწორედ ასე ერქვა XX საუკუნის ახალ ჭირს, რომელიც დღეს შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომითაა ცნობილი. წამალი აქამდე არ არსებობს.**

წმინდა მამები გვაფრთხილებდნენ, რომ ინფერნულ (ჯოჯოხეთურ — ნ.კ.) თანამეგობრობას შურს კაცობრიობის და ადამიანს ღმერთის ქმნილებად არ აღიარებს. სწორედ ამიტომ იქმნება ანტიცივილიზაცია, რომლითაც სურთ, შეცვალონ უფლისადმი რწმენა.

**ბნელი ძალების მძლავრი ზემოქმედების მიუხედავად, მორწმუნე ადამიანები უფლის მიერ დაწესებულ წესრიგს იცავენ. ამ საქმეში ლიდერის როლი რუსეთს აქვს დაკისრებული. ამაზე მიანიშნებს კანონი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, ტრადიციულ ფასეულობებთან დაბრუნება, ხალხში რწმენის განმტკიცება, ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც ღმერთის მიერ არის მოწოდებული, კაცობრიობას აძლევს შანსს, — გადარჩეს!**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## გერმანიის სასამართლომ გაამართლა პედოფილი, რომელსაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა 14 წლის ნათესავთან

**მშობლები შეეცადნენ, თავიანთი გოგონას გარყვნის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ ნათესავისთვის, მაგრამ სასამართლომ მამაკაცის მხარე დაიჭირა.**



ქალაქ ბრანდენბურგის სააპელაციო სასამართლომ არ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ნება დართო 16 წლის გოგონასა და მის 48 წლის ბიძას, ჰქონდეთ სასიყვარულო ურთიერთობა.

სასამართლომ ამ გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზად დაასახელა ის, რომ არ სურს, „შეყვარებულების“ ურთიერთობა დაანგრიოს და საზოგადოებამ დევნა დაუწყოს 16 წლის გოგონასა და 48 წლის მამაკაცს, რომელიც რამდენიმე შვილის მამაა. როდესაც გოგონას მშობლებმა შეიტყვეს, რომ მათ შვილს სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა ნათესავთან, წყვილი საფრანგეთში გაიქცა. ამასთანავე, როგორც გაირკვა, გოგონა 14 წლის იყო, როდესაც სექსუალური ურთიერთობა დაიწყო ბიძასთან.

დედ-მამამ სამართალდამცველ ორგანოებს მიმართა პედოფილი ბიძის სისხლისსამართლებრივი კოდექსის მიხედვით დასასჯელად. შვილი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნეს ექსპერტიზის გასავლელად, მაგრამ იქიდან „შეყვარებულთან“ გაიქცა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანონმდებლობით დაშვებულია 14 წლის მოზარდთან სექსუალური ურთიერთობა.

# ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა ცოლად მეგობარი ქალი შეირთო

**„რიო-2016“-ის ოლიმპიადის ჩემპიონმა სირბილში, სამხრეთ აფრიკელმა კასტერ სემენიამ ოფიციალურად იქორწინა თავის მეგობარ ქალ ვიოლეტ რასებოიეზე.**



ტრადიციული ცერემონია პატარძლის თეთრი კაბითა და სტუმრებით სემენიას 26-ე დაბადების დღეს გაიმართა კეიპტაუნში.

**სემენიას** სქესობრივ კუთვნილებაზე ჯერ კიდევ 2009 წელს კამათობდნენ, როცა მან ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 800-მეტრიან დისტანციაზე სირბილში ოქროს მედალი მოიპოვა. თუმცა ეჭვს, რომ **კასტერ სემენია** ქალი არ იყო, მისი დისკვალიფიკაცია არ გამოუწვევია.

2009 წელს სემენია ქალურობის კატასტროფული დეფიციტის გამო იძულებული შეიქნა, გაევლო გენდერული ტესტირება, რის შემდეგაც რიოს ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა 800 მ-ზე სირბილში.







მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ სევედში პოლიციის, სულ ცოტა, ორი მანქანით შევდივართ ხოლმე: ერთი ეკიპაჟი დაკავებულია ოპერაციის შესრულებით, მეორე კი მას იცავს, — განაცხადა მალმეს პოლიციის თანამშრომელმა ჯონათან ერსტრანდმა. — უკვე რამდენჯერმე დაგვიშინეს ქვები და ბოთლები“.**



# გეტო შვედურად — პოლიციელები მალმეს ველარ აკონტროლებენ

**შვედეთის სიდიდით მესამე ქალაქის, მალმეს, მოსახლეობა თავს უსაფრთხოდ ველარ გრძნობს ქალაქში გამეფებული ძალადობის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და სროლების გამო. ზოგიერთი რაიონი გადაიქცა ე.წ. no go-ზონად, სადაც პოლიციაც კი შიშით შედის, — წერს გერმანული გაზეთი Bild-ი.**

ყველაზე სახიფათოდ ითვლება რაიონები — როზენგორი და სევედი, რომელთა ყოველი მეორე მცხოვრები უმუშევარია, მცხოვრებთა უმრავლესობა კი — მიგრანტი.

„ჩვენ სევედში პოლიციის, სულ ცოტა, ორი მანქანით შევდივართ ხოლმე: ერთი ეკიპაჟი დაკავებულია ოპერაციის შესრულებით, მეორე კი მას იცავს“. — განაცხადა მალმეს პოლიციის თანამშრომელმა **ჯონათან ერსტრანდმა** — „უკვე რამდენჯერმე დაგვიშინეს ქვები და ბოთლები. მალმეში კარგად უნდა იცოდე ქუჩები და ხვდებოდე, რომელ რაიონში შეხვიდე გარკვეულ დროს“. სევედეში მრავალბინიანი სახლის მფლობელ **ფრედერიკ მალმბერგს** უკვე რამდენჯერმე დაემუქრნენ, რომ სიცოცხლეს გამოასალმებდნენ“.

„ახალგაზრდების ჯგუფი გამუდმებით ყიდის ჩემს სახლში ნარკოტიკებს და ყოველთვის, როცა შევეცადე, ხელი შემეშალა, მოკვლით დამემუქრნენ. ისინი შეურაცხყოფენ მობინადრეებს, უკრძალავენ სარდაფითა და სამრეცხაოთი სარგებლობს, რადგან სწორედ იქ არიან დაკავებული ნარკოვაჭრობით“.

**2015 წელს შვედეთმა 152 ათასი ლტოლვილი შეიფარა, 2016-ში — 30 ათასი. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (9,5 მლნ), შვედეთი ევროკავშირის მეორე ქვეყანაა გერმანიის შემდეგ, რომელმაც ამდენი მიგრანტი მიიღო.**

კიდევ უფრო სამწუხარო ვითარებაა როზენგორში: ამ რაიონში ძირითადად მუსლიმები ცხოვრობენ, უმუშევართა რაოდენობა კი მოსახლეობის 62 პროცენტია. „როზენგორი აკრძალული ზონაა. ის, ვინც ქალაქის სხვა რაიონში ცხოვრობს, არაფრის დიდებით არ უნდა ჩამოვიდეს აქ“, — განაცხადა როზენგორის მცხოვრებმა, 22 წლის ნავიდმა. ის შვედეთში დაიბადა, სადაც მშობლები 40 წლის წინათ ჩავიდნენ პალესტინიდან.

ნავიდმა თქვა, რომ დაინახა, როგორ წაუკიდეს ცეცხლი მისმა მეგობრებმა მანქანას. „შევეცადე, დამერწმუნებინა, ხელი აეღოთ განზრახვაზე, მეორე დღეს კი მამაჩემის მანქანა დაწვეს. როზენგორში მცხოვრებმა დამნაშავეებმა იციან, რომ არაფერი ემუქრებათ და ვერასოდეს დაიჭერენ, რადგან პოლიციას საკმარისი რესურსი არ აქვს“. ნავიდისთვის გაუგებარია, რატომ დაასახლა ხელისუფლებამ ლტოლვილები ამ რაიონებში: „ისინი აქ ბოროტმოქმედები ხდებიან და იზოლირებულად ცხოვრობენ. უნდა დაესახლებინათ ისეთ რაიონებში, სადაც მეზობლები შვედები იქნებოდნენ და ინტეგრირების შანსი გაუჩნდებოდათ“.

2008 წელს მალმეს ამ რაიონში სერიოზული შეტაკება მოხდა მოსახლეობასა და პოლიციას შორის. მიზეზი იყო ქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილება, დაეხურა სარდაფში მოქმედი მეჩეთი. სამართალდამცველებს ქვები და პეტარდები დაუშინეს და რაიონიდან გააძევეს.

საზღვარზე მდებარე მალმეს კიდევ ერთი პრობლემაა კონტრაბანდა იარაღისა, რომელიც აქ მეზობელი დანიიდან შემოაქვთ. პოლიტიკოსები დახმარებას სამხედროებს სთხოვენ. „პოლიციამ დაკარგა მალმეს კონტროლი, ამიტომ აუცილებელია სამხედროების დახმარება“, — აღშფოთებას ვერ მალავს შვედეთის ერთ-ერთი პარტიის პრესმდივანი **პონტუს ანდერსონი.**

BILD




**2015 წელს შვედეთმა 152 ათასი ლტოლვილი შეიფარა, 2016-ში — 30 ათასი. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (9,5 მლნ), შვედეთი ევროკავშირის მეორე ქვეყანაა გერმანიის შემდეგ, რომელმაც ამდენი მიგრანტი მიიღო**



# ლიბერალები პანიკამ მოიცვა: 6 მიზეზი, — რატომ უნდა ეშინოდეთ აშშ-ის ახალი გენერალური პროკურორის

**ჯეფ სეშნსი, რომელსაც ტრამპის კაბინეტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშვნისას ყველაზე მეტი წინააღმდეგობა შეხვდა, აშშ-ის სენატმა მაინც გაამწესა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე.**

დონალდ ტრამპის წარდგენილი კანდიდატების დანიშვნა გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე წინა პრეზიდენტების მიერ წარდგენილი კანდიდატებისა, კონგრესში გამართული მოსმენები კი ბრძოლის ველს ჰგავს.

სეშნსის შემთხვევაშიც დემოკრატები მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ისინი შიშობენ, რომ წარმატებები, რომელსაც ობამას ადმინისტრაციამ მიაღწია რიგ საკითხებში — იმიგრაციიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმებამდე, ფუჭად ჩაივლის, თუ სეშნსი აშშ-ის გენერალური პროკურორის პოსტს დაიკავებს.

აი რამდენიმე საკითხი, რომლებიც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს:

## იმიგრაცია

სეშნსი ცნობილია, როგორც აშშ-ის საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მიმდევარი. როდესაც სენატორი იყო, იმ კანონპროექტების წინააღმდეგ გამოდიოდა, რომლებიც არალეგალ მიგრანტებს აშშ-ის მოქალაქეობის მიღების უფლებას აძლევდა. ამასთანავე, სეშნსი ლეგალური იმიგრაციის წინააღმდეგიცაა. წერილში, რომელიც 2015 წელს The Washington Post-ში გამოაქვეყნა, სეშნსმა დაწერა, რომ ლეგალურად შემოსული დაბალკვალიფიციური მიგრანტები **„მუშაობენ, იღებენ შეღავათებს, ხდებიან ამომრჩევლები“ და „ცვლიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ამერიკელებს“.**

დემოკრატიული პარტიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, კერძოდ, კალიფორნიის შტატის სენატორმა **დაიან ფეინსტეინმა** სეშნსი იმაში დაადანაშაულა, რომ გავლენა იქონია ტრამპის გადაწყვეტილებაზე, როდესაც მან ხელი მოაწერა განკარგულებას ლტოლვილების დახმარების პროგრამის დროებით შეჩერებასა და ქვეყანაში 7 მუსლიმური ქვეყნის მოქალაქეების შესვლის შესახებ. სეშნსმა უარყო ამ საკითხზე თავისი გავლენა, თუმცა დასძინა, რომ, ტრამპის განმარტებით, ეს შეზღუდვები ეხება იმიგრანტებს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორიზმს.

## სასამართლო გადაწყვეტილებები

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ რეფორმას სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებთან, მხარი ორივე პარტიის წარმომადგენლებმა დაუჭირეს, სეშნსი, დიდი ხანია, გამოდის ასეთი ბოროტმოქმედების მსუბუქად დასჯის წინააღმდეგ. მისი აზრით, ნარკომოვაჭრეებისთვის სასჯელის შემსუბუქება უფრო „სასტიკ დამნაშავეებს“ წარმოშობს.

## მართლწესრიგის დაცვა

სეშნსს გენერალური პროკურორის პოსტზე მხარს უჭერს ქვეყნის სამართალდამცველი სტრუქტურების თითქმის ყველა საკვანძო ფიგურა.

სენატში გამართულ მოსმენებზე სეშნსმა განაცხადა, რომ ბოლო წლებში პოლიციას უსამართლოდ „აშავებდნენ“ და ახლა ის მხარს დაუჭერს პოლიციელებს. მისი პოზიცია გარკვეული წრეების შეშფოთებას იწვევს, რადგან, დიდი ალბათობით, გადაიხედება რეფორმა, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ პოლიციაში განახორციელა.

სეშნსმა არაერთხელ გამოხატა სკეპტიკური დამოკიდებულება იმ ზომების მიმართ, რომლებიც ობამას ადმინისტრაციამ გაატარა, როდესაც პოლიცია დისკრიმინაციულ და არაკონსტიტუციურ ქმედებებში დაადანაშაულეს.

## სამოქალაქო და საარჩევნო უფლებები

სეშნსმა განაცხადა, რომ მას აღელვებს სამოქალაქო და საარჩევნო უფლებები და ხაზი გაუსვა თავის გადაწყვეტილებებს, რომლებსაც პროკურორის რანგში მიიღებს დესეგრეგაციის საქმეში. მიუხედავად ამისა ბევრს მიაჩნია, რომ სეშნსს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს თავის როლზე დესეგრეგაციის საქმეში.

სეშნსი, აგრეთვე, მიესალმა ხმის მიცემის აქტის შემსუბუქებას. ის ამტკიცებს, რომ არ არსებობს დისკრიმინაცია საარჩევნო უფლებებში, მაგრამ ხდება კენჭისყრის შედეგების ფალსიფიცირება, ამიტომ ამომრჩევლების იდენტიფიცირების პროცესი უნდა გამკაცრდეს.

## იარაღი

სეშნსი, დიდი ხანია, მოუწოდებს, გამკაცრდეს სასჯელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც დანაშაული ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინეს. კონგრესში გამართული მოსმენებისას სეშნსმა დაადასტურა, რომ მხარს დაუჭერს ასეთი დამნაშავეებისთვის სასჯელის გამკაცრებას.

ლიბერალები აკრიტიკებდნენ სეშნსს და ამბობდნენ, რომ მისი პროგრამა, რომელიც სასჯელის გამკაცრებას ითვალისწინებს, ვერ შეამცირებს დანაშაულის დონეს.

## მარიხუანა

სეშნსი მარიხუანის მოხმარების წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ მარიხუანის მოხმარების ლეგალიზება პირდაპირი გზაა ნარკოტიკებისკენ.

2016 წელს სეშნსმა განაცხადა, რომ „კარგი ადამიანები არ ეწევიან მარიხუანას“ და „მარიხუანა რეალური საფრთხეა“.

**„პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ეწევა თავისი იმპიჩმენტის პროვოცირებას, როცა არაფერს აკეთებს კორეაზე რუსეთის შეტევის საპასუხოდ“, — ეს სისულელე აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა კალიფორნიის შტატიდან — მაქსინ უოტერსმა თქვა პრესკონფერენციაზე, რომელიც ტელეარხმა C-SPAN-მა პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გადასცა.**

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავი მოიჭრა — ამერიკელმა კონგრესმენმა რუსეთი კორეაზე შეტევაში დაადანაშაულა




**„პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავისი იმპიჩმენტის პროვოცირებას ეწევა, როცა არაფერს აკეთებს კორეაზე რუსეთის შეტევის საპასუხოდ“, — ეს სისულელე აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა კალიფორნიის შტატიდან — მაქსინ უოტერსმა თქვა პრესკონფერენციაზე, რომელიც ტელეარხმა C-SPAN-მა პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გადასცა.**

დემოკრატიული პარტიის წევრმა უოტერსმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ მოუწოდებს ტრამპის იმპიჩმენტისკენ, მაგრამ, მისი აზრით, „ამას ის თვითონ აკეთებს“.

„ის გულმხურვალედ ეგებება ვლადიმერ პუტინს იმ მომენტში, როდესაც რუსეთი განაგრძობს შეტევას კორეაზე. ვფიქრობ, რომ ის (ტრამპი) მიდის ისეთი პოზიციისკენ, როდესაც ხალხი დასვამს შეკითხვას: „რა ვქნათ?“ და პასუხი, ბოლოს და ბოლოს, იქნება: „ჩვენ რაღაც უნდა მოვუხერხოთ მას“, — განაცხადა აშშ-ის კონგრესის წევრმა და დასძინა, რომ აშშ-ს არ უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ასე იქცევა, რადგან ეს ქვეყნისთვის სახიფათოა.

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უოტერსმა ერთმანეთში აურია ყირიმი და კორეა(?!).

# რამდენი წელი უნდა იყოს სხვაობა მეუღლეებს შორის, რათა ქორწინება ბედნიერად გაგრძელდეს



**ამერიკელი მეცნიერების აზრით, ბედნიერი ქორწინებისთვის ცოლ-ქმრის წლოვანებებს შორის იდეალური სხვაობა 1 წელია. ასეთ შემთხვევაში განქორწინების რისკი მხოლოდ 3%-ია.**

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ, რაც მეტია მეუღლეების წლოვანებებს შორის სხვაობა, მით მეტია განქორწინების რისკი.

მაგალითად, განქორწინების რისკი იმ მეუღლეებში, რომელთა შორის სხვაობა 5 წელია 18%-ს შეადგენს, თუ სხვაობა 10 წელიწადია — 39%-ს.

განქორწინების ყველაზე დიდი რისკი აქვს ცოლ-ქმარს, რომელთა შორის სხვაობა 20 წელია. მეცნიერების აზრით, ასეთ წყვილებს შორის ოჯახის დაკარგვის რისკი 95%-ია. ეს იმით აიხსნება, რომ წლოვანებაში დიდი განსხვავების მქონე მეუღლეებს განსხვავებული თვალსაზრისი უყალიბდებათ ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტზე და, ამასთანავე, ინტერესებიც, რაც ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს. შედეგად, მათი ურთიერთობა განქორწინებით სრულდება.



# ახალი ტყვიამფრქვევი «პეჩენეგ-სპ»

**კოვროვში (რუსეთი), დეგტიარევის სახელობის ქარხანაში მოდერნიზებული ტყვიამფრქვევის — „პეჩენეგ-სპ“-ს პირველი პარტია დაამზადეს.**

ეს არის 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევ „პეჩენეგის“ მოდერნიზებული ვერსია, რომლის ძირითად ტექნიკურ-ტაქტიკურ მახასიათებლებს საიდუმლოდ ინახავენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ახალ იარაღში, რომლის დასამზადებლადაც მუშაობა 4 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, გამოყენებულია ტიტანი.

„პეჩენეგ-სპ“-ზე შეიძლება დამაგრდეს ე.წ. პიკატინის თამასა უნიფიცირებული ოპტიკური სამიზნე 1ა89-3-ისთვის. იარაღის კონსტრუქციაში დამატებულია დასაკეცი კონდახი და ტაქტიკური სახელური ცეცხლის მოხერხებულად საწარმოებლად. ტყვიამფრქვევის ნაწილები იკეცება და მისი სიგრძე კალაშნიკოვის ავტომატურ იარაღზე 3 სმ-ით ნაკლები ხდება. აქვს, აგრეთვე, მოკლე ლულა უხმაუროდ სასროლად.



# თითების სიგრძე სიმდიდრესთან არის დაკავშირებული



**მეცნიერებმა უნიკალური კავშირი აღმოაჩინეს ადამიანის თითების სიგრძესა და შემოსავალს შორის.**

სპეციალისტებმა აღმოაჩინეს მეთოდი, რომლითაც შეიძლება ადამიანის ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება მისი თითების სიგრძის მიხედვით. ექსპერტთა აზრით, ეს კავშირი დამოკიდებულია სისხლში ტესტოსტერონის რაოდენობაზე. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ფულის გამომუშავების უნარი დიდად არის დამოკიდებული სისხლში ტესტოსტერონის რაოდენობაზე. ეს ფაქტორი გავლენას ახდენს, აგრეთვე, ადამიანის თითების სიგრძეზე.

მეცნიერებმა გაიანგარიშეს ქალებისა და მამაკაცების საჩვენებელი და უსახელო თითების ზომები.

როგორც დადგინდა, **თუ კაცობრიობის მშვენიერი ნაწილის წარმომადგენელს საჩვენებელი თითი უსახელო თითზე მოკლე აქვს, ის შეძლებული იქნება. მამაკაცებისთვის კი პირიქითაა: ის მდიდარი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საჩვენებელი თითი გრძელია უსახელო თითზე.**



# «მერსედესი», რომელიც ფორმას იცვლის

**„მერსედესის“ ამ მოდელის დიზაინის გაკრიტიკებას ნუ იჩქარებთ. ასეთი უცნაური გარეგნობა განპირობებულია ამოცანით, რომელიც იდგა Concept IAA (Iinelligent Aerodynamic Automobile)-ს შემქმნელების წინაშე.**







ამ ოთხკარიანი კუპეს ე.წ. შუბლისმიერი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი 0,19-ია, სიგრძე — 5040 მმ. ავტომობილს უკან აქვს აეროდინამიკური „შტორი“, რომელიც სიგრძეს 5430 მმ-დე ზრდის. საერთოდ, ამ ავტომობილს ბევრი მოძრავი ელემენტი აქვს და შეუძლია ფორმა შეიცვალოს.

Concept IAA-ს ამოძრავებს 280-ცხენისძალიანი ჰიბრიდული დანადგარი. სიჩქარე საათში 250 კმ-ია. ელექტროგამწევით მოძრაობის შემთხვევაში ავტომობილი 66 კმ-ს გაივლის.

**მე, როგორც საქართველოდან გადახვეწილი კაცი, „საქართველო და მსოფლიოს“ ინტერნეტსაიტით ვეცნობი და არ დაგიმალავთ, რომ ეს გაზეთი ქართულ მედიაში გამორჩეულ გამოცემად მიმაჩნია. ამიტომ მინდა გთხოვოთ, მომცეთ საშუალება, თქვენს გაზეთში გამოვაქვეყნო წერილი ერთ პრობლემაზე, რომელიც, ჩემი აზრით, ისე ედება საქართველოს, როგორც ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზები ადამიანის სხეულს.**
**სენი უმადურობის, დაუფასებლობის.**
**საოცარი და ძნელად ასახსნელია, ჩემთვის კი სრულიად მოულოდნელი, რომ ამ მოდურ კამპანიაში ჩათრეული აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებმაც იციან ფასი სამშობლოს მსახურების, თავის დროზე იტვირთეს და ზიდეს სუვერენული, თავისუფალი საქართველოს მშენებლობის პირველი დღეების არნახული სიმძიმე. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი წარმატებებიც მათი დამსახურებაა. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ზოგიერთ მოღვაწეზე ვლაპარაკობ.**

# უმადურობისა და დაუფასებლობის სენი


მურმან ომანიძე

**ილია, ზვიადი. მესამე — ბიძინა ივანიშვილი?**

ის, რაც დღეს ხდება საქართველოში — შუღლი და გაუტანლობა, ცილისწამება, დაპირისპირება, ჩასაფრება, ე.წ. კომპრომატების ფრიალი და ა.შ., აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი იყო ეროვნული ხელისუფლებისთვის, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ერისკაცი და ჭეშმარიტი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**, თავად დიდბუნებოვნების მაგალითის მიმცემი და კეთილშობილების განსახიერება.

გულდასაწყვეტია, რომ ზოგიერთმა, ვინც მის ხელისუფლებაში წამყვან სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობდა და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობაში, ამჟამად დაივიწყა სიმართლის, მაღალი ზნეობრიობის, ერთგულების ის პრინციპები, რომელთაც ბატონი ზვიადი, როგორც ქვეყნის მეთაური, შეურყევლად იცავდა.

ამ პიროვნებების გამოსვლებსა და პუბლიკაციებს რომ ვისმენ და ვკითხულობ, **ვერ გამირკვევია, რამ და ვინ შეცვალა ეს ადამიანები, საიდან გაჩნდა ის ბოღმა, რომელიც ვაი, რომ მათი არსებობის მამოძრავებელი ძალა გახდა. ნუთუ იმ დაწყევლილმა ცხრა წელიწადმა, სამშობლოს მოძულეობის სააკაშვილისეულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ ისეთ დოლაბებში გაატარა და დაფქვა მათი ზნეობრივი მრწამსი, რომ იძულებული შეიქნენ, დაეთმოთ მამულიშვილური პრინციპები და ავანტიურისტულ, ანტიქართულ რეჟიმს დამორჩილებოდნენ?!**

სხვა რით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი, ეს კეთილშობილი და ერთ დროს პატრიოტი მოღვაწენი, ისე დაირაზმნენ მოფაშისტო ხელისუფლებისგან საქართველოს მხსნელის (რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის მონაწილეობით), **ბიძინა ივანიშვილის**, წინააღმდეგ, რომ ნაციონალების მიერ აგორებულ ბილწ კამპანიას ფეხქვეშ გაეგენ, თელავენ ყველა ეთიკურ ნორმას. სურთ, დაგვარწმუნონ, რომ ქვეყანას „ერთადერთი კაცის პრობლემა უდგას“, და ეს კაცი ბიძინა ივანიშვილია. „როგორღაც უნდა მოვახერხოთ და ეს ხელისუფლება... ქვეყანას მოვაშოროთ“, —კვერს უკრავენ ნაციონალების ნარჩენებს პარლამენტსა და მის გარეთ — სახელწოდება გადარქმეულებს თუ კვლავაც ძველი მანტიით მოსილებს.

უფრო მეტიც, თავიანთ კერძო მოსაზრებას ჭეშმარიტებად გვასაღებენ, გვეუბნებიან, რომ „ივანიშვილი ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა“(!).

ერთ ადგილას ასეთი რამ წავიკითხე, რომ შეცდომაა, როცა ვთვლით, თუ „ვილაცამ ეკლესია ააშენა, ის ყველაზე მაგარი კაცია“, გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ „არ ვიცით, ეკლესიის შესასვლელთან მათხოვარი რომ ზის, ის არის უმთავრესი და არა ის, ვინც აშენებაში ფული გადაიხადა“.

ჯერ ერთი, ეკლესიის აღმშენებელსა და მათხოვარს შორის უმთავრესის დადგენა ნონსენსია, შეუდარებლის შედარების უაზრო მცდელობაა, ყოველ შემთხვევაში, მე საეჭვოდ მეჩვენება, რადგან სრულიად განსხვავებული მოცემულობებია.

და მეორე — თუ ფულის შემწირველი (და არა გადამხდელი!) წლების განმავლობაში, რეგულარულად უამრავი ქართული ეკლესია-მონასტრის აღდგენა-რესტავრაციაში, მათ შორის, წმინდა სამების კათედრალის მშენებლობისთვის ასეულ მილიონობით ლარს გაიღებს, რატომ არ არის იგი მაგარი კაცი?!

ახლა ერთ ციტატას შემოგთავაზებთ ბიბლიიდან და პარალელები თქვენ გაავლეთ. მინიშნება გაშიფრეთ.

**ვერ გამირკვევია, რამ და ვინ შეცვალა ეს ადამიანები, საიდან გაჩნდა ის ბოღმა, რომელიც ვაი, რომ მათი არსებობის მამოძრავებელი ძალა გახდა. ნუთუ იმ დაწყევლილმა ცხრა წელიწადმა, სამშობლოს მოძულეობის სააკაშვილისეულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ ისეთ დოლაბებში გაატარა და დაფქვა მათი ზნეობრივი მრწამსი, რომ იძულებული შეიქნენ, დაეთმოთ მამულიშვილური პრინციპები და ავანტიურისტულ, ანტიქართულ რეჟიმს დამორჩილებოდნენ?!**

**ზაქარია წინასწარმეტყველი** შეგვაგონებს **„უთხარი: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: აჰა კაცი... თავისი ადგილიდან აღმოცენდება და ააშენებს უფლის ტაძარს.**

**ის ააშენებს უფლის ტაძარს და იტვირთავს დიდებას, დაჯდება და იხელმწიფებს თავის ტახტზე...“** *(ზაქ. 6,12-13).*

და იქვე:

**„შორსმყოფნი მოვლენ და ააშენებენ უფლის ტაძარს... ეს მოხდება, თუ გაიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის ხმას“** *(ზაქ. 6, 15).*

ისმინეთ უფლისა, ბატონებო.

გაკვირვებული ვარ, რომ ჩვენი დეპუტატები — პარლამენტის უმრავლესობის წევრები (რამდენიმეს გამოკლებით) მშვიდად და აუღელვებლად ისმენენ ნაციონალების შტატიანი ორატორების გესლიან გამოსვლებს ტელეეკრანებიდან, პარლამენტში თუ პრესაში და არ ამხელენ მათ, არ ებრძვიან მათივე იარაღით: ბოლოს არ უღებენ ფარისეველთა ამ თავაწყვეტილ უტიფრობასა და უზრდელურ გამოხდომებს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ერის მამა **ილია ჭავჭავაძე**, წმინდა ილია მართალი, იმსხვერპლა ქართველის ტყვიამ.

საუკუნის დასასრულს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს.

ორივე შემთხვევაში მიზეზი პოლიტიკური დაპირისპირება იყო.

მივმართავ ზვიად გამსახურდიას ყველა თანამებრძოლსა და თანამოაზრეს: მეგობრებო, კოლეგებო, ძვირფასო ადამიანებო, დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, გავიაზროთ, ვის აძლევს ხელს ქართველთა შინააშლილობა, დაპირისპირება, მტრობა და ნუ ვიქმთ იმას, რომ ჩვენი ხალხი მესამე ტრაგედიის მომსწრე გახდეს!

**მურმან ომანიძე,**
**ეროვნულ ხელისუფლებაში საქართველოს პრემიერმინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი**

# ამერიკელმა სენატორმა კრემლი ლიმპოპოს პრეზიდენტად აიბოლიტის დანიშვნის გამო დაგმო

**რუსმა პრანკერებმა — ვოვანმა (ვლადიმერ კუზნეცოვმა) და ლექსუსმა (ალექსეი სტოლიაროვმა) — რუსეთის გააფთრებული მოწინააღმდეგე, აშშ-ის კონგრესის წევრი მაქსინ უოტერსი გაამასხარავეს. ვიდეო შეგიძლიათ ნახოთ Youtube-ზე.**

პრანკერებმა ამერიკის კონგრესის წევრთან საუბარი უკრაინის პრემიერმინისტრ **გროისმანის** სახელით წარმართეს. საუბრისას უოტერსმა აღშფოთება ვერ დამალა კრემლის ზემოქმედების გამო ლიმპოპოში გამართულ არჩევნებზე.

პრანკერებსა და აშშ-ის კონგრესის წევრს შორის საუბრის თემა იყო რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესება იმის გამო, რომ **„პუტინის რეგულარულმა არმიამ დონეცკისა და ლვოვის ოკუპაცია განახორციელა“.**

ამას გარდა, პრანკერებმა განაცხადეს, რომ რუსმა ჰაკერებმა **„შეაღწიეს ლიმპოპოს საარჩევნო სისტემაში, რათა მანიპულაციების შედეგად დაემხოთ ბარმალეის რეჟიმი და მის ადგილას დაესვათ „კრემლის მარიონეტი“ აიბოლიტი“**. პრანკერების ნათქვამმა აღაშფოთა უოტერსი და დაჰპირდა მათ, რომ აუცილებლად გაავრცელებდა განცხადებას რუსეთის ხელისუფლების ამ საშინელ ქმედებებზე. აშშ-ის კონგრესის წევრი



დაინტერესდა, იცის თუ არა რამე „გროისმანმა“ იმ ჰაკერებზე, რომლებიც რუსეთს ლიმპოპოს საარჩევნო სისტემის ვებგვერდის გატეხვაში დაეხმარნენ. პრანკერებმა უპასუხეს, რომ რუსებს ლიმპოპოს საარჩევნო სისტემაზე კიბერშეტევაში დაეხმარნენ „ჰაკერები, რომლებიც ინტერნეტში ცნობილნი არიან სახელებით — ვოვანი და ლექსუსი“. საუბრის ბოლოს მხარეები შეთანხმდნენ, რომ სატელეფონო ურთიერთობას გააგრძელებდნენ.

# აშშ-ში მსოფლიოს პირველი ტრანსგენდერი თოჯინა დაამზადეს

**აშშ-ში კომპანია Tonner Doll-მა წარმოებაში ჩაუშვა ახალი პროდუქცია — ტრანსგენდერი თოჯინა, რომელიც 25 დოლარით ნაკლები ეღირება ბარბის თოჯინაზე, ხოლო სამომხმარებლო პაკეტის მინიმალური ასაკობრივი ცენზი 8 წლიდან დაიწყება.**

კომპანიის შთაგონების წყარო ამერიკელი ტრანსგენდერი გოგონა **ჯაზ ჯენინგსია,** რომელიც თავიდან მამაკაცი იყო. მისი თქმით, 3 წლისა მიხვდა, რომ ქალი იყო, მშობლები დაარწმუნა და გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია, გახდა გოგონა. „ჟურნალ Time Magazine-ზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ის იყო ყველაზე პოპულარული ტრანსგენდერი 2014-15 წლებში, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ამერიკელი თინეიჯერების ცნობიერებაზე“, — ამბობს ABC News.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

# «ნიუ იორკ თაიმსის» ჟურნალისტმა აშშ-ის პირველ ლედის მეძავი უწოდა



**სუპერმოდელმა ემილი რატაკოვსკიმა სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ მოისმინა, თუ როგორ უწოდა „ნიუ იორკ თაიმსის“ რეპორტიორმა ამერიკის პირველ ლედის — მელანია ტრამპს მეძავი. ნიუ იორკის მოდის კვირეულზე ჟურნალისტი საკმაოდ აგდებულად მოიხსენიებდა პირველ ლედის, რამაც მოდელის გაღიზიანება გამოიწვია.**

„ნიუ იორკ თაიმსის“ რეპორტიორთან, რომელმაც ამერიკის პირველ ლედის მეძავი უწოდა, გაზეთის რედაქტორს მკაცრი საუბარი ჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, ნიუ იორკის მოდის კვირეულის ფარგლებში გამართულ წვეულებაზე ჟურნალისტმა მელანია ტრამპი უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. საუბარს სუპერმოდელი **ემილი რატაკოვსკი** შეესწრო, რომელმაც პირველი ლედის ლანძღვა გააპროტესტა. რეპორტიორის ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ ის მამაკაცია და მელანია ტრამპის გალანძღვის გამო მას სამსახურში პრობლემები უკვე შეექმნა.

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009